ლია ანთაძე

მშობელთა ჩართულობა და ოჯახის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე

(მონოგრაფია)

თბილისი
2023

Lia Antadze

Parental involvement and the influence of family socioeconomic factors on adolescent academic achievements

(Monograph)

TBILISI
2023

Лиа Антадзе

Участие родителей и влияние социально-экономического статуса семьи на успеваемость подростков

(Монография)

ТБИЛИСИ
2023

UDC (უაკ): 37.018.26
ა-656
ანთაძე ლ., _ **მშობელთა ჩართულობა და ოჯახის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე.** (მონოგრაფია) - თბილისი 2023 გვ. 188.

წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ისეთი აქტიური საკითხები, როგორიცაა: მოზარდობა, აღზრდის ტიპები, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, დისტანცირუის სწავლება, მოზარდის მიღწევები.
საუბარია ქართულ ზოგადსაგანმნათლებლო სივრცეზე, რეფორმებზე, ეტაპებზე, ხარისხიან განათლებაზე, დღევანდელი ოჯახების სოციალ-ეკონომიკურ პირობებზე, დისტანციური სწავლებით გამოწვეულ საჭიროებებზე, მოზარდის სოციალიზაციაზე, სოციოლოგიურ თეორიებზე, მოზარდის ასაკობრივ პერიოდიზაციაზე, მოზარდის განწყობაზე, მორალურ განვითარებაზე და სწავლების - ბიჰევიორისტულ, კოგნიტურ და ჰუმანისტურ თეორიებზე.
ნაშრომში წარმოდგენილია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მოზარდის აკადემიურ მიღწევებს.
წიგნი განკუთვლილია ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქორანტურის კურსის მსმენელებისთვის, პროფესორ მასწავლებ-ლებისათვის. იგი აგრეთვე დახმარებას გაუწევს მოზარდის აღზრდის საკითხებით დაინტერესებულ ყველა სხვა პირსაც.

მეცნიერ-რედაქტორი: **პროფესორი მურად შონია**

რეცენზენტები: **პროფესორი ლია მეტრეველი**
რეცენზენტები: **პროფესორი ვალერი მოსიაშვილი**

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა), გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება ავტორთა წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

© გამომცემლობა „ეკგი“ 2023
ISBN 978-9941-8-5528-3

ანოტაცია

მონოგრაფიული ნაშრომის მიზანია მკითხველს აჩვენოს დღევანდელ საქართველოში, მშობლებისა და შვილების ურთიერთობის ფორმები, რომელიც გამოწვეულია ოჯახის სოციო-ეკონომიკური ასპექტებით და აღნიშნული როგორ და რანაირად მოქმედებს მოზარდის მიღწევებზე და აკადემიურ წარმატება/ წარუმატებლობაზე.

განათლება ჩვენი ცხოვრების ის სფეროა, რომლის შესახებაც საზოგადოება, აქტიურად საუბრობს. განათლების მთავარი მიზანი პიროვნების განვითარებაა, ადამიანმა უნდა შეძლოს მიღებული ინფორმაციის გაგება და კრიტიკული ანალიზი.

მოზარდების შემთხვევაში განათლებას აფასებს და განსაზღვრავს აკადემიური შედეგები, აკადემიურ შედეგები მიუთითებს, რამდენად მიაღწია მოსწავლემ სასწავლო პროცესის შესაბამის ეტაპს, ის არის მოსწავლის მიერ მიღწეულის შეჯამება, აკადემიური მიღწევები, თავის მხრივ, სხვადასხვა კრიტერიუმით განისაზღვრება.

მოზარდობა პიროვნების ფორმირების საპასუხისმგებლო პერიოდია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მე-ს კონცეფცია, საკუთარი შინაგანი სამყაროსადმი დიდი ინტერესი და საკუთარი გრძნობების გაგების სურვილი. ამ ასაკში მოზარდის ინტერესები და შესაძლებლობები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, ეს კი განპირობებული იყოს სხვადასხვა გარემოებებით, მაგალითად: აღზრდის სტილით, ოჯახური, სოციალური თუ ეკონომიკური პირობებით და სხვა.

მოზარდის აკადემიურ წინსვლასა და მიღწევებზე ზრუნვა ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა და ვფიქრობ, მნიშვნელოვან საკითხად უნდა იდგეს ჩვენს რეალობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური

მდგომარეობის და მშობლის ჩართულობის კვლევა მოზარდის აკადემიური მიღწევების კუთხით.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება განათლების სისტემაში არსებული პრობლემის შესწავლას, კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო სივრცის შესწავლას. დღევანდელი მდგომარეობით მშობლების ჩართულობას, პანდემიის გავლენას, სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას და იმ ფაქტორებს, რაც ხელს უშლის, თუ უწყობს მოზარდის აკადემიურ მიღწევებს.

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა განათლების სისტემასა და სტრუქტურას, სადაც საუბარია ქართულ ზოგადსაგან-მანათლებლო სივრცეზე, რეფორმებზე და ეტაპებზე. ასევე, ხარისხიან განათლებაზე, საერთაშორისო კვლევებზე და ამ კვლევების თანახმად, მოზარდების მიღწევებზე.

აქვე, ერთ-ერთ ქვეთავში განვიხილავთ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, სადაც ვსაუბრობთ, დღევანდელ სოციალ-ეკონომიკურ პირობებზე და დისტანციური სწავლებით გამოწვეულ საჭიროებებზე.

ნაშრომის მეორე თავი ეთმობა მოზარდის სოციალიზაციას, სოციოლოგიურ თეორიებს, მოზარდის ასაკობრივ პერი-ოდიზაციას. ამ თავში, ასევე, ვსაუბრობთ მოზარდის განწყობაზე და მორალურ განვითარებაზე, სწავლის ბიჰევიორისტულ, კოგნიტურ და ჰუმანისტურ თეორიაზე.

შემდეგი, მესამე თავი კი სრულად ეთმობა მშობლის ჩართულობას, აღზრდის ტიპებს და ოჯახის როლს მოზარდის ცხოვრებაში. კონკრეტულად, ვსაუბრობთ: ავტორიტარულ, დემოკრატიულ, ინდიფერენტულ და ლიბერალურ აღზრდის მოდელზე, თითოეულის დადებით და უარყოფით მხარეზე.

ნაშრომის ბოლო, მეოთხე თავში წარმოდგენილია ორი ქვეთავი, ორი თვისებრივი კვლევის ანალიტიკური ანგარიში და ერთი რაოდენობრივი კვლევის.

აღნიშნული პრობლემების შესწავლის მიზნით ჩატარდა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო ჯამში 750 რესპოდენტმა, 12-16 წლის მოზარდების მშობლებმა, სადაც 450 იყო დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახის მშობლები, ხოლო 300 მაღალი/საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახის მშობლები. ასევე, ამ კუთხით ჩატარდა ორი თვისებრივი კვლევა: ერთი ემსახურებოდა სოციალურ პირობებს, რომელშიც მონაწილეობდნენ მშობლები და პედაგოგები; სულ 32 სიღრმისეული ინტერვიუ. ხოლო მეორე თვისებრივ კვლევაში, რა დროსაც მშობელთა ჩართულობისა და ურთიერთობის ფორმებს ვიკვლევდით, განხორციელდა 25 ინტერვიუ, რომელშიც მონაწილეობდნენ: პედაგოგები, მშობლები და მოზარდები.

კვლევის შედეგებიდან საინტერესო პასუხები მივიღეთ. აღსანიშნავია, რომ მაღალი/საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახების შვილებს ნაკლები დაბრკოლებები აქვთ სწავლის პროცესში, თუმცა ისინი ორიენტირებული არიან კლასგარეშე მიღწევებისა და აქტივობებზე, ნაკლები ინტერესი აქვთ აკადემიური მიღწევების მიმართ. ასევე, აღმოჩნდა, რომ დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახის მშობლები უფრო მეტად თანამშრომლობენ სკოლასთან, პედაგოგებთან და დაინტერესებული არიან ყველა სასკოლო მიღწევებით.

აღმოჩნდა, ისიც, რომ მშობლების შვილებთან კეთილგანწყობილი თანამშრომლობა, დადებითი ემოციების გაზიარება მოზარდის ქცევასა და მიღწევებზე დადებითად აისახება. ასევე, მშობლის სკოლასთან თანამშრომლობა რადიკა-ლურად არ ცვლის მოზარდის მიღწევებს, რა თქმა უნდა, ნაკლებ აქტიურობას მშობელი აკომპენსირებს სხვა აქტივობებით, როგორიც არის შვილთან აქტიური თანამშრომლობა, რეპეტიტორები ან სხვა ოჯახის წევრების ჩართულობა.

კვლევაში გამოჩნდა ორი კატეგორიის ოჯახი: დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და საშუალო/მაღალი შემოსავლების: ჩვენ მოვახდინეთ ამ ორი კატეგორიის შედარებითი ანალიზი, აღმოჩნდა, რომ დაბალი შემოსავლების ოჯახები კიდევ უფრო ნაკლებად იცნობენ შვილების რეალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებს და მათ ცხოვრებაში კიდევ უფრო ნაკლებად არიან ჩართულები.

აღსანიშნავია, რომ საკითხის აქტუალობის მიუხედავად, არსებობს გარკვეული თეორიული მასალები, მაგრამ, აქამდე არ მომხდარა სოციალურ-ეკონომიკური პირობების შედარებითი ანალიზი, რომელიც გვაძლევს კონკრეტულ აღზრდის მოდელს, თავისი მახასიათებლებით, რომელიც უკვე გავლენას ახდენს მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე.

აღნიშნული ნაშრომი კვლევის მიზნებისა და შედეგების მიხედვით მაღალი ღირებულებებით გამოირჩევა. მიღებული შედეგების მიხედვით შესაძლებელი იქნება ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, მოსწავლის მამოტივირებელი გარემოებების, მათი მიღწევების გაზრდის კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება, ასევე შესაძლებელია მოდიფიცირებული სახით ჩამოყალიბდეს მშობლისა და მოზარდის განსხვავებული ურთიერთობის მოდელი.

annotation

The purpose of the monographic work is to show the reader the forms of relationship between parents and children, which is caused by the socio-economic aspects of the family.

Education is an area of our life that society actively talks about. The main goal of education is personality development, a person should be able to understand and critically analyze the received information.

In the case of adults, education is evaluated and defined by academic results, academic results indicate how far the student has reached the appropriate stage of the learning process, it is a summary of what the student has achieved, academic achievement, in turn, is determined by various criteria.

Adolescence is a responsible period of personality formation, characterized by selfoncept, great interest in one's inner world and desire to understand feelings. At this age, the interests and abilities of a teenager may differ from each other and this is caused by various circumstances, for example: parenting style, family, social or economic conditions, and others.

Taking care of the academic progress and achievement of the adolescent is one of the big challenges and I think it should be an important issue in our reality. Based on the above, it is important to study socio-economic status and parental involvement from the point of view of adolescent's academic achievements.

The present work is dedicated to the study of the existing problem in the education system, in particular, the general educational space. As of today, parental involvement, socio-economic status, determination of parental characteristics by socio-economic factors and the impact of distance learning on students' academic achievements in pandemic conditions.

The first chapter of the work is dedicated to the education system and structure, where the Georgian general education space, reforms and stages are discussed. Also, on quality education, international studies and, according to these studies, on the achievements of adolescents.

Here, in one of the subsections, we discuss the social and economic situation, where we talk about today's socio-economic conditions and the needs caused by distance learning.

The second chapter of the paper is devoted to socialization of adolescents, sociological theories, age periodization of adolescents. This chapter also discusses adolescent mood and moral development, behavioral learning, cognitive and humanistic theory.

Next, the third chapter is fully devoted to the involvement of parents, types of upbringing and the role of the family in the adolescent's life. Specifically, we are talking about: authoritarian, democratic, indifferent and liberal parenting model, the positive and negative side of each.

The last, fourth chapter of the paper presents two sub-chapters, two qualitative research analytical reports and one quantitative research.

Quantitative and qualitative research was conducted in order to study the mentioned problems. The quantitative study involved 750 respondents, parents of 12-16 year olds, with 450 parents from low/below poverty line and 300 parents from high/moderate income families. Also, in this direction, two qualitative studies were conducted: one served social conditions, in which parents and teachers participated; A total of 32 in-depth interviews. And in the second qualitative study, during which we investigated the forms of parents' involvement and relationship, 25 interviews were conducted, in which teachers, parents and teenagers participated.

We got interesting answers from the research results. It is worth noting that children from high/middle income families have fewer obstacles in the learning process, although they are focused on extracurricular achievements and activities and less interested in academic achievements. Also, it was found that parents from low-income families are more cooperative with the school, the teacher and are interested in all the achievements of the school.

It was also established that the benevolent cooperation of parents with their children, the sharing of positive emotions has a positive effect on the behavior and achievements of adolescents. Also, the parent's cooperation with the school does not radically change the adolescent's achievements, of course, the parent compensates for the lack of activity with other activities, such as active cooperation with the child, tutors or other family members.

Two categories of families appeared in the research: low/below poverty line and middle/high income: we made a comparative analysis of these two categories, it was found that low-income families are even less aware of their children's real capabilities, needs and being. They are less involved in their lives.

It should be noted that despite the relevance of the issue, there are theoretical materials, but so far no comparative analysis of the socio-economic situation, which provides us with a concrete model, has been conducted.

შინაარსი

შესავალი..... 13

თავი 1. განათლების სისტემა და სტრუქტური..... 25

1.1. ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სივრცე - PISA-ს საერთაშორისო კვლევა 25

1.2. სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და დისტანციური სწავლება 35

თავი 2. მოზარდობა და სწავლასთან დაკავშირებული თეორიები 43

2.1. სოციალიზაცია და სოციოლოგიური თეორიები..... 43

2.2. მოზარდის მორალური განვითარება და ასაკობრივი პერიოდიზაცი 53

2.3. მოზარდის შესაძლებლობები და აკადემიური შედეგები 64

2.4. სწავლის თეორიები 70

თავი 3. მშობელთა ჩართულობა და აღზრდის თეორიები..... 82

3.1. ზოგადი შეხედულებები მშობლის როლზე 82

3.2. აღზრდის თეორიები და თავისებირებები 87

თავი 4. მშობელთა ჩართულობა და სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე -კვლევითი ანალიზი 94

4.1. მშობელთა ჩართულობის თვისებრივი კვლევის ანალიტიკური ანგარიში 94

4.2. სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა მოზარდის მიღწევებზე 108

დასკვნა 137

გამოყენებული ლიტერატურა 150

დანართი 156

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა: განათლება წარმოადგენს საზოგადოების და პიროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ რესურსს. ხარისხიანი განათლება არის წარმატებული მომავლის საწინდარი. ხარისხიანი განათლების მიღება და მოსწავლის მაღალი აკადემიური დონე შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვადასხვა გარემოზე; ოჯახზე, სკოლაზე, იმ სივრცეზე, სადაც მოზარდი იზრდება და ვითარდება. განათლების პირველი, ძირითადი კერა არის ზოგადსაგანმანათლებლო სივრცე, რომლის მიზანია მოქალაქის აღზრდა, რომელსაც შესაძლებლობა ეძლევა, სწავლა გააგრძელოს სწავლების შემდეგ საფეხურზე და მოამზადოს საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის.

ბევრი ემპირიული კვლევა სწავლობს, როგორც მშობელთა ჩართულობას, ასევე და სოციალურ-ეკონომიკურ განსხვა-ვებებს აკადემიურ მოსწრებაში, რაც, თავის მხრივ, ეყრდნობა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ინდიკატორებს და აერთიანებს ერთ კომპოზიტურ ერთგანზომილებიან ცვლად-ში, მშობლების შემოსავლის, განათლებისა და პროფესიის საზომებს.

მაგალითად, საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევა PISA-ს (მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა) თანახმად, რომელიც გულისხმობს 15 წლის მოსწავლეების მზაობის შემოწმებას ყოველდღიური გამოწვევების წინაშე, ტარდება სამ წელიწადში ერთხელ, 2012 წლის მონაცემებით, ქართველი მოსწავლეების აკადემიური მიღწევები საკმაოდ ჩამორჩება საშუალო მაჩვენებელს. კვლევის თანახმად,

კულტურულ და საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწ-ვდომობა არის აკადემიური მიღწევების სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის საფუძველი მთელ მსოფლიოში.

განვიხილეთ - „მშობელის სკოლაში ჩართულობის პრაქტიკულ კვლევა“, რომელიც ჩატარდა 2020 წელს, რომლის მიზანია პროექტში მონაწილე სხვადასხვა სკოლის (დიდი ქალაქის, მცირე ქალაქის და სოფლის) მაგალითზე, საქართველოს საჯარო სკოლებში მშობელთა დემოკრატიული ჩართულობის მასშტაბისა და ხარისხის შესწავლის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება მშობლებთათვის და სკოლისთვის. სადაც გამოიკვეთა, რაც უფრო მრავალრიცხოვანია სკოლა, მით უფრო მცირეა სკოლასა და მშობელს შორის კომუნიკაცია.1

გავეცანით, კიდევ ერთ - „მშობელთა ჩართულობის“ კვლევას, რომელიც ჩატარდა 2015 წელს, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად. კვლევებმა ცხადყო, რომ მშობელთა ჩართულობა არა მხოლოდ მოზარდის ყოფაქცევას და დასწრებას აუმჯობესებს, არამედ დადებითად მოქმედებს მოსწავლის მიღწევებზე. მშობელთა წარმატებული ჩართულობა შეიძლება განისაზღვროს, არამხოლოდ მშობლის აქტიური რეგურალური მონაწილეო-ბით სკოლაში, არამედ შინაც, სახლში, როდესაც მშობელი შვილებთან ერთად კითხულობს დავალებას და ეხმარება სწავლის პროცესში.

---

1 სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკული კვლევა. ააიპ მშობლები განათლებისთვის. თბ; 2020. გვ. 46- https://mshobeltaskola.ge

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერილი კვლევით, 2018-2019 აღმოჩნდა, რომ მშობლების უმრავლესობა აღზრდის მკაცრ ტიპს მიმართავს, აღნიშნულის შემთხვევაში ბავშვებში გამოვლენილია აგრესია, ურჩობა, როგორც სწავლის, ასევე ყოფაქცევის პროცესში.

ბოლო წლებში განვითარებულმა პანდემიურმა მოვლენებმა წარუშლელი კვალი დატოვა არაერთ სფეროზე და მათ შორის ყველაზე შესამჩნევი - განათლების სექტორზე, მისი ყველა მიმართულების გათვალისწინებით. 2021 წელს ჩატარებულმა კვლევამ, სადაც საუბარია დისტანციური სწავლების დროს სასწავლო დანაკარგზე, აჩვენა, რომ საქართველოში შემცირდა მოსწავლეთა მოტივაცია, მოზარ-დები განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში საჭიროებდნენ სოციალურ მხარდაჭერას, რესპოდენტების 22%-ი აღნიშნავს შედეგების გაუარესებას. მოსწავლეების შედეგებზე, დისციპლინაზე, სწავლისადმი დამოკიდებულებაზე ნეგატიური გავლენა იქონია საკონტაქტო საათების შემცი-რებამ. კვლევის პასუხებმა აჩვენა, რომ მოსწავლები ღარიბი, მრავალშვილიანი ოჯახებიდან რისკ ჯგუფს წარმოადგენენ.

სხვადასხვა მკვლევრები მშობლის ჩაურთველობას, ნაკლებ კომუნიკაციას შვილებთან, მათი ურთიერთობის გაუცხოებას ნეგატიურ კონტექსტში განიხილავენ, რადგან ამ დროს მშობელი ვერ იგებს შვილის რეალურ საჭიროებებს, პრობლემებს, თუ მიღწევებს. საინტერესოა, აკადემიური მიღწევების კუთხით რა გავლენას ახდენს მშობლის გარკვეული ურთიერთობის ფორმა და ოჯახის ფინანსური მდგომარეობა.

დღესდღეისობით, როცა მოზარდები საკმაოდ ადრეული ასაკიდან ეჩვევიან დამოუკიდებლობას, ეცნობიან მსოფლიო

ტენდენციებს მათთვის საინტერესო მიმართულებებით და მოზარდობის ასაკში შესვლისას თითქმის უკვე აქვთ ჩამოყალიბებული, თავიანთი არგუმენტირებული შეხედულებები სხვადასხვა საჭირბოროტო (მათ შორის სწავლასთან დაკავშირებულ) საკითხებთან მიმართებით - მშობლის ჩართულობის ტიპისა და ხასიათის გათვალისწინება მათთან ურთიერთობაში - სწავლასა თუ სხვა პირად საკითხებზე გავლენების თვალსაზრისით - ძალზედ პრობლემატურია. მოზარდობის ასაკი სამართლიანად ითვლება სოციალიზაციის ერთ-ერთ კრიზისულ ფაზად ადამიანის ცხოვრებაში და მშობლის მხრიდან აქ დაშვებული შეცდომა ურთიერთობებში, შეიძლება ძალიან ცუდად აისახოს მოზარდის როგორც აკადემიურ, ასევე პირად განვითარებაზე.

ამდენად, წინამდებარე კვლევისთვის პრობლემურ სიტუაციას, სწორედ იმის გარკვევა წარმოადგენს, თუ მშობლის ჩართულობის და შვილთან ურთიერთობის როგორი მოდელია მეტად ეფექტური, იმისთვის რომ მიღწეულ იქნეს ბავშვის მაქსიმალური აკადემიური მოსწრება. ასევე, იმის გარკვევა, თუ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, როგორი აღზრდის მოდელს გვთავაზობს და აღნიშნული როგორ მოქმედებს მოზარდის აკადემიურ შედეგებზე, რა განსხვავებაა მაღალი/საშუალო და დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებული ოჯახების მოზარდების მიღწევებს შორის.

ნაშრომის ჰიპოთეზა:

- *„მოზარდების დაბალ აკადემიურ მოსწრებას განაპირობებს ოჯახის დაბალი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, რა დროსაც მშობელი კიდევ უფრო დისტანცირებულია შვილთან“* - კვლევის შემდეგ აღნიშნული

ვარაუდი დადასტურდა ორივე მხრივ, რომ დაბალი სოციალური პირობები ნამდვილად გავლენას ახდენს მოზარდის დაბალ აკადემიურ შედეგებზე, აღნიშნულ ოჯახებში მშობლებს არ ჰყოფნით საკმარისი დრო და ენერგია ითანამშრომლონ შვილებთან.

- *„დისტანციური სწავლების პერიოდში, დაბალი შემოსავლების ოჯახებში, მოზარდების აკადემიური ვარდნა კიდევ უფრო შეინიშნა“*- აღნიშნული ჰიპოთეზაც დადასტურდა, დისტანციურმა სწავლებამ, ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მშობლები და განსაკუთრებით დაბალი შემოსავლების ოჯახები.

- *„მაღალი შემოსავლების მშობლების სკოლასთან ნაკლები ჩართულობა და კომუნიკაცია მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე უარყოფითად არ აისახება“* ; - ჰიპოთეზა ნაწილობრივ დადასტურდა, რაც გამოწვეულია იმით, რომ მაღალი შემოსავლების ოჯახები მათ პასიურ ჩართულობას აკომპენსირებენ ფინანსური მხარდაჭერით.

- *„მაღალი შემოსავლების მშობლებს ეფექტურად მიაჩნიათ დემოკრატიული მიდგომების სტილი, ხოლო შედარებით დაბალი შემოსავლის მშობლებს ავტორიტარული“*- ჰიპოთეზა ნაწილობრივ დადასტურდა, მცირე მოდიფიცირებით, რადგან მაღალი შემოსავლების ოჯახებში გამოიყო ორი დომინანტი მიდგომა: დემოკრატიული და ლიბერალური, ხოლო დაბალი შემოსავლების შემთხვევაში: ავტორიტარული და ინდიფერენტული.

-პედაგოგები მოზარდის აკადემიური მოსწრების ერთ-ერთი წინაპირობად მიიჩნევენ მშობლის აქტიურ დაინტერესებას შვილის სწავლით და მის თანმიმდევრულ და

დროულ თანამშრომლობას სკოლასთან;“- აღნიშნული დადასტურდა, თუმცა კვლევის მიგნებების გათვალისწინებით, მხოლოდ, მშობლის აქტიური ჩართულობა ვერ უზრუნველყოფს მოზარდის მაღალ აკადემიურ შედეგებს.

კვლევის მიზანი:

როგორც აღვნიშნეთ, კვლევა რამდენიმე ეტაპად ჩავატარეთ, ერთის მხრივ ჩვენი კვლევის **მიზანია,** დავადგინოთ: როგორია მაღალი/საშუალო და დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებული ოჯახების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე და აღზრდის სტილზე. მეორე, დავადგინოთ, რა გავლენას ახდენს, მშობელსა და ბავშვს შორის არსებული სხვადასხვა ფორმის ურთიერთობა მოზარდის მიღწევებზე.

კვლევის ამოცანები:

1. დავადგინოთ როგორი აღზრდის სტილს იყენებს მშობლები, ამ სტილის დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები, დედის და მამის მიდგომებს შორის არსებული განსხვავებების იდენტიფიცირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. დავადგინოთ,ავტორიტარული/დემოკრატიული/ინდი ფერენტულ მიდგომების გავლენა მოზარდის მიღწევებზე; გავარკვიოთ მშობლების ჩართულობა/ჩაურთველობის პრობლემები;

3. დავადგინოთ მშობლის დამოკიდებულება შვილის სასწავლო პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით - ჩართულობის მოტივატორები და ბარიერები, დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები, ასევე, დავადგინოთ მშობლებისა და შვილების ურთიერთობის პრობლემები;

4. დავადგინოთ მშობლების, პედაგოგების და სკოლის თანამშრომლობის ფორმები - მოტივატორები და ბარიერები/პრობლემები;

5. დავადგინოთ მოზარდის დამოკიდებულება, მშობლის მის ცხოვრებასა და სასწავლო პროცესში ჩართულობასთან მიმართებით - ასევე, მასთან ურთიერთობის ავტორიტარულ, დემოკრატიულ, ინდიფერენტულ მიდგომებთან დაკავშირებით;

6. დავადგინოთ პედაგოგების დამოკიდებულება, მშობლის მოზარდის ცხოვრებასა და სასწავლო პროცესში ჩართულობასთან მიმართებით - ასევე, მოზარდთა ურთიერთობის ავტორიტარულ, დემოკრატიულ, ინდიფერენტულ მიდგომებთან დაკავშირებით;

7. დავადგინოთ თუ როგორია, განსხვავებული სოციო-ეკონომიური მდგომარეობის მქონე ოჯახებში (მაღალი/საშუალო და დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებული ოჯახები) მცხოვრები მოზარდების აკადემიური მოსწრების დონე;

8. დავადგინოთ ის სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული პრობლემების/ხელისშემშლელი გარემოებები, რომელიც ექმნებათ მოზარდებს სწავლების პროცესში (ორივე კატეგორიის ოჯახებში);

9. მოვახდინოთ დისტანციური სწავლების პირობებში, სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული იმ ხელის-შემშლელი გარემოებების იდენტიფიცირება, რამაც უარყო-ფითად იმოქმედა მოზარდების აკადემიური მოსწრების ხარისხზე (ორივე კატეგორიის ოჯახებში);

10. დავადგინოთ თუ როგორია განსხვავებული სოციო-ეკონომიური მდგომარეობის მქონე ოჯახებში, მშობლის/მშობ-ლების სკოლასთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობა, ასევე მათი ჩართულობა მოზარდის სწავლების პროცესში (ორივე კატეგორიის ოჯახებში);

11. დავადგინოთ, თუ რა გავლენა აქვს მშობლის სკოლასთან და მასწავლებლებთან აქტიურ თანამშრომლობას, მის ჩართულობას მოზარდის სწავლების პროცესში - ბავშვის აკადემიურ მოსწრებასთან (ორივე კატეგორიის ოჯახებში).

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები:

ჩვენ ჩავატარეთ ორი თვისებრივი და ერთი რაოდენობრივი კვლევა:

პირველი, *მშობელთა ჩართულობის, მოზარდთან თანამშრომლობის,* კვლევის მეთოდოლოგიით განსაზღვრული მიზნისა და ამოცანების მისაღწევად, ასევე ჰიპოთეზების შესამოწმებლად შევარჩიეთ სამი სამიზნე ჯგუფი:

12-15 წლის მოზარდების მშობლები(დედა/მამა)-10 სიღრმისეული ინტერვიუ;

12-15 წლის მოზარდების პედაგოგი- 5 სიღრმისეული ინტერვიუ;

12-15 წლის მოზარდები 10 სიღრმისეული ინტერვიუ.

კვლევის მეთოდად შერჩეული იქნა თვისებრივი კვლევა, კერძოდ კი სიღრმისეული ინტერვიუ. რესპოდენტების შერჩევა მოხდა არაალბათური მეთოდით, კერძოდ მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე.

ხოლო მეორე, *სოციალური და ეკონომიკური მდგომა-რეობის გავლენის საკვლევად მოზარდის მიღწევების კუთხით, ჩატარდა როგორც თვისობრივი ისე რაოდენობრივი კვლევა.*

სამიზნე სეგმენტი და შერჩეული მეთოდები:

I ეტაპი: თვისობრივი კვლევა, სიღრმისეული ინტერვიუ.

სეგმენტი 1: 12-16 წლის მოზარდების პედაგოგები.

(საჯარო სკოლის 9 პედაგოგი, კერძო სკოლის - 7 პედაგოგი).

არაალბათური, მიზნობრივი შერჩევა - ჯამში 16.

სიღრმისეული ინტერვიუ

სეგმენტი 2: 12-16 წლის მოზარდების მშობლები.

(მაღალი/საშუალო შემოსავლების მქონე 8 მშობელი, დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების 8 მშობელი)

არაალბათური, მიზნობრივი შერჩევა - ჯამში 16 სიღრმისეული ინტერვიუ.

II ეტაპი: *რაოდენობრივი კვლევა, ონლაინ დაუსწრებელი ანკეტირება.*

სეგმენტი 2: 12-16 წლის მოზარდების მშობლები.

დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მშობლები-N=450, შემდგომში სეგმენტი 1.

მაღალი/საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახების მშობლები-N=300, შემდგომში სეგმენტი 2.

არაალბათური, მოხერხებული შერჩევა - ჯამში 750 რესპონდენტი.

კვლევის შეზღუდვა: საკვლევი თემატიკის სენსიტიურობა მოზარდებისთვის - რომლის გათვალისწინებით, კვლევაში რესპონდენტებად თავად მოზარდების მონაწილეობა მიზანშეწონილი არაა.

ნაშრომის ღირებულება

თემის ღირებულება განპირობებულია სხვადასხვა გარემოებებით - კვლევები ატარებს როგორც თეორიულ

(ინფორმაციის მიღების), ასევე პრაქტიკულ მიზანს - რომლის თანახმადაც, კვლევების მიგნებების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები დაეხმარება მშობლებს, პედაგოგებს და მოზარდებს, სათანადო მიდგომის ფორმირებაში - რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს თავად მოზარდების აკადემიური მოსწრების შესაძლებლობებს.

თემას ღირებულებას სძენს ჩატარებული სამი კვლევა, ორი თვისებრივი და ერთი რაოდენობრივი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, ის რომ კვლევის საფუძველზე მიღებული მიგნებებით გამოვლინდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი და ჩვენი საზოგადოებისთვის ახალი შედეგები. აღნიშნული ინფორმაცია აქამდე მეცნიერული ფორმით სტრუქტურირებული არ მოიპოვება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ცოდნა არ არსებობდა - სიახლე მისი სტრუქტურირებულად, არგუმენტირებულად და ემპირიულად დადასტურებულად წარმოდგენას გულისხმობს - რაც უკვე თავის მხრივ რეკომენდაციების შემუშავების, აღზრდის არსებული მოდელების მთელი რიგი დეტალების რეფორმირების და ახლებურად წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა, შესაბამისად:

1. კვლევების საფუძველზე კლასიფიცირებულია აღზრდის მოდელები, რომლებიც დამახასიათებელია შესაბამისი სოციო-ეკონომიკური სტატუსის ოჯახებში;

2. კვლევების საფუძველზე გამოვლენილია სოციო-ეკონომიკური ფაქტორების და მშობლის ჩართულობა/ჩაურთველობის გავლენა მოზარდის მიღწევებზე;

3. კვლევების საფუძველზე ნაჩვენებია სწავლების თეორია, რომელიც ხაზს უსვამს უპირობო დადებით გავლენებს მოზარდის მიღწევებს;

4. კვლევების საფუძველზე გამოვლენილია მშობლების ურთიერთობის მახასიათებლები და მათი იდენტიფიცირება (დედების და მამების);

5. კვლევების საფუძველზე ნაჩვენებია დისტანციური სწავლების გავლენა მშობლის როლზე და მოზარდის მიღწევებზე;

6. კვლევების საფუძველზე, შეთავაზებულია მოდიფიცირებული აღზრდის მოდელი, (გარკვეული მახასიათებლებით), რომელიც გაზრდის მოზარდის აკადემიურ მიღწევებს.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელოვნება: ჩვენი რეალობის გათვალისწინებით ნათელია კვლევების პრაქტიკული მნიშვნელოვნება.

პრაქტიკული მნიშვნელობის მიხედვით ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დამხმარე მასალა შესაბამისი პროფილის დისციპლინების ათვისებისას. ასევე, გამოადგება ნებისმიერი განათლების სფეროს წარმომადგენელს და დაინტერესებულ პირს.

კვლევების შედეგების თეორიულ-პრაქტიკული რეკომენდაციების გამოყენებას შეძლებს, ამ სფეროში ჩართული ადამიანები; სტუდენტები, მეცნიერები და მკვლევრები, რომელთაც აინტერესებთ მოსწავლის აკადემიური მიღწევის გზების პოვნა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნაშრომის საშუალებით დავინახეთ, მიუხედავად ფინანსური მდგომარეობისა მშობლის მიერ სწორი მიდგომის გამოყენება, შვილის სწავლის პროცესში სათანადო ჩართულობა გადის მოზარდის

აკადემიურ მიღწევაზე. ასევე, კვლევის საშუალებით დავინახეთ, დისტანციური სწავლების გავლენა, რომელმაც საფრთხის ქვეშ დააყენა დაბალი ფინანსური შემოსავლების ოჯახები.

კვლევებმა, გვიჩვენა მშობლების (დედების და მამების) მიდგომებს შორის განსხვავება, მათი აღზრდის მახასიათებ-ლებით გათვალისწინებით.

თუმცა, კვლევების პრაქტიკული მნიშვნელობა იმანაც განაპირობა, რომ კვლევა გამოირჩევა საკვლევი ობიექტების მრავალრიცხოვანი ჩართულობით.

დასკვნაში შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელიც მიმართულია მშობლების და შვილების ურთიერთობის დათ-ბობაზე, მოზარდის მოტივაციის და აკადემიურ მიღწევების ზრდაზე.

თავი 1. განათლების სისტემა და სტრუქტურა

1.1. ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სივრცე და PISA-ს საერთაშორისო კვლევა

განათლება, ნათლად აზროვნების ძალაა, ძალა რომელიც საქვეყნო საქმეს გვაკეთებინებს და ძალა, რომელიც სიცოცხლის დაფასების საშუალებას გვაძლევს. განათლება სოციალური მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის და ხელს უწყობს ადამიანის ფიზიკურ, ინტელექტუალურ, მორალურ განვითარებას. განათლების მიღების ძირითადი გზა საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლაა. განათლება ძლიერი იარაღი და ჩაუქრობელი სანთელია. როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე იტყოდა: „განათლება ჰგავს მზესა, რომელიც ისე არ ანათებს, რომ იმავე დროს არ ათბობს და ისე არ ათბობს რომ არა ანათოს“.

XXI საუკუნის საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მოთხოვნები და პირობები, ტექნიკური პროგრესი და ტექნოლოგიური პროცესები ახალ-ახალ პრობლემლებს ქმნის, რაც დიდ გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმირების პროცესზე. რა თქმა უნდა, საჭიროა, არსებული საგანმანათლებლო სისტემის ტრანსფორმაცია, მართვის ახალი ფორმებისა და ტექნოლო-გიების, სწავლების მეთოდების და მიზნის მიღწევის განსხვა-ვებული გზების ძიება. ბავშვის ჰარმონიულ პიროვნებად აღზრდისთვის, საუკეთესო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო შედეგების მისაღწევად, განუზომლად დიდია სკოლის და ოჯახის როლი, რაც მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობით გამოიხატება.

განათლება მოიაზრებს ადამიანის მიერ ცოდნის

დაუფლების და მის საფუძველზე უნარებისა და ჩვევების განვითარებას, კაცობრიობის მიერ ამა თუ იმ სფეროში დაგროვილი გამოცდილების მიზანმიმართულ შეთვისებას. განათლება, საზოგადოების კულტურასთან მიმართების თავისებური და აუცილებელი ფორმაა, განათლების გარეშე ადამიანი ვერ გახდება საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.

ზოგადსაგანმანათლებლო სივრციდან იწყება მოქალაქის აღზრდა. საქართველოს კანონის მიხედვით, ზოგადი განათლების მიზანი არის მოქალაქის აღზრდა და პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის მომზადება, მოსწავლის ეროვნული, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, თავისუფალ მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის საჭირო პირობების შექმნა, მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება.[2]

სკოლას განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ის არის ბაზა სხვა საფეხურების. სკოლა დიდ როლს ასრულებს ადამიანის კულტუროლოგენეზის საქმეში. სასკოლო განათლება ემთხვევა ადამიანის ბუნებრივ ზრდა-განვითარებას, სკოლაში ხდება სწავლა და აღზრდა. სკოლა განიცდის ყველა ტენდენციის გავლენას, რაც საზოგადოებაში ხდება და შესაბამისად სახეს იცვლის.

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ პედაგოგიკაზე, რომელსაც ოთხი ძირითადი ცნება აქვს: *აღზრდა, განათლება, განვითარება და სწავლება.* აღზრდა არის უფროსი თაობის მიერ იმ ცოდნის და გამოცდილების გადაცემა, რაც კაცობრიობას დაუგროვებია სხვადასხვა სფეროში. აღზრდა უზრუნველყოფს თაობათა შორის შემოქმედების უწყვეტობას,

---

[2] ხუხუა გ. აღზრდის მიზანი 2000 წლის წინ და შემდეგ. თბ; 1998. გვ.21

მემკვიდრეობითობას და პროგრესს. [3]

ძველ საბერძნეთში, აღზრდა საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენას წარმოადგენდა. ფილოსოფოსი, პლატონი (423-348) აღზრდაში, ბავშვზე ზემოქმედებას გულისხმობდა. პლატონმა პირველმა გაუსვა ხაზი აღზრდას, როგორც სახელ-მწიფოებრივი, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ხასიათის კატეგორიას. თეორიულად დაასაბუთა ჰარმონიული აღზრდის იდეა, განსაზღვრა აღზრდის თითოეული შემად-გენელი ელემენტები და მოგვცა სასკოლო სისტემის აგებუ-ლება. ასევე, პლატონია პირველი, ვინც აღიარა ქალ-ვაჟთა თანაბარი აღზრდა და სწავლების სავალდებულო ხასიათი.[4]

ინგლისელი მოაზროვნე, ჯონ ლოკის (1632-1704) აზრით, სწავლა და სწავლების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ასაკობრივ და ინდივიდუალურ საჭიროებებს. არ მოიძებნება ორი ბავშვი, რომელთა აღზრდისას შესაძლებელი იქნება ერთნაირი მეთოდების და ხერხების გამოყენება. ინდივიდის შესაძლებლობების გათვალისწინება აუცილებე-ლია იმისთვის, რომ სწავლა დადებითი ემოციების ფონზე განხორციელდეს.[5]

დღევანდელი სკოლა და სასკოლო სისტემა, განსხვავდება წინა პერიოდის, მაგალითად, მე-19 საუკუნის სკოლისაგან. იცვლება სკოლის მიზნები და ამოცანები, თუმცა ყოველთვის იყო და არის მთავარი მიზანი ახალგაზრდის მომზადება თვითმყოფადი ცხოვრებისთვის, რათა დამოუკიდებლად შეძლოს ცხოვრება და საქმიანობა სოციალურ გარემოში.

---

[3] მალაზონია შ.პედაგოგიკა, თბ; 2001. გვ. 9

[4] ჭკუასელი ქ, ჭკუასელი ი. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები.თბ;2 012. გვ. 186

[5] იმედაძე ი. ფსიქოლოგიის ისტორია. თბ; 2008. გვ. 311

სასკოლო განათლების ძირითადი ნიზანი უნდა იყოს:

- დინამიკური კულტურული განვითარება;
- სასწავლო პროცესისა და საქმიანობისადმი შემოქმედებითი მიდგომა;
- ახალგაზრდა თაობის შრომითი და პროფესიული ორიენტაცია;
- ბავშვებისა და ზრდასრული ადამიანების პიროვნული ურთიერთობის ფორმა;
- პიროვნების თვითგამორკვევა და კოლექტივებთან მიმართება, ტოლერანტობა;
- დემოკრატია და თვითმმართველობა.

დღეს, განათლების რეფორმის სამ ძირითად ტიპს გამოყოფენ: ტრადიციულს, კრიტიკულს და შემოქმედებითს. ამ სამი ტიპიდან პირველი შეესაბამება ავტორიტარულ, სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას და დანარჩენი ორი დემოკრატიულს, ღია საზოგადოებას.

ცოდნის მიღების პროცესი, ესთეთიკურ და ინტელექტუალურ სიამოვნებას უნდა ანიჭებდეს პედაგოგს და მოზარდს. ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და განათლების სპეციალისტი ჯონ დიუი მოითხოვდა, რომ სასკოლო ინვენტარიც უნდა მოერგოს მოსწალის ჩართულობას და აქტიურობას.[6]

ქართველი ერი ერთ-ერთი უძველესი ერია მსოფლიოში, შესაბამისად მსოფლიო ცივილიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი ქართველ ხალხსაც შეჰქონდა. ქართული კულტურის მასაზრდოებელი საგანმანათლებლო

---

[6] ქეცბაია კ. ლიბერალური განათლება და პოლიტიკა - https://socpoli.files.wordpress.com/2011/06/e18399e18390e183aee18390-e183a5e18394e183aae18391e18390e18398e18390.pdf

იდეები უძველეს ეპოქაში იღებს სათავეს. ანტიკურ ხანაში, აღსაზრდელები განათლებას ძირითადად ოჯახებში იღებდნენ, შემდეგ ტაძრებთან, სასახლეებთან არსებულ სასწავლებლებში, სადაც ახალგაზრდები ეცნობოდნენ ფილოსოფიას, რიტორიკას, ისტორიას, მათემატიკას და სხვა დარგებს. ქართული განათლების/კულტურის აღმავლობა განაპირობა ქრისტიანობის მიღებამ. ქრისტიანობა, როგორც წიგნიერი რელიგია საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა სფეროზე ახდენდა და ახდენს გავლენას.

1921-1922 სასწავლო წლები, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ჩამოყალიბების პერიოდს წარმოადგენდა. ამ პერიოდისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა სასკოლო ქსელის მოწესრიგება. ყურადღების ცენტრში დადგა დაწყებითი განათლების საყოველთაო-სავალდებულო შემოღება. გეგმის შესადგენად აუცილებელი იყო სკოლის ტიპების, მოსწავლეთა რაოდენობის, სქესისა და სწავლების ენების მიხედვით შესწავლა, მასწაბლებელთა კადრების უზრუნველყოფა და ა.შ. ამ მხრივ ჩატარდა საკავშირო სასკოლო აღწერა, ბავშვთა სწავლებაზე ზრუნვა და პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისრა იმ მოქალაქეებს, ვის კმაყოფაზეც იმყოფებოდა ბავშვი, იქნებოდა მშობელი, თუ სხვა ჩართული პირი.[7]

თანდათანობით კიდევ, უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, 21-ე საუკუნეში, სკოლის პრიორიტეტი, კრიტიკულად/შემოქმედებითად მოაზროვნე მოსწავლეების აღზრდა დასახელდა, რომლებიც იცნობენ საკუთარ შესაძლებლობებს, აქვთ უნარი შეიცნონ და შეცვალონ

[7] მეტრეველი რ. საქართველო განათლების მატიანე. საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია. თბ; 2015. გვ. 68.

სამყარო უკეთესობისკენ.

საქართველოში ზოგადი განათლება რეგულირდება: ზოგადი განათლების შესახებ კანონით, განათების ხარისხის განვითარების შესახებ კანონით, მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

2005 წლის კანონმა დაადგინა 12 წლიანი სასკოლო განათლება. ზოგადი განათლების სისტემა იყოფა სამ ეტაპად: დაწყებითი განათლება (1-6 კლასი), საბაზისო განათლება, იგივე დაბალი საშუალო (7-9 კლასი) და მაღალი საშუალო (10-12 კლასი) საფეხური.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არის, როგორც საჯარო, ისე კერძო, ხოლო განათლების მიღება ხორციელდება, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. [8]

2014 წელს მომზადდა „განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითრების სტრატეგიული მიმართულებების“ პროექტი, რომელმაც მომავალი 10 წლიანი პერიოდისთვის განათლების, მეცნიერების, სისტემების, განვითარების ვექტორი განსაზღვრა. პროექტი გულისხმობს, „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში. სტრატეგიის შემუშავების პროცესში 70-მდე კვლევის ანგარიში და პოლიტიკის დოკუმენტი გაანალიზდა, ასევე უზრუნველ-ყოფილი იყო პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. 2013 წლიდან ზოგად განათლებაში ჩართუ-ლობის გაზრდა და ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდო-მობის უზრუნველყოფა სამინისტროს მთავარ პრიორიტეტს

[8] საქრთველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. 2021. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=94

წარმოადგენდა, ამ კუთხით შემუშავდა მოსწავლეებისთვის უფასო სახელმძღვანელოები, ასევე 2013 წლიდან პრიორიტეტად დადგა ინკლუზიური განათლების განვითარება.[9]

განათლების გაუმჯობესების მხრივ, სწავლა ფინანსდება ვაუჩერული სისტემით, პირველკლასელებს გადაეცემათ ლეპტოპები, წარმატებული მოსწავლეებისთვის სხვადასხვა წახალისების ფორმა შეიქმნა, ასევე, დაინერგა პედაგოგების შეფასების სქემა და სხვა.

ზოგადი განათლების შესახებ კანონში წარმოდგენილია, სკოლის ვალდებულება, დაიცვას, ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებელს შორის ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას და თანასწორობას, მათი სოციალური, ეკონომიკური, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სხვაობის მიუხედავად.

ეროვნული სასწავლო გეგმა, იწყება ქართველი ფსიქოლოგი - დიმიტრი უზნაძის სიტყვებით: „სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არ აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას.“

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მოზარდების, საბაზო საფეხურის მთავარი მისია არის საგანთა სწავლების საფუძველზე, ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლეთა მიდრეკილებების, ინტერესების გამოვლენა, დამოუკიდებლობისა და შრომისუნარიანობის განვითარება, განათლების

[9] ჭანტურია გ, ქადაგიძე მ, მელიქიძე გ. სასკოლო განათლების ისტორია 1990-2020, თბ; 2020. გვ.126

შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების ხელშეწყობა.[10]

ჩვენი განათლების სისტემა, მიზნად ისახავს, მოსწავლის მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით, მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობას და ეროვნული, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საგანმანათლებლო შედეგების უზრუნველყოფას. რის საფუძველზეც გამოყოფილია შემდეგი ამოცანები:

- მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების თანაბარი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- განათლების ხარისხის გაუმჯობესება სწავლის შემდეგ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით;
- საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება;
- სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მოტივაციის და ეფექტურობის გაზრდა;
- ზოგადი განათლების ყველა დონეზე ეფექტური მართვის სისტემის განვითარება.

დღევანდელ სამყაროში, ტექნოლოგიების და ინოვაციების ხანაში, მთავარ რესურსს წარმოადგენს განათლებული საზოგადოება. რაც უფრო იზრდება ლტოლვა უკეთესი ცხოვრებისკენ მით მეტად მნიშვნელოვანი ხდება განათლებული საზოგადოება.

განათლება გადაიქცა მსოფლიოს ქვეყნების შეჯიბრების ფაქტორად, ის წარმოადგენს ღია სოციალურ სისტემას, რომელიც სხვა სოციალურ სისტემებთან არის დაკავშირებული. განათლების როლი საზოგადოების ცხოვრებაში ყოველდღიურად ძლიერდება, შესაბამისად

---

[10] ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024. http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsel

აუცილებელია განათლების სისტემის სრულყოფა, თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებთან შესაბამისობა, რათქმაუნდა ტრადიციების შენარჩუნების საფუძველზე.

საზოგადოება დაინტერესებულია ახალგაზრდების აღზრდით და სოციალური პირობებით, რომლებიც ჩაერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აქედან გამომდინარე საზოგადოება ქმნის სწავლისა და აღზრდის ისეთ სისტემას, რომელიც დაეხმარება ახალგაზრდას განვითარებაში. ამისთვის კი იქმნება სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებები. ბავშვს მემკვიდრეობით ცოდნა და გამოცდილება არ გადაეცემა, მას მხოლოდ შეძენის შესაძლებლობა დაჰყვება. რომლის ერთ-ერთი პირობა გარემოა, სადაც ბავშვის ზრდა-განვითარება მიმდინარეობს. პიროვნება სოციალური ფენომენია და მას სოციალური გარემო აყალიბებს. მეტიც, ხშირად ბავშვის ფსიქიკური განვითარების შეფერხება მხოლოდ ცენტრალური-ნერვული სისტემის შეფერხებასთან როდია დაკავშირებული, არამედ მასში მონაწილეობს გარემოს ზემოქმედება, არაჯანსაღი ურთიერთობები, მშობლების და პედაგოგების არასწორი მიდგომები. მსგავსი პრობლემების მოგვარება შესაძლებელია სწორად დასახული მიზნებით და ამოცანებით.[11]

რაც შეეხება ხარისხიან განათლებას, ხარისხიანი განათლება უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც კონკრეტული ინდივიდის, ასევე საზოგადოების განვითარებისთვის. ხარისხიანი განათლება წარმატების წინაპირობაა. მიუხედავად ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიღწეული ცვლილებებისა, ჩვენი განათლების სისტემა ბევრი გამოწვევების წინაშე

[11] ყოლბაია მ. სკოლის ფსიქოლოგია. გამომცემლობა: ცის ნამი, 2008. გვ. 5-11, გვ.178-179

დგას. ხარისხიანი განათლების მთავარი ინდიკატორი სკოლაში მოსწავლის განვითარებაა. მოსწავლის განვითარების შესაფასებლად, ძირითადად, დისციპლინებში ცოდნასა და კოგნიტურ უნარებს ვიყენებთ, ხოლო თანასწორობის შეფასების ინდიკატორად, მოსწავლეთა ჩართულობა და რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით მიღწევებს შორის განსხვავება განიხილება. მახასიათებლები კი შეიძლება იყოს: სკოლის მდებარეობა, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სასწავლო რესურსები და სხვა.

მიუხედავად, მნიშვნელოვანი სიახლეების, რომლებიც, ბოლო 15-ი წელიწადში განხორციელდა, განათლების სისტემაში მაინც არსებობს გარკვეული ხარვეზები. ჩატარებული საერთაშორისო კვლევების თანახმად, ქართველი მოსწავლეების შედეგები, საკმაოდ ჩამორჩება საშუალო მაჩვენებელს.

ჩვენ, ყურადღებას ვამახვილებთ PISA-ს (მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა) კვლევაზე, რადგან ძირითადად ვსაუბრობთ ხარისხიანი განათლების სისტემაზე, საბაზისო და საშუალო საფეხურზე. PISA- გულისხმობს თხუთმეტი წლის მოსწავლეების მზაობის შემოწმებას, ყოველდღიური გამოწვევის წინაშე, აღნიშნული კვლევა სამ წელიწადში ერთხელ ტარდება. მას ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაცია OECD-ი ატარებს და ამოწმებს: წიგნიერებას, მათემატიკას და საბუნებისმეტყველო მიმართულებას.

აღნიშნული კვლევის მიხედვით, მოსწავლეთა დაახლოებით ორი მესამედი ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს წაკითხულის გააზრებაში, საბუნებისმეტყველო და მათემატიკის საგნებში. მეტიც, საქართველოში წინა

კვლევებთან შედარებით, სამივე კატეგორიაში გაუარესდა შედეგები. (2018 წლის მონაცემებით).[12]

გატარებული რეფორმების მიუხედავად, შიდა შეფასების მექანიზმების და PISA-ს (მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა) საერთაშორისო კვლევის გათვალისწინებით, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა არსებობს, განსაკუთრებით მოზარდის მიღწევების კუთხით, რამაც დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა ჩვენი განათლების სისტემა.

1.2. სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და დისტანციური სწავლება

ქართველი ფსიქოლოგი, დავით ჩარკვიანის სახელმძღვანელო - ექსპერიმენტალური სოციალური ფსიქოლოგიის საფუძველების განხილვისას დავინახეთ, რომ პიროვნების და ჯგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს შორის მრავალმხრივი და რთული ურთიერთგანმსაზღვრელი კავშირი არსებობს. ადამიანის ცხოვრებას მნიშვნელოვნად ცვლის მისი სოციალური სტატუსი, რომელიც ხასიათდება გარკვეული თვისებებით, კერძოდ ეკონომიკური, პროფესიული, ეთნიკური და სხვა პირობებით.[13] სოციალური მდგომარეობა გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აყალიბებენ ინდივიდები რწმენას თავიანთი შესაძლებლობების შესახებ, ეს რწმენა, თავის მხრივ,

---

[12] მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2018, საქართველოს ანგარიში. თბ; 2020- https://naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevebi/PISA2018-Georgia%20(1).pdf

[13] ჩარკვიანი დ. ექსპერიმენტალური ფსიქოლოგის საფუძვლები. თბ; 2004. გვ. 11-15

გადამწყვეტია მიღწევებისთვის.[14]

საზოგადოების, სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების და პროცესების სტატისტიკური ანალიზი ხორციელდება, სტატისტიკის სპეციფიკური განმაზოგადე-ბელი მაჩვენელების მეთოდების გამოყენებით, რომელიც ასახავს ობიექტის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების რიცხობრივ განზომილებას. სოციალურ სტატისტიკაში, კვლევის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მიმართულებებს მიეკუთვნება: მოსახლეობის სოციალური და დემოგრაფიული სტრუქტურა, მისი დინამიკა, მოსახლეობის ცხოვრების, კეთილდღეობზ, ჯანმრთელობის დონე, თავისუფალი დროის გამოყენება, კულტურა, განათლება, მორალური სტატისტიკა, საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკური ცხოვრება. [15]

საბაზრო ეკონომიკა და სოციალური პირობები პირდაპირ მოქმედებს ადამიანის კეთილდღეობაზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გვერდზე წარმოდგენილი მონაცემებით, საქართველოში, საშუალო ხელფასი 1350 ლარიდან 1500 ლარს შეადგენს, თუმცა ქვეყანაში აღინიშნება, სოციალურად დაუცველი (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ) სეგმენტის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც რისკ ფაქტორს წარმოადგენს. შესაბამისი მონაცემებით, სჩანს, რომ ყოველწლიურად უმუშევარი ადამიანების რაოდენობა იზრდება. 2022 წლის მონაცემებით, უმუშევრობის მაჩვენებელი 19,4% შეადგენს.[16] აღნიშნული

---

[14] Journal of Public Economics, **Social status and motivated beliefs, July 2022.**

[15] გელაშვილი ს, შონია ზ, ქინქლაძე რ. სოციალური სტატისტიკა. თბ; 2013. გვ.15

[16] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

წყარო, საშუალებას გვაძლევს კვლევაში მარტივად გამოვყოთ ორი კატეგორიის ოჯახი: საშუალო/მაღალი და დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ შემოსავლების ოჯახები, ვიპოვოთ ამ მხრივ, მოზარდის მიღწევებს შორის განსხვავება და გავაკეთოთ შედარებითი ანალიზი.

ბოლო სტატისტიკური კვლევებით საგრძნობლად მომატებულია მოზარდებში ნეგატიური ემოციები, აგრესიული დამოკიდებულება თანატოლების, პედაგოგების, თუ ოჯახის წევრების მიმართ, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს ოჯახური პირობებიდან და სოციო-ეკონომიკური მდგომარეობიდან.[17]

დღეს, ეკონომისტები, სოციოლოგები და განათლების სფეროში მომუშავე ადამიანები, ხშირად იკვლევენ, როგორი ურთიერთობა არსებობს განათლებას და ეკონომიკურ განვითარებას შორის, რამდენად საჭიროა ცვლილებები. ბოლო პერიოდში მეცნიერული კვლევები წარიმართა იქითკენ, რომ თანასწორი და თანაბარი შესაძლებლობები უნდა ჰქონოდეთ მოზარდებს. თანასწორობა სხვადასხვა შემოსავლების მქონე ოჯახებისთვის შეიძლება განხორციელდეს სწავლების ეფექტიანობის შემცირების ხარჯზე. რაც უფრო ნელა ვითარდება ეკონომიკა, მით უფრო მეტია წინააღმედეგობები. სახელმწიფო ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტია, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტებს, ადგენს თანაბარ პირობებს საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების გზით.[18]

---

[17] ქურხული ლ, არჩავაძე ნ. ბავშვის აგრესიულობის გამოვლენის ფსიქო-სოციალური პირობები. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სამეცნიერო ჟურბალი #12. თბ; 2022. გვ.183-184

[18] სართანია ვ, თოქმაზიშვილი მ, მაღლაკელიძე შ. განათლების ეკონომიკის პრინციპები, თბ; 2004. გვ.31-38

ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსების მიერ წამოჭრილი განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები მე-20 საუკუნეშიც ყურადღების ცენტრში იყო. განათლების მიმდინარე ცვლილებები მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფ-ლიო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას-თან. აქ განხილულია ქვეყნები, სადაც მიღწევის დონე მაღალია, მაგალითად შვედეთში მიღწეულია, არა მხოლოდ ცალკეულ მოქალაქეთა კეთილდღეობა, არამედ ქვეყანაში ცხოვრების საერთო მაღალი დონე, რაც გამოწვეულია განათლებაზე ორიენტირებით, თუნდაც უფასო სკოლებით, უფასო კვებით და ა.შ. ასევე, მნიშვნელოვანია ცხოვრების ჰუმანიზებული სისტემის არსებობა, რომელიც ხელს უშლის საზოგადოების ფენებად დაყოფას.[19]

საქართველოში, არსებული სოციო-ეკონომიკური კუთხით განვიხილეთ რამდენიმე სახელმძღვანელო და რამდენიმე ავტორის დასკვნები. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების სახელმძღვანელო მასალებში საუბარია, საქართველოში არსებულ ეკონომიკურ პრობ-ლემებზე. ქვეყანაში მაღალია უმუშევრობის მაჩვენებელი, მიმდინარეობს მასობრივი გადინება, ქართველი მოსახლეო-ბის უმეტესობა მუშაობს დაბალ შემოსავლებზე, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს განათლების სფეროზე და ცვლილებების განხორციელებაზე.[20]

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა მაქსიმალურად ვერ უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით დასახული შედეგების მიღწევას, რადგან

---

[19] ჭითანავა ნ. თაკალანძე ლ. სოციალური ეკონომიკა, თბ; 2008. გვ. 53

[20] კვარაცხელია დ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. თბ; 2008. გვ 6 .

არის სისტემური პრობლემები. საერთაშორისო კვლევებისს თანახმად, საქართველოს მოსწავლეთა აკადემიური შედეგები, საერთაშორისო სტანდარტებს საგრძნობლად ჩამორჩება, რაც შესაძლოა, გამოწვეულია დაბალი სოციო-ეკონომიკური პირობებით. ასევე, ზოგადი განათლების სისტემა, სამწუხა-როდ არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, ვერ უზრუნ-ველყოფს უსაფრთხო და ხელშემწყობ გარემოს.[21] PISA-ს, 2012 წლის, კვლევის მონაცემები, ავლენს, მცირე განსხვავებას ქვეყნებში, აკეთებს დასკვნას, რომ კულტურულ და საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა არის აკადემიური მიღწევების სოციალურ-ეკონომიკური უთანას-წორობის საფუძველი მთელ მსოფლიოში.

სხვადასხვა ემპირიული კვლევა, რომლებიც იკვლევს სოციალურ-ეკონომიკურ განსხვავებებს აკადემიურ მოსწრებაში, ეყრდნობა სოციალურ-ეკონომიკური მდგომა-რეობის ინდიკატორებს, რომლებიც აერთიანებს ერთ კომპოზიტურ ერთგანზომილებიან ცვლადში, მშობლების შემოსავლის, განათლებისა და პროფესიის საზომებს.[22]

სიღარიბე, ნაკლები შემოსავლები, დაბალი კულტურა, არც ისე უვნებელია, როგორც შორიდან გამოიყრება, ეს ხშირად უთანასწორობას და კონფლიქტს წარმოშობს. კვლევა, რომელიც ჩატარდა ლონდონში, მაიკლ რატერის მიერ, ტარ-დებოდა რამდენიმე წლის მანძილზე, აღმოჩნდა, რომ სოციალურ-ეკონომიკური პირობები, სკოლის შერჩევა, პირდაპირ გავლენას ახდენს მოზარდის მიღწევებზე და

---

[21] განათლებია და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები- https://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf

[22] Learning and Individual Differences. Socio-economic disparities in academic achievement: A comparative analysis of mechanisms and pathways, Pages 10-18 August, 2015.

აკადემიურ წინსვლაზე. პრივილეგირებული ოჯახის წარმომადგენლები დადიან კერძო სკოლაში, იღებენ მაღალი ხარისხის ცოდნას, რადგან აქ ხდება კარგი მასწავლებლების მოზიდვა და ხელმისაწვდომია სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსი.[23]

არსებულ სოციო-ეკონომიკურ პირობებში დიდი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა სასკოლო განათლება, რომ მსოფლიოში, ბოლო წლებში განვითარებულმა პანდემიურმა მოვლენებმა წარუშლელი კვალი დატოვა არაერთ ინდუსტრიაზე, მათ შორის ყველაზე შესამჩნევი - განათლების სექტორზე, მისი ყველა მიმართულების გათვალისწინებით. ***დისტანციურ განათლებას,*** სხვადასხვა განმარტება აქვს, თუმცა ყველაზე გავრცელებული მაინც იუნესკოს განმარტებაა, რის მიხედვითაც დისტანციური განათლება საგანმანათ-ლებლო პროცესია, სადაც სწავლა სრულიად ან ძირითადად წარიმართება სივრცესა და/ან დროში დაცილებულად, როდესაც პედაგოგსა და მოსწავლეს შორის ელექტრონული საშუალებებით მიმდინარეობს კომუნიკაცია.

დისტანციური განათლების ისტორიაზე საუბრისას სამ ეტაპს გამოჰყოფენ. პირველ ეტაპზე, წარმართველია ბეჭდური სახით ინფორმაციის გავრცელება. მეორეზე, ელექტრონული და მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენება, ხოლო მესამეზე, ინტერნეტ ტექნოლოგიების ჩანაცვლება.[24]

სასწავლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა იძლევა ინფორმაციის შეგროვების, შენახვის,

---

[23] შინჯიკაშვილი თ. განათლების სოციოლოგია. თბ; 2019. გვ. 86

[24] მეტრეველი ლ. დისტანციური სწავლების სისტემის დანერგვის მეთოდიკური ასპექტები ფსიქოლოგიის სწავლების მაგალითზე, თელავი, 2008. გვ. 6-8

გადამუშავების საშუალებას. თანამედროვე საშუალებები მოზარდს აძლევს სასწავლო პროცესის განახლების საშუალებას. დისტანციური განათლების ძირითადი ფილოსოფია არის, ის რომ იგი პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, მას დიდი ყურადღება ექცევა მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცეში, რაც კიდევ უფრო დაჩქარდა 2020 წელს. მსოფლიოს მთავრობების ნაწილმა გადაწყვიტა დაეხურა სკოლები, რათა თავიდან აეცილებია ვირუსის გავრცელება, სკოლის დახურვა, კი გავლენას ახდენს, როგორც მოსწავლეზე, ისე მასწავლებელზე, შესაბამისად, მსოფლიო გლობალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. სკოლების დახურვის, დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის საპასუხოდ იუნესკომ სხვადასხვა რეკომენდაცია გამოაქვეყნა. როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე, საქართველოში პანდემიამ შეძლო დაეხვეწა კანონი დისტანციური სწავლების შესახებ, შესაბამისად ცვლილება შევიდა ჩვენს ეროვნულ სასწავლო გეგმაში, თუმცა მაინც დიდი გამოწვევების წინაშე აღმოვჩნდით, არათანაბარი პირობების გამო, რომელიც გამოწვეულია დაბალი სოციო-ეკონომიკური ფონოთ. მოზარდების გარკვეულ ნაწილს, ნაკლები ხელმისაწვდომობა მიეცათ ინტერნეტზე, კომპიუტერზე, ტექნოლოგიებზე და სხვა საგანმანათლებლო საშუალებებზე.[25]

ერთ-ერთი სამეცნიერო სტატიის თანახმად, ნიგერიის მაგალითზე, ნაჩვენებია, რომ განათლების მიღმა დარჩა მოსწავლეები, რომელთა მშობლებს არ ჰქონდათ ფიზიკური გარემო, სადაც მოსწავლეები მშვიდად მოისმენდნენ

[25] დისტანციური სწავლების მართვა, პრაქტიკუელი სახელმღვანელო სკოლის ადმინისტრატორებისთვის. თბ; 2021. გვ. 31

გაკვეთილს და ჩაერთვებოდნენ სწავლების პროცესში.[26]

ასევე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა კვლევა, რომელიც ჩატარდა საქართველოში, 2021 წელს, ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით, რომელშიც საუბარია, დისტაციური სწავლების დროს სასწავლო დანაკარგზე. საქართველოში სკოლები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და სასწავლო დანაკარგიც არაერთგვაროვანია. კვლევამ აჩვენა, რომ შემცირდა მოსწავლეთა მოტივაცია, განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში საჭიროებენ მოზარდები სოციალურ მხარდაჭერას. თითქოს მოსწავლეთა აკადემიური შეფასება ერთმნიშვნელოვნად არ შეცვლილა, მაგრამ რესპოდენტების 22%-ი აღნიშნავს შედეგების გაუარესებას. მოსწავლეების შედეგებზე, დისციპლინაზე, სწავლისადმი დამოკიდებულებაზე ნეგატი-ური გავლენა იქონია საკონტაქტო საათების შემცირებამ. მოსწავლეები ღარიბი, მრავალშვილიანი ოჯახებიდან რისკ ჯგუფს წარმოადგენდნენ. უფრო მეტიც, ამავე კვლევაში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა მოტივაცია ამ პერიოდში კიდევ უფრო შემცირდა, რაც უკავშირდება: თანატოლებთან კომუნიკაციის ნაკლებობას, სასწავლო პროცესის ხშირ ცვლილებებს, დაბალი ხარისხის ტექნიკას, ინტერნეტს, სტრესს და ა.შ.[27] აღნიშნულიდან გამომდინარე, დისტანციურმა რეჟიმმა, მოსწავლეებში გამოიწვია აკადემიური შედეგების ვარდნა.

---

[26] International Journal of Educational Research , **Socio-demographic determinants of children home learning experiences during COVID 19 school closure**

[27] ქადაგიძე მ. COVID19-ის გავლენა სასკოლო განათლების სისტემაზე. კვლევა 2021. გვ. 11-15

თავი 2. მოზარდობა და სწავლასთან დაკავშირებული თეორიები

2.1. სოციალიზაცია და სოციოლოგიური თეორიები

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი ირვინ გოფმანის (1922-1982) თეორიის მნიშვნელოვანი ცნებებია: სოციალური სტატუსი და სოციალური როლი. სოციალური მდგომარეობის აღსანიშნავად სოციოლოგები სტატუსის ცნებას ხმარობენ, რაც ინდივიდის, თუ სოციალური ჯგუფის პოზიციაა საზოგადოებაში. სტატუსი ჩვენი სოციალური იდენტობის ნაწილია, რომელიც ინტერაქციაში გვეხმარება. ადამიანები ცხოვრების განმავლობაში ათობით სხვადასხვა სტატუსს იძენს, თუ კარგავს. არსებობს მიწერილი, მიღწევადი და ძირითადი სტატუსები. სოციალური სტატუსის ცნების საფუძველი არა ეკონომიკური, არამედ სოციალური მდგომარეობაა. სოციალური სტატუსის კვლევა კი მარქს ვებერის სახელთან არის დაკავშირებული. როგორც აღვნიშნეთ საზოგადოებაში ადამიანს აქვს სტატუსი და მის შესაბამის როლს ასრულებს. სტატუსი და როლი ძირითადად დამოკიდებულია კულტურაზე.[28]

სოციალიზაცია არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოსდა ბავშვი სოციალიზაციის პასიური მხარეა, რომელზეც ზემოქმედებს უფროსები. თვითონ მოზარდიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალიზაციაში. საინტერესოა რა გავლენას ახდენს სოციალური გარემო მოზარდების აღზრდის პროცესზე, როგორ აყალიბებს სოციუმი თითოეული ინდივიდის ქცევას და საქმიანობას. გარემო ეს არის პირობების

[28] ქეცბაია კ, სოციოლოგიის შესავალი. თბ; 2011. გვ. 152

ერთიანობა, რომელთაგან ზოგი ხელს უშლის, ზოგიერთი კი სტიმულს აძლევს ადამიანს სიცოცხლესა და საქმიანობაში.[29] სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ინდივიდი ეუფლება სხვადასხვა კონკრეტული ჯგუფისთვის მისაღებ ნორმებს. სოციალიზაციის პროცესი შეიძლება სამ ეტაპად გამოიყოს: 1) ბავშვის აღზრდა ოჯახის ან სხვა მომლელის მიერ. 2) ისეთი სოციალური ინსტიტუტების ჩართვა როგორიც არის სკოლა, თანატოლები, ტელევიზია და ა.შ. 3) ზრდასრულთა სოციალიზაცია, რაც გულისხმობს ისეთ სოციალურ როლებთან ადაპტაციას, როგორიც არის მშობლის ფუქნცია, ქორწინება, ახალი სამუშაო და ა.შ. მნიშვნელოვანია პედაგოგმა გაითვალისწინოს სოციალიზაციის ეტაპის სპეციფიკა და ის, თუ რა ახდენს გავლენას სოციალიზაციის პროცესზე.[30] სოციალიზაცია არის ინდივიდის მიერ გარკვეული ცოდნის სისტემის, ნორმების და ღირებულებების ათვისების პროცესი, რომელიც საზოგადოების სრულფასოვან წევრად, ფუნქციონირების საშუალებას აძლევს.

სოციალიზაცია სხვადასხვა პროცესებს გულისხმობს, რომლის საშუალებითაც ადამიანები იღებენ იმ ცოდნას და უნარებს რაც საზოგადოებაში სჭირდებათ. სოციალიზაციის პროცესები გადის ფაზებს: ბავშვობა/სიყმაწვილე, მომწიფულობა მოხუცებულობა, მთელი ამ პერიოდის მანძილზე სოციალიზაცია მოიცავს კრიზისულ სიტუაციებს.

მშობლების და შვილების სოციალიზაციის გამოკვლევებით, მშობლების ქცევასა და შვილების პიროვნულ ნიშნებს შორის კავშირი დასტურდება. წინაზე ამ კავშირში ბავშვზე

---

[29] დიუი ჯ. დემოკრატია და განათლება. თბ; 2010.გვ. 13

[30] ტაბატაძე შ, ნაცვლიშვილი ნ. ინტერკულტურული განათლება. თბ: 2004. გვ. 8

მშობლის გავლენას ასახელებდნენ, ახლა კი ფიქრობენ, რომ ეს შეიძლება მშობლებზე შვილების გავლენასაც ასახავდეს. სოციალიზაცია ბავშვობას უკავშირდება, თუმცა მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება. ადამიანები მუდმივად იგებენ ახალ ინფორმაციას და ახალ ცვლილებებს ეგუებიან. დიდობის და ბავშვობის სოციალიზაცია განსხვავდება თავისი შინაარსით. ბავშვობაში ძირითადად საზოგადოების ღირებულებათა და ნორმათა სისტემაში შესვლა ხდება, დიდობაში კი სოციალიზაციის ძირითადი კერებია: ოჯახი, სამუშაო გარემო, ახლობლები და ა.შ.

ყველასთვის ცნობილია სიტყვა *მე* და *მე-ს* მნიშვნელობა, თუმცა უცნობია როგორ გვიყალიბდება მე-ს განცდა და რისგან შედგება *მე-ს კონცეფცია?* საიდან ვიცით როგორი პიროვნული ნიშნებია ჩვენთვის დამახასიათებელი ან როგორ შთაბეჭდილებას ვახდენთ სხვებზე? ეს, ის კითხვებია რომლებიც ცდილობენ პასუხი გასცენ სოციალურ ფსიქოლოგიას, რადგან „მე“ სოციალური პროცესების მონაწილეც არის და შედეგიც.

სოციალურ ფსიქოლოგიაზე გავლენა იქონია მე-ს განვითარების შესახებ სოციოლოგიის, ამერიკელი ფსიქოლოგიის და ფილოსოფიის ჯორჯ მიდის (1863-1931) შეხედულებებმა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. მე-ს ორბუნებიანობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჯორჯ მიდზე, რადგან სხვები ესოდენ მნიშვნელოვანი არიან მე-ს განვითარებაში.

ამერიკელ ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი ჯონ დიუის (1859-1952) მიაჩნდა, რომ აზროვნების უნარი განასხვავებს სწორედ ადამიანს სხვა ცხოველებისგან. მას მიაჩნდა, რომ

ფსიქიკა გარემოებასთან შეგუების პროცესია და გაიაზრა მიდის იდეაც, რომ გონება სოციალურ ინტერაქციათა წყაროებით წარმოიქმნება და მიმდნარეობს.

ამერიკელმა სოციოლოგმა, ჩარლზ ჰარტონ კულიმ (1864-1929) წამოაყენა სარკული მე-ს ცნება. მას აფასებს მთელი მსოფლიოს სოციოლოგიური აზრის ისტორია, მისი თეორია ისევ და ისევ „სარკისებრი მეს“ თეორიაა, რამაც დიდი ცნობადობა მოუტანა. იგი ამ თეორიის მიხედვით ცდილობს ინდივიდის და საზოგადოეის წინააღმდეგობების მარადიული პრობლემის გადაწყვეტას. ჩარლზ კულს მიაჩნია, რომ ინდივიდებს საზოგადოება აყალიბებს, ხოლო საზოგადეობას ინდივიდები ჰქმნიან.

მე-ს კონცეფციაში ნაგულისხმევია სხვა ადამიანები: წარმოვიდგენთ თუ როგორები ვართ სხვა ადამიანების თვალში, წარმოვისახავთ სხვა ადამიანის მიერ ჩვენი ქცევის შეფასებას, განვიცდით საკუთარი თავის მიმართ გარკვეულ გრძნობებს. კულის მიხედვით ადამიანი რეაგირებს იმ განწყობაზე, რომელიც თვითონ ჰგონია, რომ აქვს მის მიმართ სხვებს და არა რეალურ განწყობაზე. შესაბამისად, ეს წარმოსახვითი, ნავარაუდევი განწყობა განსაზღვრავს მე-ს. მე-ს მთავარი საყრდენი ადამიანების მხრიდან, მისი აღიარებაა, ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი „სხვებია“, ბავშვისთვის ეს არის მშობლები. მე-ს განვითარების პირველ სტადიაზე ბავშვი სხვა ადამიანების როლის აღებას ეუფლება. მაგალითად, ბავშვი ირგებს და თამაშობს: „მასწავლებლის“, „დედის“, „ექიმის“, „მეგობრის“ და სხვა ადამიანების როლებს.

მე-კონცეფციაზე გავლენას ახდენს პიროვნების სოციალური კონტექსტი. მე-ს კონცეფცია მოიცავს ინდივიდის ყველა შეხედულებას და გრძნობას საკუთარი თავის, როგორც

ობიექტის მიმართ. მე-კონცეფცია ძირითადად მოიცავს პიროვნულ ნიშნებს, უნარებს, განწყობებს, ღირებულებებს, სოციალურ იდენტობებს და ა.შ. აღნიშნული კონცეფცია შედგება საკუთარი თავის მიმართ ინდივიდის შეხედულებებისა და გრძნობებისგან, ხოლო თვითაღქმა გულისხმობს საკუთარი თავისადმი გარკვეული პიროვნული ნიშნების მიწერას. მე-ს სქემა აღქმის განსხვავებულ ასქპექტს იკვლევს, მას აინტერესებს ადამიანი როგორ აწესრიგებს ინფორმაციას. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმით, თუ როგორ არიან მათი მე-ს სქემები ორგანიზებული, შესაბამისად გარე სამყაროსაც განსხვავებულად აღიქვამენ.

მე-ს სქემები ადამიანის ქცევის რომელიმე ასპექტის განმეორებითი კატეგორიებით იქმნება. მაგალითად, თუ მოზარდი სხვებთან ერთად ხშირად ახასიათებს სიზარმაცეს, მას სიზარმაცის მე-სქემა უყალიბდება.

ადამიანები ხშირად ფიქრობენ საკუთარ შესაძლებლობებზე, მომავალზე, საკუთარი ცხოვრების გეგმებზე, რასაც შესაძლებელი მე-ები ეწოდება, მე-ში კი აისახება მისი მოტივები, მიზნები და ხდება საკუთარი ქცევის ინტერპრეტირება.

რაც შეეხება თვითშეფასებას, თვითშეფასება, მე-ს კონცეფციის ერთ-ერთი კომპონენტია. ეს არის საკუთარი მე-ს მიმართ დადებთი ან უარყოფითი განწყობა და განწყობის ხარისხი. თვითშეფასებაში მნიშვნელოვანი წვლილი სხვებს შეაქვთ და აღნიშნული მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქცევაზე. მაღალი თვითშეფასების მქონე ბავშვები და მოზარდები ქცევის უფრო მაღალ სტანდარტებს ისახავენ მიზნად და სკოლაში უკეთესად სწავლობენ, ისინი მეტადაც არიან დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში და ნაკლებად ახდნენ მასზე სხვები გავლენას ის პოზიტიურ

კავშირშია ცხოვრებით კმაყოფილებასთან.[31]

ჩარლზ კულის თანახმად, თვითობის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელობა ენიჭება პირველად ჯგუფებს: ოჯახს, თანატოლებს, ახლობლებს. როდესაც ბავშვს პატივისცემით ეპყრობიან, მაშინ ეს მასზე აისახება სარკისებურად და თვითონაც იწყებს საკუთარი თავის პატივისცემას, რაც სამომავლოდ ვლინდება პატივისცემაში, ადეკვატურ სოციალურ მოქმედებაში. ამ დროს, იზრდება სამართლიანი, ჰარმონიული, ჰუმანური პიროვნება. ხოლო, როდესაც ოჯახში, ბავშვობიდან მოკლებულია სიყვარულს, გარშემომყოფებისგან ვერ გრძნობს პატივსცემას და დაფასებას დიდი ალბათობით სარკისებურად, ნეგატიურად აისახება თვითობაზე. როლები რომლებიც უნდა ითამაშოს საზოგადოების წინაშე მოლოდინების შესაბამისი არ იქნება და თავისი ქვცევები სამომავლოდ უარყოფითად, ნეგატიურად აისახება. როგორც კული ამბობს: „ბავშვი ითვისებს გარშემომყოფთა ქცევებს და ამგვარად უყალიბდება თვითობა“, გააჩნია როგორ მოექცევა მას საზოგადოება. როგორც, აღვნიშნეთ, ჩარლზ კულიმ პირველმა შემოიღო პირველადი ჯგუფის ცნება, ოჯახის მიმართ, რომლის წევრებს შორის მდგრადი ემოციური ურთიერთობები ყალიბდება. კულის თანახმად, ოჯახი ითვლება „პირველადად“, რადგან არის პირველი ჯგუფი, რომელიც ბავშვის სოციალიზაციის პროცესში ძირითად როლს ასრულებს და ადამიანისათვის ჯგუფი სასიცოცხლოდ აუცილებელია.

თვითობის კონცეფცია, ასევე შეიცავს სოციალიზაციის პროცესის აღწერას. სოციალიზაციის პირველ ეტაპზე ბავშვის

[31] ბალიაშვილი მ. სოციალური ფსიქოლოგია. თბ; 2013წ. გვ. 38-70

ცხოვრებაში - სიმბოლოებით ოპერირება შეზღუდულია, რადგან ბავშვი იწყებს შესაბამისი სიმბოლოების გაცნობას, ხოლო მოზარდი სწავლობს სხვა ინდივიდების როლების ათვისებას ასაკის მატებასთან ერთად. იგი სწავლობს როგორ მოახდინოს თავისი საქმიანობის სხვებთან კორდინირება და საკუთარი თავი დაინახოს ისე, როგორც მას სხვები ხედავენ. ეს ჯგუფი თანდათან ფართოვდება, ვიდრე არ მიაღწევს იმ დონეს რასაც საზოგადოება ჰქვია. სწორედ ამ პერიოდს ჯორჯ მიდი როლების ათვისებას უწოდებს, საკუთარ თავს განიხილავს იმ პოზიციიდან, რასაც საზოგადოება აყალიბებს მასთან მიმართებაში.[32]

აღნიშნულიდან გამომდინარე სოციალიზაცია ბავშვობას უკავშირდება, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება, თუმცა მოზარდობის პერიოდის, თავისებურებების გათვალისწინებით ძალზედ საყურადღებოა მოზარდობის პერიოდში გარე სამყარო, მე-ს კონცეფცია, საკუთარი მე-ს ჩამოყალიბება, თვითაღქმა, რაც მოზარდის ქცევაზე, აკადემიურ წინსვლაზე და მოტივაციაზე ახდენს გავლენას. აქ, კი, პოზიტიურ განვითარებაში წვლილი მიუძღ-ვის: ოჯახს, მშობლებს, პედაგოგებს და იმ გარემოს სადაც მოზარდი იმყოფება.

ამ თეორიების თანახმად, პიროვნება არის სოცია-ლური ინტერაქციის ფუნქცია, სადაც ინდივიდი სწავლობს საკუთარი თავს როგორც ობიექტს სხვა ადამიანების თვალით დანახულს. თუ პარალელს გავავლებთ სასკოლო განათლებაში, მივხვდებით თუ რაოდენ დიდი როლი აკისრია სკოლას, პედაგოგს, მშობლებს და ოჯახს მოზარდის

---

[32] კაჭკაჭიშვილი ი. სოციალური მოქმედებების თეორიები. გამომცემლობა მეცნიერება. თბ; 2001.გვ. 160-164

ცხოვრებაში, რადგან, ძირითადად ამ ადამიანების შეხედულებით აღიქვამენ ისინი საკუთარ თავს.

სოციოლოგიური თეორიები განათლებაზე - სოციოლოგიის კლასისკოს მაქს ვებერს განათლების შესახებ სპეციალური ნაშრომი არ დაუწერია, მაგრამ განათლება მჭიდრო კავშირშია, იმ სოციალურ პროცესებთან, რომლებსაც მაქს ვებერი იკვლევდა. იგი განათლების პრობლემატიკას საკუთარი სოციოლოგიური კონცეფციის ისეთ ცნებებთან მიმართებაში განიხილავს, როგორებიცაა რაციონალურობა, ბიუროკრატიის თეორია და სოციალური სტრატიფიკაცია.

სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან შედარებით განათლებას რაციონალობის მაღალი ხარისხით ახასიათებს. საზოგადოების რაციონალიზაციასთანაა დაკავშირებული ვებერის ბიუროკრტატიის თეორია. განათლების სისტემა ბიუროკრატიული მმართველობის მოთხოვნებთანაა შესაბამისობაში: სამოხელეო აპარატების პროფესიული მომზადება და კვალიფიკაციის დადასტურება შესაბამისი მოწმობის სახით. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად შესაბამისი გამოცდებია ჩასაბარებელი, მიღებული დოკუმენტი კი სოციალური პრესტიჟია. ამ პუნქტში ვებერი ეხება განათლებისა და სოციალური სტრატიფიკაციის ურთიერთმიმართების საკითხს. როდესაც ადამიანს აქვს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ის საზოგადოების სტატუსურ იერარქიაში, წინსვლის პირობა ხდება. ვებერის განაზრებებმა თანამედროვე განათლების სოციოლოგიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ფრანგი სოციოლოგი და ფსიქოლოგი დავიდ ემილ დიურკემის (1858-1917) მიხედვით განათლება საზოგადოებაში

პოზიტიურ ფუნქციას ასრულებს. განათლების მეშვეობით საზოგადოებაში გავრცელებული კულტურული ღირებულებები თაობიდან თაობას გადეცემა. როცა კულტურული ღირებულებები განსხვავებულია შესაბამისად განათლების შინაარსიც განსხვავებულია. განათლება არის როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმი.

ხოლო, სტრუქტურულ-ფუნქციური თეორია, ოჯახს სოციალური სისტემის ჭრილში განიხილავს. აქცენტს ოჯახის სტრუქტურასა და ფუნქციაზე აკეთებს. ტალკოტ პარსონსი (1902-1979) სტრუქტურულ - ფუნქციონალისტური თეორიის ფუძემდებელია. პარსონსის აზრით, ოჯახს ორი ფუნქცია აქვს: ინსტრუმენტული და ექსპრესიული. ინსტრუმენტულში მოიაზრება ოჯახის წევრების ფიზიკური საჭიროებების უზრუნველყოფა, როგორიც არის საკვების, ტანსაცმელის და მსგავსი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ხოლო, ექსპრესიული, ემოციურ მხარდაჭერას და ფსიქოლოგიური წონასწორობის, მდგომარეობის შენარჩუნებას ასახავს. ოჯახის ფუნქციის შესრულება დამოკიდებულია როლების განაწილებაზე. აღნიშნული მოდელის მიხედვით ინსტრუმენტული ფუნქციის შესრულებაზე მამაკაცი მაშინ არის პასუხისმგებელი, როცა ქალი ემოციური მხარდაჭერის მიხედვით წარმოადგენს საყრდენს.

აღნიშნულმა თეორიამ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ოჯახის კვლევის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებაზე და საკვლევი ინსტრუმენტების შექმნაზე.

ფრანგმა სოციოლოგმა რაიმონდ ბუდონმა წიგნში „შანსების უთანასწორობა: სოციალური მობილობა ინდუსტრიულ საზოგადოებაში“, განათლება- საზოგადოების სოციალური კვლავწარმოების რაკურსში განიხილა, თუ რა

სახის განათლება უნდა მიიღონ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა შვილებმა. მსგავსი ფაქტორები ბუდონის აზრით, სოციალურ უთანასწორობას ადგენს. განათლების არჩევასა და სოციალურ პოზიციას შორის არსებული კორელაცია მის მიერ შექმნილი თეორიული სქემის მიხედვით გამოიყურება შემდეგნაერად.

- საგანათლებლო სისტემაში ინდივიდი და მისი ოჯახი იძულებული არიან მიიღონ გადაწყვეტილება - თუ მათთვის განათლების რამდენი საფეხურია აუცილებელი.
- ყველა ახალი გადაწყვეტილება, მომავალ სოციალურ პოზიციასთან ასოცირდება და მოგებას გულისხმობს.
- განათლების მოსალოდნელი მოგება, იმ ინდივიდებში უფრო მაღალია, რომლთა სოციალური იერარქია უფრო მაღალ საფეხურზეა.
- განათლების ღირებულება, იმ ინდივიდთათვის უფრო მაღალია, რომელთა სოციალური იერქია დაბალ საფეხურზეა.[33]

შესაბამისად რაიმონდ ბუდონმა სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით, წარმოადგინა, როგორ ვრცელდება უთანასწორობა განათლების სფეროში, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლობს შორის. ბუდონი აკეთებს დასკვნას, უთანასწორობას ფუნქციონალური ხასიათი აქვს, ეს კი საზოგადოების წონაწორობის სისიტემის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

[33] ქეცბაია კ. განათლების სოციოლოგია. თბ:2014. გვ. 176

2.2. მოზარდის მორალური განვითარება და ასაკობრივი პერიოდიზაცია

ფსიქოლოგიის კვლევის საგანია ადამიანის განვი-თარება და ფსიქიკის ასაკობრივი დინამიკა. განვითარების ფსიქოლოგიის, ერთ-ერთი დარგია - გარდამავალი ასაკის მოზარდის ფსიქოლოგია. გარდამავალი არის ასაკი 10 - დან 16 წლამდე, იგი დაახლოებით მოიცავს IV-VIII კლასებს. ამ ასაკს **მოზარდობის** ასაკს უწოდებენ. სიცოცხლის არცერთ პერიოდს არ გააჩნია, იმდენი სახელწოდება რამდენიც მოზარდობას. მოზარდობას, ასევე უწოდებენ გარდატეხის, კრიზისულ, ძნელ და კრიტიკულ ასაკს, რა დროსაც, ბავშვობიდან მოწაფულობაში ხდება გადასვლა.

მოზარდი ვითარდება ასაკობრივი, ინდივიდუალური შესაძლებლობების და გარეგანი ობიექტური პირობების შესაბამისად. ადამიანის განვითარება განიხილება, როგორც რთული პროცესი. ადამიანის ცხოვრების მთელი გზა შეიძლება დავყოთ: მოზარდობა, მოწიფულობა და მოხუცებულობა. მოზარდობა, როგორც ვახსენეთ ყველაზე სენსიტიური პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში.[34]

ერთმანეთს, რომ შევადაროთ მეოთხე კლასელი და მერვე კლასელი, დავინახავთ, რომ მათ შორის, ამ მოკლე დროში ბევრი განსხვავებაა: ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, თუ სოციალური. განსაკუთრებით სირთულეს წარმოადგენს გარდამავალი ასაკი, ვიდრე უმცროსი სასკოლო ასაკი. მათი სასწავლო საქმიანობა არსებითად იცვლება, ხშირად ინტერესს ამჟღავნებს იმ ცოდნის მიმართ, რომელიც

[34] ბერიშვილი ჯ. პედაგოგიკა. თბ; 1995. გვ. 37

სასკოლო პროგრამას სცდება. ამ პერიოდში ხშირად შეინიშნება სწავლისადმი არასტაბილური დამოკიდებულება. როგორც ვახსენეთ ამ ასაკის მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბება ხდება იმ მიმართულებებში, როგორიც არის: მე-ს ცნობიერება, თვითშეფასება, თვითცნობიერება და მოწიფულობის გრძნობა. აქ კი დიდი პასუხისმგებლობა აკისრია პედაგოგს და მშობელს, ვისაც უშუალოდ, აღმზრდელის პოზიცია უჭირავს.[35]

ჯერ კიდევ ასაკობრივი პერიოდიზაცია, ანტიკურ ხანაში წარმოადგინა მოაზროვნე არისტოტელემ: 1) დაბადებიდან 7 წლამდე. 2) 7 წლიდან სქესობრივი მომწიფების დაწყებამდე. 3) 14 წლიდან 21 წლამდე.

ცნობილი ფსიქოლოგი ერიკ ჰომბურგერ ერიქსონმა (1902-1994), შემოგვთავაზა ადამიანის განვითარების 8 სტადია, ხოლო აქედან ხუთი ბავშვს მიუძღვნა, სამი კი მოზრდილობას, ბავშვობის ასაკს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა. ერიკ ერიქსონის აზრით, მოზარდობის ასაკში ადამიანი სხვადასხვა სოციალურ როლს მოსინჯავს: დის, ძმის, მოსწავლის, მეგობრის და ა.შ. ამ ასაკში ბავშვი ხშირად ფიქრობს საკუთარ თავზე: ვინ არის, რა შეუძლია, როგორია მისი შეხედულებები, პოზიცია, როგორ უნდა ერთვებოდნენ მისი აღზრდის პროცესში მშობლები, ახლობლები, როგორია მისი ირგვლივ გარემო, სოციალური პირობები. ამ პერიოდში, თუ არ მოხდა მე-ს ჩამოყალიბება, იწყება იდენტურობის დიფუზია და ხშირად უჩნდება საკუთარ თავთან თუ სხვებთან კონფლიქტი.[36]

გარდამავალი ასაკი, პიროვნების ფორმირების

---

[35] გოგიჩაიშვილი თ. განვითარების ფსიქოლოგია. თბ;2005. გვ. 117

[36] ბერკი ლ. ბავშვის განვითარება.გამომცემლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ;2010. გვ. 26-27

საპასუხისმგებლო პერიოდია, მოზარდს უჩნდება საკუთარი შინაგანი სამყაროსადმი დიდი ინტერესი და საკუთარი გრძნობების გაგების სურვილი. ამ პერიოდში მოზარდი ნახევრად ბავშვია და ნახევრად მოზრდილი. შესაბამის პერიოდში ბავშვები მნიშვნელოვნად ვითარდებიან ფიზიკურად, გონებრივად, სოციალურად და ზნეობრივად. გარდამავალ ასაკში მოზარდის სასწავლო საქმიანობა არსებითად იცვლება, ფართოვდება სწავლის ცნება. უმცროს კლასელებთან შედარებით მოზარდებს უვითარდებათ სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულება. შესაბამისად ამ ასაკში მოზარდის ინტერესები და შესაძლებლობები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, რაც განპირობებულია სხვადასხვა გარემოებებით; აღზრდის სტილით, ოჯახური მდგომარეობით, სოციო-ეკონომიკური პირობებით და სხვა.[37]

ქართველი მეცნიერის, პედაგოგიკის და ისტორისკოსის გიორგი თავზიშვილის ცნობით, ბავშვის განვითარების ასაკობრივი პერიოდიზაცია საქართველოში, პირველად სულხან-საბა ორბელიანს მოუცია. სამწუხაროდ, არ არის ცნობილი რის საფუძველზე ახდენდა აღნიშნულის პერიოდიზაციას, თუმცა გიორგი თავზიშვილის აზრით, სულხან-საბა ორბელიანი, ბავშვის განვითარების პერიოდებს უკავშირებს სწავლა-განათლების, იმ საფეხურებს, რომლებიც მისი დროის საქართველოში იყო ცნობილი. მაგალითად ხუთ წლამდე - სწავლების წინა პერიოდი. ხუთი წლიდან ათ წლამდე - დაბალი განათლება. ათიდან თხუთმეტ წლამდე - საშუალო

[37] გოგიჩაიშვილი თ. განვითარების ფსიქოლოგია(სასკოლო ასაკი) თბ; 2005. გვ. 59-69 გვ

განათლება და თხუთმეტიდან ოც წლამდე მაღალი განათლება.[38]

ქართველი ფსიქოლოგი, დიმიტრი უზნაძის თეორიის თანახმად, გარკვეული ცვლილებები ხდება საშუალო სკოლის დასაწყის წლებში, რომელიც მოიცავს 11-დან 13-წლის მიმდინარეობას, მოზარდი ამ ასაკში არ დაუფლებია სისრულით ცნობიერებას, ის ეუფლება ცნებების ლოგიკურ ურთიერთობას.[39]

დიმიტრი უზნაძე, განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს ასაკობრივ გარემოს, მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების შესაბამის, მოწესრიგებულ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ფიზიკურ ფაქტორებს, რომელიც უზრუნველყოფს მოზარდების შესაძლებლობების განვითარებას, ხოლო განვითარებული შესაძლებლობები, სისტემატიურად მოითხოვს სასწავლო გარემოს მოდიფიცირებას. ბავშვში იკვეთება საითკენ არის მისი ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები, ეს არის განსაკუთრებული, სპეციფიკური ასაკი, როცა მშობელს, პედაგოგს და გარე სამყაროს დიდი როლი აკისრია, მოზარდის შესაძლებლობების ჩამოყალიბებაში.[40]

საქართველოს ბავშვთა უფლებათა კოდექსში, „მოზარდი“, როგორც ტერმინი წარმოადგენს, 10-დან 18 წლის ახალგაზრდას.[41] წესისამებრ, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, განვითარების უზენაესი კანონის საფუძველზე უნდა მიმდინარეობდეს. ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხი,

---

[38] ჭკუასელი ქ, ჭკუასელი ი. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები.თბ; 2012. გვ. 96

[39] უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. საქართველოს მაცნე. თბ; 2006. გვ. 236-238

[40] ბოკუჩავა ნ. დიმიტრი უზნაძის ზოგადპედაგოგიური კონცეფცია. თბ; 2017. გვ. 57-58

[41] საქართველოს კანონი, ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019

რომელიც პედაგოგიკის კვლევით არეალს მიეკუთვნება, არის განვითარების, მიღწევების და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია ზოგადი განათლების და საგანმანათლებლო სისტემის განხილვა.

განვითარება გულისხმობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიზანმიმართულ და შეუქცევად ცვლილებათა რიგს. განვითარების პროცესებთან დაკავშირებით XVII-XVIII საუკუნეებში გამოიკვეთა ორი შეხედულება: *ნატივიზმი და ემპირიზმი.* ნატივისტური მიდგომით, განვითარება განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მემკვიდრეობითი კუთხით, ხოლო ემპირიული მიდგომით, გარე მახასიათებლებით, თუნდაც პირობებით, შესაძლებლობებით, აღმზრდებითი ფორმებით და ა.შ.

ნატივისტური თეორიის თანახმად, ბავშვს დაბადებიდან დაჰყვება ადამიანური უნარი, გარემო მხოლოდ ხელსაყრელ პირობებს ქმნის თანდაყოლილი მონაცემების სრულყოფილებაში. აღნიშნულის თანახმად, იგნორირებულია ბავშვის პიროვნებაზე გარემოს ზემოქმედება, ხოლო ემპირისტული, როგორც აღვნიშნეთ, ნატივისტურის საპირისპიროა, აქ ყველაფერი დამოკიდებულია გარემოზე. ამ ორ საპირისპირო თეორიას შორის, წინააღმდეგობას ხსნის ცნობილი გერმანელი ფსიქოლოგის ვილჰელმ შტერნის კონვერგენციის თეორია. მისი თეორია კომპრომისული ვარიანტია ნატივისტურ და ემპირსტულ თეორიებს შორის. განვითარება არის რეზულტანტი, შინაგანი მოცემულობის კონვერგენციისა გარე პირობებთან. შესაბამისად შტერნის აზრით, ადამიანის განვითარებას წარმართავს, როგორც ბიოლოგიური, ისე სოციალური გარემო.

მოზარდის ფსიქიკის განვითარების თანამედროვე

თეორიები მიუთითებენ შემდეგს: რომ ადამიანის განვითარება არის ერთად მოქმედი მრავალი ძალის შედეგი, ის არის ბიოლოგიური და კულტურული საწყისების ურთიერთქ-მედების სინთეზი, რომელიც გრძელდება მთელი სიცოხლის მანძილზე. ადამიანის და კერძოდ, მოზარდის ფსიქიკის განვითარებაზე, მოქმედებს ბიოლოგიური, ანთროპოლო-გიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები.

განვითარების პროცესში მოზარდები იხვეწებიან, იგებენ მშობლებთან, თანატოლებთან ურთიერთობის ფორმებს და სწავლობენ საზოგადოებასთან ერთად ცხოვრებას.

მე-20 საუკუნის ოციან წლებში, დიმიტრი უზნაძემ, წარმოადგინა კოინციდენციის თეორია, განვითარების პროცესის განმსაზღვრელი ფაქტორების მემკვიდრეობი-თობისა და გარემოს ურთიერთობის პრობლემის გადაწყვეტა. შესაბამისად, საგანმანათლებლო სივრცემ ღირსეული ადგილი უნდა დაუმკვიდროს კოინციდენციის თეორიას, როგორც ადამიანის ფიზიკური და სულიერი ფორმირების პროცესში განვითარების აბსტრაქტული სიზუსტით წარმომჩენს.

ასაკობრივი თავისებურებების გაუთვალისწინებას მივყავართ იქამდე, რომ მშობლებს უჭირთ შვილების მოთხოვნილებების და საჭიროებების გაგება. ფსიქოლოგები გვეუბნებიან, რომ მშობლებს უნდა ახსოვდეს - მოზრდის, განვითარების შესაბამის ეტაპი,ასაკიდან გამომდინარე თანამშრომლობა და დამოკიდებულება. მოზარდი უნდა იღებდეს თანადგომას და დახმარებას. სწორი აღზრდა და ბავშვის პოტენციალის, შესაძლებლობების გათვალისწინება, ეხმარება სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბებაში.[42]

---

[42] კახიანი ჯ. ფსიქოლოგიის რჩევები მშობლებს, გამომცემლობა შემეცნება. თბ; 2010. გვ. 100-103.

რაც შეეხება ***მორალურ განვითარებას*** - შვეიცარელი ფსიქოლოგი ჟან პიაჟეს (1896-1980) აზრით, მორალი არის საზოგადოებაში მიღებული და დამკვიდრებული მორალური წესებისადმი პატივისცემა. ბავშვებში მორალური გრძნობების გაგება ინტელექტუალური მომწიფების და სოციალური გამოცდილების პარალელურად მიმდინარეობს.

მოზარდს კოგნიტური შესაძლებლობები, საშუალებას აძლევს, სიტუაციები მრავალმხრივ შეაფასოს. შესაბამისად, კოგნიტური განვითარების ასაკობრივი ბარიერები ხელს არ უშლის მოზარდს მორალურ მსჯელობებში, ისე როგორც ეს სკოლამდელი ასაკის და შუა ბავშვობის პერიოდში ხდებოდა.

მოზარდები უფრო მნიშვნელოვანი მორალური დილემის წინაშე დგანან, მათ უნდა გადაწყვიტონ საკუთარ თავისუფლებას და პასუხისმგებლობებს შორის სად გადის ზღვარი. აბსტრაქტული აზროვნების და ეგოცენტრიზმის დაძლევის გამო, მათ უფრო კარგად ესმით, მორალური პრინციპები, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ეგო-ცენტრიზმი: ერთის მხრივ, მოზარდს სურს, რომ დაიმსახუროს გარშემომყოფების მოწონება, რისთვისაც საჭიროა სოციალური ნორმების დაცვა, სხვების აზრის გათვალისწინება. მეორე მხრივ, არსებობს ასაკობრივი ეგოცენტრიზმი, რომ იფიქროს საკუთარ თავზე, როგორც უნიკალურზე და არჩევანი საკუთარ სურვილებზე გააკეთოს.

ნებისმიერი წინააღმდეგობა მოზარდისთვის არის სასტიკი უსამართლობა, მათ აქვთ განცდა, რომ საზოგადოება მათ წინააღმდეგ არის განწყობილი და არ აფასებთ.

მორალურობა გულისხმობს, როცა ადამიანი, ამ შემთხვევაში მოზარდი განიცდის სინდისის ქენჯნას არასწორი ქცევის გამო, ხოლო სიამაყეს სწორი ქცევის გამო.

მორალურ განვითარებაში რამდენიმე სტადია არსებობს: მაგალითად; 4-5 წლამდე ასაკის ბავშვები ნაკლებად გამოხატავენ მორალური პრინციპების გაცნობიერებულობას. აქ, ბავშვებს სჯერათ, რომ წესები ძლიერია და ავტორიტეტების მიერ არის დადგენილი. ჟან პიაჟეს ნაშრომები, კიდევ უფრო მნიშვნელოვან დეტალებს მოიცავს, თუმცა მისი მორალური განვითარების პერიოდი 12 წლის ასაკში მთავრდება, ხოლო ადამიანის ინტელექტუალური განვითარება ამ ეტაპზე არ ჩერდება და 11-12 წლიდან იწყება ფორმალური ოპერაციების სტადია.

აღსანიშნავია, ამერიკელი ფსიქოლოგი ლოურენს კოლბერგის (1927-1987) მიერ ჩამოყალიბებული მორალური განვითარების სტადიები. როლური უნარ-ჩვევების განვითარება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მორალური განვითარების ერთ-ერთი ადრეული საფეხური. სადაც მორალური განვითარება იწყება 12 წლიდან, როდესაც მოზარდს აქვს კითხვები: „ვინ არის?“ და „რა არის მისთვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი?“. კოლბერგი გამოჰყობს მორალური განვითარების სამ საფეხურს: პრე-კონვენციონალურს, კონვენციონალურს და პოსტ-კონვენციონალურს.

ჩვენ, ყურადღებას ვამახვილებთ, მეორე დონეზე, რომელიც არის კონვენციონალური და მიეკუთვნება შუა, მაღალ კლასებს, სადაც ქცევას განაპირობებს სხვების მოწონება, სხვებისთვის სიამოვნების მინიჭება, ამ ასაკობრივი კატეგორიის მოსწავლეები (თინეიჯერები) მიეკუთვნებიან. მათი აზრით, ადამიანმა უნდა იცხოვროს, ისე როგორც ოჯახს, საზოგადოებას სურს, ხოლო ოდნავ მოგვიანებით პერიოდს, რომელიც არის თინეიჯერობის გვიანი პერიოდი, დამახიასიათებელია მოზარდების მხრიდან წესების დაცვა,

ავტორიტეტის პატივისცემა, წესრიგის შენარჩუნება. კოლბერგის თეორიას, თუ გავყვებით საკმაოდ ბევრის გაკეთება შეგვიძლია უფროსებს მოზარდის ცხოვრებში, აქ მნიშვნელოვანია, გარე სამყაროს მიერ მოზარდის აღიარება.

ასევე, მნიშვნელოვანია ვიზრუნოთ მოზარდის **განწყობაზე**. სულიერი და უსულო საგნები ერთანეთისგან განსხვავდება იმით, რომ სულიერი მოქმედებს, განახორციელებს აქტვობებს. ხოლო უსულო საგნის მდგომარეობა იცვლება სხვადასხვა გარეგანი ზემოქმედებით. უსულო საგანი, მხოლოდ ობიექტია სხვა ობიექტებს შორის. შინაგანი მისწრაფებები, რაც სუბიექტს აქტივობისათვის აღძრავს არის მოთხოვნილება, რაც გარემოს შესაბამისი ობიექტების დაუფლებაში გამოიხატება. მაგალითად, ცოდნის მიღების სურვილის მქონე მოსწავლე, თეორიული და სოციალური მოტივაციის საფუძველზე შესაბამისი ინფორმაციის მოძიების და შესწავლის აქტივობას ახორციელებს. აქედან გამომდინარე, მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე მიმართულ აქტივობას ქცევა ეწოდება, ქცევა კი დამოკიდებულია სუბიექტზე, ქცევა მხოლოდ მიზნობრივი აქტივობაა. ქცევას აქვს მეორე თვისებაც, როგორიც არის მიზანმიმართულობა, ეს კი გამოიხატება იმაში, რომ აქტები, რომლებსაც სულიერი არსება მიზნის მისაღწევად განახორციელებს ხორციელდება ობიექტური პირობების შესაბამისად.

ადამიანური ქცევა ითვალისიწინებს მიზნის შეგნებულად დასახვას. ადამიანი ცნობიერი არსებაა, მიზნის მიღწევაში ისახავს საჭირო გეგმას. ქცევის შემადგენლობაში გამოიყოფა ორი სტრუქტურული ბლოკი: შინაგანი და გარეგანი. ქცევის შინაგანი სტრუქტურაა - რა დროსაც ინტეგრირებულია ყველა ფსიქოლოგიური ფაქტორი,

რომელთა საფუძველზეც ყველა ცოცხალი ორგანიზმი ქცევის სუბიექტად ყალიბდება, ხოლო ქცევის გარეგანი სტრუქტურა მოიცავს ქცევის პრაქტიკული შესრულებისთვის საჭირო აქტივობებს ან აქტივობათა კომპლექსს.

ქცევის გარეგან სტრუქტურაში შედის აქტივობის ყველა ის ფორმა, რომელთა კომპლექსური მიმდინარეობა, ქცევის საბოლოო მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს. მაგალითად; სწავლის პროცესს, თუ განვიხილავთ, მოსწავლე ყოველი სასწავლო მიზნის მისაღწევად განახორციელებს სხვადასხვა ფსიქიკურ და ფიზიკურ აქტივობას.[43]

ქცევის შინაგან სტრუქტურას შეადგენს ქცევის ორგანიზაციის, ისეთი ფსიქიკური ფენომენები, როგორიცაა: მოთხოვნილება, მოტივი, მიზანი, გეგმა და სხვა ფსიქოლოგიური მოვლენები. ქცევის ფსიქოლოგიის მთავარ ამოცანას, შინაარსის შესწავლა წარმოადგენს. მოსწავლის მოქმედებები, მისი აქტივობის ფორმები და სწავლის ბუნება, შეუსწავლელი დარჩება, მანამ, სანამ არ გავარკვევთ, თუ რის საფუძველზე აღიძრა აქტივობა განსახორციელებლად.

ქართველი ფსიქოლოგი, დიმიტრი უზნაძე, სუბიექტის შემდეგნაირ დახასიათებას იძლევა, ის სუბიექტს ახასიათებს პიროვნულად გაუნაწევრებელ მთლიანობას. იგი, წყვეტს ფსიქოლოგიის უძველეს ფუნდამენტურ პრობლემას: ფსიქიკურის და ფიზიკურის ურთიერთობას.

შესაბამისად, განწყობა არის სუბიექტის მთლიანი მდგომარეობა, რომელიც გამოხატავს მზაობას კონკრეტული

---

[43] ჯანაშია ნ, იმედაძე ნ, გორგოძე ს. განვითარებისა და სწავლების თეორიები. თბ;2008. გვ 64.

ქცევის შესასრულებლად, განწყობა წარმოიქმნება მოთხოვ-ნილებების და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის საფუძველზე, ის განსაზღვრავს ფსიქიკური აქტივობის აღძვრას და მიმდინარეობას.[44] განწყობა წარმოადგენს ადამიანის მზაობას გარკვეული ქცევისადმი. მოთხოვნილების და სიტუაციის თანხვედრის შედეგად, ადამიანს უჩნდება შესაბამისი განწყობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ემოციურ დამოკიდებულებას ახალი შესასწავლი ინფორმაციისადმი, ადამიანს ამზადებს წინასწარ გარკვეული ქცევისადმი. გარე სინამდვილესთან ურთიერთობის დროს ადამიანი, რომელიც მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ცდილობს, სიტუაციის შესაბამისად იცლება. წინასწარი მზაობა განსაზღვრავს ქცევას და აღქმის შინაარსს. პედაგოგი, თუ ოჯახის წევრი, რომელსაც აღმზრდელობითი ფუნქცია აკისრია, მნიშვნელოვანია ესმოდეს განწყობის ფსიქოლოგია. პედაგოგს და მოზარდს ყველა ახალი აქტივობის დასაწყებად სჭირდება სპეციალური განწყობა და მზაობა, რომელიც მოსწავლეში გამოიწვევს სწავლისადმი მოტივაციას, ძალების და უნარ-ჩვევების ამოქმედებას. პედაგოგის განწყობა ორიენტირებული უნდა იყოს, მოზარდის მზაობის ზრდაზე.[45]

განწყობის თეორიის თანახმად, სასკოლო ცხოვრებაში, მაქსიმალურად უნდა მოხდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შემუშავება, რაც გულისხმობს, მოსწავლის აქტიურ ჩართვულობას სასწავლო პროცესში, მოსწავლის სურვილების და ინტერესების გათვალისწინებას, მოსწავლეზე

---

[44] უზნაძე დ. განწყობის ექსპერიმენტული საფუძვლები, საქართველოს მაცნე. თბ; 2009. 28გვ.

[45] მაღრაძე მ. განწყობის თეორია და განვითარების ფსიქოლოგიის ზოგადი საფუძვლები. გამომცემლობა ქუთასი 2008წ გვ. 21-30

მორგებულ სასწავლო მასალას და ა.შ.

2.3. მოზარდის შესაძლებლობები და აკადემიური შედეგები

აკადემიური მიღწევები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის და მით უფრო მოზარდის ცხოვრებაში. ის აღწერს აკადემიურ შედეგებს, რომელიც მიუთითებს, რამდენად მიაღწია მოსწავლემ სასწავლო პროცესის შესაბამის ეტაპს. ის არის მოსწავლის მიერ მიღწევვის შეჯამება და შეფასება, რომელიც პროგრამით არის გათვალისწინებული. აკადემიური მიღწევები სხვადასხვა კრიტერიუმით განისაზღვრება, როგორიცაა ქულები, ტესტები, სერთიფიკატები და სხვა. მეტ-ნაკლებად ასახავს პიროვნების ინტელექტუალურ შესაძლებლობას.

მოზარდის შემთხვევაში განსაზღვრავს, თუ რამდენად ეძლევათ შანსი სწავლა გააგრძელონ უმაღლეს სასწავლე-ბელში, გავლენას ახდენს პროფესიულ კარიერაზე.[46]

შეფასების მიზნებიდან გამომდინარე არსებობს მოსწავლის შეფასების ორი ფორმა: განმავითარებელი და განმსაზღვრელი: განმავითარებელი შეფასებისას აუცილებელი არ არის ნიშანი და ქულა, ხოლო განმსაზღვრელი საპირისპიროს წარმოადგენს და ქულების საშუალებით საზღვრავს მოზარდის შესაძლებლობებს. შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია: სანდოობა, ვალიდურობა,

---

[46] Steinmayer R, Meibner A. Academic Achievement.2014. https://www.researchgate.net/profile/Ricarda-Steinmayr/publication/351870823_Academic_Achievement/links/6200dd13b44cbe422729fcbc/Academic-Achievement.pdf

ობიექტურობა, გამჭირვალობა და სისტემურობა. ასევე, ცოდნის შეფასებაში არსებობს შეფასების ინსტრუმენტები: შეფასების სქემები, ანალიტიკური და ჰოლიტური შეფასება, თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება და ა.შ.

დიმიტრი უზნაძის აზრით, სწავლა არის ქცევის სპეციფიკური ფორმა, პედაგოგი უნდა იცნობდეს იმ გარემოს, რომელშიც მოსწავლეს უწევს ცხოვრება, და უნდა ითვალისწინებდეს, საქმიანობის წარმართვაში. სასკოლო პერიოდში, მოზარდის ყოფის, ძირითადი გარემო სკოლაა, სადაც მოზარდს უხდება ყოველდღიური საქმიანობა.[47] ფსიქოლოგი, დიმიტრი უზნაძე ამბობს: „მასწავლებელი ზუსტად და სიღრმისეულად უნდა ფლობდეს მოზარდის შესახებ ინფორმაციას, თუნდაც ოჯახური და სოციალური პირობების შესახებ“, რადგან, დროულად მოახერხოს პრობლემის იდენტიფიცირება და დახმარება.[48]

შვეიცარელი ფსიქოლოგი, ჟან პიაჟე (1896-1980), თვლის რომ ბავშვის სწავლა და მისი მიღწევები დამოკიდებულია ასაკობრივ მომწიფებასთან. მისი აზრით, სავალდებულოა მასწავლებელმა იცოდეს მოზარდის განვითარების რეალური დონე, რათა თავიდან აცილებულ იქნას პედაგოგიური შეცდომები. ჟან პიაჟეს თეორია, მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, მოახდინოს ბავშვის სწავლების პროცესზე შესაბამისი ორიენტირება. ბავშვის ინტელექტუალური განვითარება დამოკიდებულია კონკრეტულ ქმედებაზე. ასიმილაცია/აკომოდაცია მოითხოვს მოსწავლე იყოს აქტიური,

---

[47] ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024. http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsel

[48] ბოკუჩავა ნ. დიმიტრი უზნაძის ზოგადპედაგოგიური კონცეფცია, თბ; 2017. გვ 102

ბავშვს უნდა მიეცეს პრობლემის თვითონ გადაწყვეტის უნარი. პიაჟეს მთავარი ორიენტაცია აღებულია ბავშვზე, ბავშვის საჭიროებაზე და არა სასწავლო გეგმაზე. ბავშვზე ორიენტაცია, უნდა აისახოს შეფასებაშიც, რომელიც სასურველია იყოს ინდივიდუალური, ეფუძნებოდეს ბავშვის განვითარებაზე დაკვირვებას. ბავშვს სჭირდება პედაგოგთან და თანა-ტოლებთან ურთიერთობა, რათა შეაფასოს თავისი აზროვნება, შესაძლებლობები და დააკვირდეს ამოცანის ამოხსნის პროცესს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავშვი არის აქტიური მკვლევარი, რომ ის პირველ რიგში არის სოციალური არსება და სწავლობს სოციალური ინტერაქციით.[49]

მოსწავლის შესაძლებლობებზე საუბრისას, მიმოვიხილავთ ჰოვარდ ერლ გარდნერის „მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას“, ჰოვარდ ერლ გარდნერის თანახმად, ადამიანის ინტელექტი, მისი შესაძლებლობა და ზოგადი გონიერება, ერთი უნარი არ არის და ვერც გაიზომება ერთი საზომით. დაბალი, საშუალო და მაღალი ინტელექტის მიხედვით, ადამიანების შეფასება მიუღებელია, რადგან ადამიანები განსხვავდებიან სწავლის სტილით, უნარებით და მიდრეკილებებით. გარდნერმა გამოჰყო რვა უნარი, სადაც ადამიანები განსხვავებულად იღებენ ახალ ინფორმაციას. ადამიანებს, რაღაც განსაზღვრულ სფეროში აქვთ თავისი სიძლიერე, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია სწავლის პროცესში. გარდნერის ინტელექტის ფომებია:

- *ენობრივ-ლინგვისტური ინტელექტი* - უნარი შეისწავლო ენები და გამოიყენო განსაზღვრული მიზნებისთვის.

---

[49] მელიქიშვილი მ. ჟან პიაჟეს კოგნიტურიი განვითარების თეორია. მასწავლებელთა პროფესიუალი განვითარების ცენტრი. თბ; 2012 წ. გვ. 33-37

➢ *ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი* - უნარი აბსტრაქტული პრობლემების გადაჭრის, ლოგიკური ანალიზის, მათემატიკური ოპერაციების ჩატარების და მეცნიერული საკითხების კვლევის.

➢ *მუსიკალურ-რითმული ინტელექტი* - ალღო მუსიკალური პრიციპებისადმი, ბგერის სიმაღლის, ტონისა და რითმის შეგრძნების უნარი.

➢ *ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტი* - სამყაროს აღქმის და ვიზუალური გამოცდილების გამოყენების უნარი.

➢ *სხეულებრივ-კინესტეტიკური ინტელექტი* - სხეულის მართვისა და მისი მოძრაობების გაკონტროლების უნარი.

➢ *ნატურალური (ბუნებითი) ინტელექტი* - ბუნებისა და გარე სამყაროს წვდომის უნარი.

➢ *ინტერპერსონალური (სოციალური, პიროვნებათშორისი) ინტელექტი* - საკუთარი სამუშაოს კარგად დაუფლებისა და სხვების მოტივირების უნარი.

➢ *ინტრაპერსონალური (შიდაპიროვნული, ემოციონალური) ინტელექტი* -საკუთარი თავის შეცნობის, საკუთარი ცხოვრებისა და სწავლის პროცესის მართვის უნარი. ეს არის უნარი, გაუგო საკუთარ თავს, დაინახო საკუთარი პიროვნების ჭეშმარიტი სახე.

ყველა ბავშვი, ინდივიდი, დაჯილდოვებულია საკუთარი უნარით და ნიჭით. პედაგოგიური საქმიანიბის მიზანია, თითოეულ მოზარდზე და მის მიღწეულ შედეგზე ორიენტირებიდან გამომდინარე, თითოეული აღსაზრდელის მთლიანობაში განვითარება, ისე, რომ შემლოს საკუთარი შესაძლებლობების, სიძლიერის, პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენა და მაქსიმუმის მიღწევა. ამ ყველაფრის მისაღწევად აუცილებელია სწავლების პროცესში გავითვალისიწინოთ

მოზარდთა, აღსაზრდელთა შესაძლებლობები. ადამიანები ერთსა და იმავე ინფორმაციას განსხვავებულად იღებენ და ინახავენ. შესაბამისად, მათი სწავლება ინდივიდუალური სწავლების სტილზე უნდა იყოს მორგებული. დაუშვებელია მოსწავლის ერთი ინტელექტის სფეროში კლასიფიცირება. პედაგოგმა ისეთ სასწავლო აქტივობებს უნდა მიმართოს, სადაც ბავშვის უნარის, არა მხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა მიმართულება განვითარდება. აღნიშნული თეორიის, შეხედულების, უპირატესობა არის ის, რომ აფართოებს მასწავლებლის აზროვნებას სწავლებისადმი და გვაძლევს, იმის თქმის საშუალებას, რომ კონკრეტული ინტელექტი ბავშვს თან დაჰყვება, მაგრამ სხვა შესაძლებლობების განვითარება აღმზრედელის მონდომებაზეა დამოკიდებული.

სწავლებაზე და მოსწავლის შესაძლებლობებზე საუბრის დროს, გვერდს ვერ ავუვლით *ბლუმის ტაქსონომიას.* ამერიკელი ფსიქოლოგი ბენჯამინ ბლუმი (1913- 1999) სათავეში ჩაუდგა ფსიქოლოგებს, რომლებმაც დაამუშავეს ტაქსონომია, იგივე კლასიფიკაციის სისტემა გაათლების მიზნებისათვის. ტაქსონომია კოგნიტური მიზნების იერარქიას წარმოადგენს, ყოველი შემდეგი დონე უფრო რთულია. სწავლების მიზანი არა მხილოდ ცოდნის დაგროვება, არამედ მოზარდის სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნულის თანახმად, ინფორმაციის ცოდნა, გაგება სწავლისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია.

ბენჯამინ ბლუმმა და მისმა კოლეგებმა შეიმუშავეს ტაქსონომია, რაც ადამიანის აქტივობის სამ სფეროს აღწერს: კოგნიტურს, აფექტურს და ფსიქომოტორულს.

სამივე სფეროში კატეგორიები იერარქიულად, სირთულის მიხედვით არის დაყოფილი. ჩვენ ამჟამად

განვიხილავთ კოგნიტურ სფეროს. რომელშიც ყოველ მომდევნო საფეხურზე გადასვლა მხოლოდ წინა საფეხურის დაუფლების შემდეგ არის შესაძლებელი. ბენჯამინ ბლუმმა გამოჰყო შემეცნებითი სფეროს ექვსი დონე: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. ცოდნა, გაგება და გამოყენება, ქვედა სააზროვნო დონეში მოიაზრება, მას რეპროდუქციულ დონეებსაც უწოდებენ. ხოლო, ანალიზი, სინთეზი და შეფასება – ზედა დონეებია და ავითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს. [50]

ბლუმის ტაქსონომია გვაძლევს, იმის თქმის საშუალებას, რომ მოზარდის მიღწევები, შესაძლებლობები, სწავლის დაუფლების მცდელობა, დამოკიდებულია როგორ მიაწოდებს პედაგოგი მოსწავლეს ინფორმაცია და განათლების მიზანი, არა მხოლოდ, ცოდნის დაგროვებას, არამედ მაღალი აზროვნების ფორმების ჩამოყალიბებას ემსახურება.

საინტერესოა, ამ პერიოდში მოზარდების მეტაკოგ-ნიცია. მეტაკოგნიცია არის აზროვნება, საკუთარი აზროვნების შესახებ და მისი ამოქმედების პრაქტიკული სტრატეგიები. დევიდ პერკინსის აზრით, კარგად აზროვნება გულისხმობს, საკუთარი აზროვნების პროცესის მართვას, რომელიც მოიცავს იმის გააზრებას, თუ რა შეკითხვები უნდა დაუსვა საკუთარ თავს, როგორ უნდა გამოიყენო პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები და ა.შ. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია მოსწავლეებში მეტაკოგნიტური აზროვნება, მით უფრო ეფექტურია სწავლის პროცესი. მეტაკოგნიციის თავისებურებები, დაახლოებით 12-16 წლის მოზარდებში შემდეგნაირია:

---

[50] ვულფოლკი ა. განათლების ფსიქოლოგია. თბ; 2009. გვ. 64-66 გვ.662-663

- აქვთ გარკვეული, მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმარისი ცოდნა, ხშირად იყენებენ გამეორებას.
- იწყებენ იმის გაცნობიერებას, რომ ცოდნა მოიცავს ცნებებს შორის ურთიერთკავშირების დანახვას და გაგებას.
- მოზარდები იწყებენ გაცნობიერებას, რომ ცოდნის დაუფლება, უნარების გამომუშავება დროს და პრაქტიკას მოითხოვს.[51] აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს ურთულესი პროცესია, მასწავლებლის გარეშე, მოსწავლეები ამას ვერ მოახერხებენ. შესაბამისად, პედაგოგმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს, არამხოლოდ იმას, რომ მიაწოდოს მოზარდს სასწავლო მასალა, არამედ გამოუმუშავოს სწავლის პროცესის მართვის უნარი.

2.4. სწავლის თეორიები

ბიჰევიორისტული თეორია - ბიჰევიორიზმი შეისწავლის, როგორ იცვლება ადამიანის ქცევა სწავლის პროცესში. ინგლისელი მოაზროვნე ჯონ ლოკის ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარა მე-20 საუკუნის ბიჰევიორისტულ მიმდინარეობას. ბავშვს განიხილავენ სუფთა დაფად, რომ ბავშვი ყველაფერს გარემოდან ეცნობა და დიდი როლი აკისრია გარე სამყაროს. ჯონ ლოკმა მშობელი წარმოადგინა რაციონალურ მასწავლებლად, რომელსაც სწორი რჩევა/დარიგეგებებით შეუძლია მოზარდი „გამოძერწოს“. მშობლებს ურჩევს შვილებთან მიმართებაში ფულის, ტკბილეულის და სხვა ჯილდოების არ გამოყენებას. უპირატესობას სიტყვიერ წახალისებას, მოწონებას,

[51] ვულფოლკი ა. განათლების ფსიქოლოგია. თბ; 2009. გვ.493

სიყვარულის გამოხატვას, განმავითარებელ შეფასებას ანიჭებს. სასტიკი წინააღმდეგია ფიზიკური დასჯის. ჯონ ლოკი, მოზარდის განვითარებაში, გარემოს როლზე მიუთითებს, აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, ბავშვს არ შეუძლია, გარემოს მიერ დაწესებული ბედის შეცვლა. თანამედროვე თეორიები, კი მოზარდს განიხილავს აქტიურ მიზანსწრაფულ არსებად, რომელიც თვითონ არის საკუთარი განვითარების წყარო. [52]

თუმცა, ფრანგი ფილოსოფოსი, ჟან-ჟაკ რუსო, ჯონ ლოკისგან განსხვავებით, ბავშვს საკუთარი ბედის „მჭედლად“ მიიჩნევს. ის თავის რომანში „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“ წერს - „უფროსები ბავშვებში დიდს ეძებენ და ავიწყდებათ ვინ იყვნენ ადრე“. ბავშვი თავისუფალი იბადება, მაგრამ სოციო-კულტურულ და პოლიტიკურ გარემოში იზრდება.

ბიჰევიორიზმი, სწავლის პროცესში დიდ მნიშვნელობას გარემო ფაქტორებს ანიჭებს. ის მასწავლებელზე ორიენტირებული თეორიაა, მოსწავლე სწავლის პროცესში პასიურია, სწავლა დამოკიდებულია მასწავლებელზე, ინფორ-მაციის გადაცემის ფორმაზე.[53]

ამერიკელი ფსიქოლოგის, ბერას ფრედერიკ სკინერი (1904-1990), ბიჰევიორიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელია. ფრედრიკ სკინერიც, ადამიანის ქცევის ჩამოყალიბებაში და გამოხატვაში, გადამწყვეტ როლს, გარე სამყაროს აკისრებს.

ასევე, ფსიქოლოგი ალბერტ ბანდურას თეორია, ავითარებს ბიჰევიორიზმს, მასში დასწავლა სოციალურია,

---

[52] ბერკი ლ. ბავშვის განვითარება. გამომცემლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ; 2010. გვ.18

[53] ღლონტი ლ, ქიტიაშვილი ა, ლაბარტყავა ნ, გვარამაძე ც. სწავლებისა და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში. თბ; 2008. გვ. 8

მთავარი წვრთნა არ არის, არამედ ადამიანის განვითარება, სხვა ადამიანებზე დაკვირვებით ხდება. მოზარდობის ასაკში, მოზარდებს ეწყებათ თვითდამკვიდრების ამბოხი. შეიძლება ითქვას, რომ მოზარდის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გარემო, რომელშიც უწევს საქმიანობა.

პიროვნული თავისებურებების მიუხედავად, მოზარდს შეუძლია სხვადასხვა ქცევის დასწავლა, თუ მას მოჰყვება სათანადო განმტკიცება. აღნიშნულის თანახმად, ქცევის წარმატება/წარუმატებლობა განსაზღვრავს, მოხდება, თუ არა ამ ქცევის დასწავლა. სწავლის ამ ფორმას, სკინერმა ისნტრუმენტალური სწავლა უწოდა. რომელიმე შემთხვევაში, თუ მოქმედება სასარგებლო აღმოჩნდა, ამის განმტკიცება მიღწეული შედეგით ხდება. ნებისმიერ ქცევას შეიძლება ჰქონდეს, ან არ ჰქონდეს შედეგი, უშედეგო ქცევა თანდათან იკარგება. შედეგი შეიძლება სასიამოვნო იყოს და უსიამოვნო. სასიამოვნო შედეგის არსებობის დროს, ამ ქცევის გამეორების ალბათობა იზრდება, უსიამოვნო შედეგის შემთხვევაში, კი პირიქით მცირდება. შესაბამისად, ქცევის სამომავლო განხორციელება იზრდება, არამხოლოდ, მაშინ როცა, ამ ქცევას სასიამოვნო შედეგი აქვს, არამედ, მაშინაც, როდესაც ქცევა საშუალებას აძლევს ბავშვს თავი აარიდოს უსიამოვნო შედგეს. სწავლის ორი გზა არსებობს: - სასიამოვნო შედეგის მოლოდინის, ან უსიამოვნო შედეგი უნდა დასრულდეს. ნაწილი ექსპერტების მიიჩნევს, რომ დასჯა გამართლებულია სხვადასხვა ქცევის დასასწავლად, თუმცა სინამდვილეში, ამ მეთოდით არასასურველი ქცევის აღმოფხვრას დიდი დრო სჭირდება, ასევე დასჯამ შეიძლება გამოიწვიოს მოზარდის ფსიქიკის დარღვევა. აღნიშნული თეორია აღწერს გარე ფაქტორებს და გარე ფაქტორების ზეგავლენით ახალი ჩვევების

ჩამოყალიბების კანონზომიერებებს. ეს თეორია გვასწავლის, როგორც კი მოზარდი/მოსწავლე რაიმე კონკრეტულ უნარს შეიძენს, მასწავლებელმა და მშობელმა, მოზარდს უნდა აჩვენოს, რომ ეს უნარი სასარგებლო და მნიშვნელოვანია. პედაგოგი ცდილობდეს უნდა სასწავლო პროცესის ორგანიზებას ისე, რომ სწავლის შემდეგ მოხდეს ამ ცოდნის განმტკიცება. ბიჰევიორისტული თეორია მასწავლებელზე ორიენტირებული თეორიაა, ის დირექტიული სწავლების თეორიას წარმოადგენს. სწავლა მასწავლებელზეა დამოკიდებული, აქცენტი კეთდება სწავლებაზე, მაგალითად თუ პედაგოგი სასწავლო გარემოს გახდის პოზიტიურს, წაახალისებს მოზარდებს და იზრუნებს მათ მოტივაციაზე, შესაბამისად, მოზარდის მიღწევებიც მაღალია. ბიჰევიორის-ტულ თეორიას სხვებისგან განსხვავებით არ აინტერესებს ინდივიდუალური განსხვავებები, მისთვის მთავარია გარემოს ისეთი ორგანიზება, სადაც წვრთნის საფუძველზე მოსწავლე მიიღებს შესაბამის ცოდნას.[54]

და ბოლოს, როგორც ვახსენეთ, ბიჰევიორიზმი სწავლის პროცესში, მნიშვნელობას ანიჭებს გარე სამყაროს. სასწავლო შედეგების განმტკიცებას განაპირობებს დავალებების წარმატებით შესრულება, მასწავლებლის მხრიდან განმა-ვითარებელი შეფასება, აკადემიური შედეგები და ა.შ. [55]

კოგნიტური თეორია - მოზარდს შეუძლია თავის გონებაში წარმოიდგინოს, ივარაუდოს საგნები, მოვლენები, ამ საგნებს შორის კავშირი. მოზარდის აზროვნების ფორმა

---

[54] მაღრაძე მ. განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები. ქუთაისი; 2008. გვ. 195-210

[55] ჯაფარიძე მ. განათლების ფსიქოლოგია. თბ; 2005. გვ. 81-84

იცვლება და აბსტრაქტულად იქცევა. მათ ესმით აბსტრაქ-ტული ცნებების მნიშვნელობა, იმ ცნებების როგორიც არის თავისუფლება, სამართლიანობა და სხვა. მოზარდი აღიქვამს დროს, ახდენს მოვლენების დათარიღებას, შეუძლია შეაფასოს მოვლენათა თანმიმდევრობა.

მოზარდები იწყებენ ფიქრს, თუ რა მნიშვნელოვანი თვისებებია სასურველი მათთვის და მათ ირგვლივ მყოფი ადამიანებისათვის, ასევე უყალიბდებათ იდეალისტური შეხედულებები სოციალური, ეკონომიკური, ეთნიკური საკითხების მიმართ. ამ პერიოდში თავს იჩენს ეგოცენტრიზმი, რომელიც ხასიათდება საკუთარი უნიკალურობის შეგრძნებით, იმის რწმენით, რომ სხვები დაინტერესებულია მათით. მოზარდობის ასაკში ემოციური განვითარების სფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია - ემოციური არასტაბილურობა, რომელიც გულისხმობს, საკუთარი ემოციების კონტროლის პრობლემას, ემოციურ ფეთქებადობას და გუნება-განწყობილების სწრაფ ცვლილებას, რომელიც ნეგატიურად შეიძლება დაკავშირებული იყოს სასწავლო პროცესთან, სასწავლო მასალის ათვისებასთან და მოზარდის მიღწევებთან. ხშირად მოზარდები ემოციური ფეთქებადობის გამო კომფლიქტში არიან მშობლებთან, თანატოლებთან, პედაგოგებთან და სხვებთან.

ემოციური ფეთქებადობა ძირითაადად გამოწვეულია ფიზიკური და სოციალური გარემოებებით. ფიზიკურ ფაქტორებში იგულისხმება ჰორმონალური ცვლილებები და ნერვიული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი. ტვინი ნერვული სისტემის ბირთვია და სწრაფად, თუმცა არაპროპორციულად ვითარდება, ამ დროს მოზარდს უჩნდება ინტერესი გახდეს თავისუფალი, დამოუკიდებელი, გამოვიდეს

მშობლის ძალაუფლებიდან, რასაც ხშირად მშობლები არ ეთანხმებიან.

მოზარდობის ასაკში თავიდან ხდება შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა: ვინ ვარ? როგორი ვარ? რა მინდა? რა შემიძლია? სად ვარ? როგორ გამოვიყურები საზოგადოებაში? - ეს ყველაფერი ამ ასაკობრივი კატეგორიისთვის, ბუნებრივია, რადგან გულისხმობს საკუთარი თავის განსაზღვრას.

სწავლის პროცესში მოზარდები ცდილობენ მშობ-ლებისგან დამოუკიდებლად იმეცადინონ, გააკეთონ არჩევანი, მოიპოვონ დამოუკიდებლობა, ავტონომია, თუმცა მათ სჭირდებათ უფროსებისგან მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს უკუკავშირს.

მოზარდები მხარდაჭერას, ხშირად მეგობრებთან, თანატოლებთან ეძებენ, რადგან არ მოსწონთ მშობლის ურთიერთობის ფორმები. თანატოლებს, კი ძირითადად ერთნაირი წარმოდგენები და დამოკიდებულებები აქვთ სხვადასხვა საკითხის მიმართ.

ბიჰევიორისტული შეხედულების თანახმად ადამია-ნები და ამ შემთხვევაში მოზარდები, სწავლობენ საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, საკუთარი ქცევის შედეგების საფუძველზე, ხოლო სოციალურ-კოგნიტური თეორიის თანახმად, მოზარდს შეუძლია ისწავლოს, არა მხოლოდ თავისი, საკუთარი ქცევის შედეგებიდან, არამედ სხვებზე დაკვირვებით. აქ მნიშვნელობა აქვს, არა მხოლოდ პირდაპირ, არამედ არაპირდაპირ განმტკიცებას, სხვისი ქცევის გათვალისწინებით დასწავლას. მოზარდი შეიძლება ხედავდეს თანატოლების წახალისებას, თუნდაც მაღალი აკადემიური მიღწევების გამო, რამაც განაპირობოს მისი ქცევის

განხორციელება.

ფსიქოლოგი ალბერტ ბაინდურა განასხვავებს სუფთა მიბაძვას და შეგნებულ მიბაძვას. სუთა მიბაძვა არის, როცა არ ესმის ადამიანს ქცევის მნიშვნელობა და ბაძავს, რომელიც ახასიათებს პატარა ბავშვებს, შეგნებული მიბაძვა უკვე მოზარდებში ხდება და ეს არის გააზრებული, შეგნებული. ბაინდურას აზრით სწავლაც შეგნებულ მიბაძვაზე უნდა იყოს აგებული და დაფუძნებული. სწავლის სოციალურ-კოგნიტური თეორია მოიცავს ისეთ კოგნიტურ ფაქტორებს, როგორებიც არის: მოტივაცია, მე-კონცეფცია, რწმენა, მოლოდინები და ა.შ. მისთვის სწავლა არის შემეცნებითი სტრუქტურების კომპეტენცია. ალბერტ ბაინდურას თეორია იმით განსხვადება სხვა თეორიებისგან, რომ მისი აზრით ადამიანის ფუნქციონირებას არ განსაზღვრავს მხოლოდ გარეგანი და შინაგანი ფაქტორები, არამედ მათ ფუქნციონირებას განსაზღვრავს პიროვნული ფაქტორები, გარემო, ქცევები და მათი ურთიერთდამოკიდებულება.[56]

ფსიქოლოგი, ლევ ვიგოტსკის, კოგნიტური განვითა-რების, სოციო-კულტურული თეორიის თანახმად, ადამიანი თავისი ბუნებით სოციალური არსებაა, ბავშვის ფსიქიკური განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი კულტურაა, ადამიანი არის არსება, რომელიც ქმნის კულტურას და ყველა ბავშვი ვითარდება კულტურის კონტექსტში. ბიოლოგია ადამიანის განვითარების მხოლოდ ბაზისურ ელემენტს აყალიბებს, ხოლო სოციალური გარემო პასუხისმგებელია მაღალი დონის კოგნიტურ პროცესებზე: მეხსიერებაზე, მეტყველებაზე, აბსტრაქტულ აზროვნებაზე, მიღწევებზე და

[56] მაღრაძე მ. განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები. ქუთაისი; 2008. გვ. 210-224

ა.შ. ბავშვი სწავლობს პრობლემების მოგვარებას გამოცდილებით, რომელიც სოციალური ურთიერთობის პროცესში მუშავდება. დასაწყისში, ბავშვთან ურთიერთობაში ჩართულნი იღებენ პასუხისმგებლობას, ხოლო დროთაგანმავლობაში აღსაზრდელს ეძლევა გადაწყვეტილე-ბების მიღების საშუალება. მისი აზრით, ასათვისებელი ცოდნის შინაარსი განისაზღვრება საზოგადოების, ოჯახის, სკოლის კულტურით. ლევ ვიგოტსკის, სოციალური კონსტრუქტივიზმი, ამტკიცებს, რომ ბავშვის განვითარება ხდება სხვებთან ურთიერთობით და მოზარდის მიღწევები, გარე პირობებზეა დამოკიდებული. მეტიც, მიუღებელია ბავშვის დაყოფა მისი შესაძლებლობების, სოციალური, ეკონომიკური, გონებრივი, თუ ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით.[57]

როგორც ზემოთ ვახსენეთ ჟან პიაჟეს თეორია, თანამედროვე ფსიქოლოგიის კლასიკაა, მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწავლების და აღზრდის პროცესში. ჟან პიაჟეს აზრით, განვითარება წყვეტილია, იმისთვის, რომ ბავშვმა სამყარო აღიქვას და ისწავლოს ახალი, აუცილებელია მიაღწიოს გარკვეულ ასაკს. ლევ ვიკოტსკი ამ ეტაპებს არ გამოჰყოფს და განიხილავს უწყვეტ მთლიანობაში, აქ სტადიები არ არის გამოყოფილი. კონკრეტული ასაკის და განვათარების შესახებ, ის ამბობს, რომ განვითარების პროცესი ინდივიდუალურია ყველა ადამიანისთვის.

ჟან პიაჟესთან, კოგნიტური განვითარების სტადიებს, ზოგადი ბიოლოგიური ფაქტორები და გარემო განაპირობებს.

---

[57] მელიქიშვილი მ. ლევ ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების სოციო-კულტურული თეორია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბ; 2012.გვ. 6-7

ხოლო ლევ ვიგოტსკი ამბობს - ადამინი გენეტიკური და გარემო პირობების უნიკალურ კომბინაციაში ვითარდება, განსახვავებული გარემო აძლევს განსხვავებულ შესაძლებ-ლობებს, ეს წარმოადგენს საკუთარი თავის და სხვების მიმართ განსხვავებულ შეხედულებებს.[58]

ორივე თანხმდება იმაზე, რომ გარემო დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე, სოციალური ნორმების ჩამოყალიბებაზე. ჟან პიაჟე თვლის, რომ ბავშვს, რომ შეეძლოს ახალი ცოდნის ათვისება, საჭიროა ჰქონდეს შესაბამისი ბაზა. განვითარება წინ უსწრებს სწავლას. ლევ ვიგოტსკი, კი თვლის, რომ ცოდნა აუცილებელია, რომ ბავშვმა ინტელექტუალურად შეძლოს გაზრდა - სწავლა წინ უნდა უსწრებდეს განვითარებას. ჟან პიაჟეს აზრით ახალ ინფორმაციას ბავშვი თვითონვე, კვლევებით აღმოაჩენს, ბავშვი სწავლობს შეცდომებზე. იგი ინდივიდუალური კონსტრუქ-ტივიზმის წარმომადგენელია. ლევ ვიგოტკის თეორია, კი სოციალური კონსტრუქტივიზმის სახეა, ყურადღებას არ ამახვილებს ინდივიდუალურ სწავლებაზე - ახალი ინფორმაციის მიღება დამოკიდებულია სოციალურ ურთიერთობაზე, ამ თეორიის ძირითადი პრინციპებია: კულტურის მნიშვნელობა და გარემოს ზემოქმედება.

ჰუმანისტური თეორია - ამერიკელი ფსიქოლოგი, აბრაჰამ მასლოუს (1908-1970) და კარლ როჯერსის (1902-1987) კონცეფციები, ზომიერი ხაზის ჰუმანისტურ თეორიებს მიეკუთვნება, რომელშიც ქცევის ფსიქოლოგიურ მოდელში დეტერმინაციის და თავისუფლების პრინციპების შერწყმაა ნაცადი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ადამიანები უფრო მაღალი

[58] ჯაფარიძე მ. განათლების ფსიქოლოგია. თბ; 2005. გვ. 52

მიზნებით არიან მოტივირებულები, რაც მათ განასხვავებს სხვა არსებებისგან.

ჰუმანისტური თეორია, ყურადღებას ამახვილებს ადამიანის სოციალურ უნარ-ჩვევებზე, ღირებულებებზე, შეხედულებებზე და ემოციებზე. ჰუმანისტურმა მიდგომამ მანამდე არსებულ მიდგომებთან შედარებით, რადიკალურად ახალი მიდგომა შემოგვთავაზა.

ჰუმანისტური თეორია, ყურადღებას ამახვილებს, როგორ იძენენ ადამიანები ემოციებს, შეხედულებებს და სოციალურ უნარ-ჩვევებს. ჰუმანისტური ფსიქოლოგია აერთიანებს ბიჰევიორისტულ და ფსიქოანალიტიკურ მიდგომებს.[59]

ბიჰევიორისტული მიდგომის გათვალისწინებით, ადამიანის ქცევა გარეგანი სტიმულირებით ხორციელდება, ხოლო ფსიქოანალიტიკურ მიდგომას, ადამიანის ქცევის, ძირითად წარმმართველ ძალად, შინაგანი არაცნობიერი ძალები მიაჩნია.

აბრაჰამ მასლოუს თანახმად, ადამიანს გააჩნია ხუთი ძირითადი სახის მოთხოვნილება:

I. ფიზიოლოგიური;
II. უსაფთხოების;
III. სიყვარულის, მიკუთვნების;
IV. დაფასების;
V. თვითრეალიზაციის.

აღნიშნულის თანახმად, ადამიანები მხოლოდ მაშინ შეეცდებიან მაღალი დონის დაკმაყოფილებას, როცა ისინი

---

[59] Маслоу А. Мотивация и личность. Петербург . "Питер": 2008. 60-80.

შეძლებენ, ნაწილობრივ მაინც დაიკმაყოფილონ, ის მოთხოვ-ნები, რომლებიც იერარქიის ქვედა ნაწილშია მოთავსებული.

აღნიშნული პირამიდის გათვალისწინება მნიშვნელო-ვანია სასწავლო პროცესში. ჰუმანისტური პოზიციიდან, უპირველესი მოტივატორი, საკუთარი თავის აქტუალიზა-ციისკენ, სრულყოფილებისკენ სწრაფვაა.

ფსიქოლოგი, კარლ როჯერსი, ხაზს უსვამს უპირობო, დადებითი განწყობის მნიშვნელობას, აღზრდის პროცესში. ბავშვმა უნდა იგრძნოს, ყოველთვის ეყვარებათ და მოეწონებათ სხვებს, მიუხედავად მათი შეცდომების, რომ მათ არ სჭირ-დებათ, მათი მშობლების სიყვარულის დამსახურება. როდესაც ბავშვი ცუდად იქცევა, მშობელმა ქცევაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება და არა თვითონ ბავშვზე.

მოზარდებს, განსაკუთრებით სჭირდება დადებითი განწყობა, რომელიც პოზიტიურად აისახება სასწავლო შედეგებზე. კარლ როჯერსმა, უარყო თერაპევტის, როგორც მრჩევლის, მასწავლებლის როლი.

ჰუმანისტური თეორია, ჰოლისტურია, ადამიანის ცალკეულ ქმედებებს მთლიანი პიროვნებების ტერმინებით ხსნის, ადამიანებს არ განიხილავს, როგორც ჯამს ცალკეული ნიშნების, რომლებიც სათითაოდ ახდენს გავლენას ქცევაზე.

აბრაჰამ მასლოუს თანახმად, ადამიანები ყოველთვის მოტივირებულები არიან მოთხოვნილების იერარქიის უფრო მაღალი დონისკენ, თუ არ ჩამოქაჩა მოთხოვნილების დაბალ დონეზე გამოხატულმა დეფექტებმა.[60] აღნიშნული სწავლობს, ადამიანის უნიკალურობას, მე-ს ფორმულირებას, ეყრდნობა კონსტრუქტივიზმს, სადაც მოსწავლე ცენტრშია. სწავლების

---

[60] Маслоу А. Мотивация и личность. Петербург. "Питер": 2008.50-51.

პროცესში მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლის ინდივიდუალობას, პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას, აქცენტს აკეთებს მოსწავლის მიღწევებზე და წარმატებაზე.[61]

ჰუმანისტური თეორიები არის ფენომენოლოგიური, რადგან ხაზსს უსვამს ინდივიდის თვალსაზრისს და რეალობის სუბიექტურ ხედვას. ცდილობს თითოეული ადამიანის უნიკალური შეხედულების დანახვას, ამგვარად აქცენტს აკეთებენ თითოეული მოზარდის თვითაქტუა-ლიზაციაზე.

[61] მაღრაძე მ. განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები. ქუთაისი 2008. 2გვ. 24-234

თავი 3. მშობელთა ჩართულობა და აღზრდის თეორიები

3.1. ზოგადი შეხედულებები მშობლის როლზე

ოჯახი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის აღზრდაში და წარმატების მიღწევაში, თუმცა საინტერესოა როგორ დამოკიდებულებაშია მშობლები სკოლასთან, აქვთ თუ არა მშობლებს დრო და პირობები იყვნენ დაინტერესებული და ჩართული მათი შვილების საქმიანობაში, მშობლები მზად არიან, თუ არა აღმზრდელობითი პოზიციისთვის და ფლობენ, თუ, არა პედაგოგიურ კულტურას.

გარემო, მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ის გავლენას ახდენს მთელი ცხოვრების მანძილზე, ყველა იმ მდგომარეობის ერთობლიობით, რომელიც აკრავს ადამიანს და პირდაპირ, თუ ირიბად მოქმედებს მასზე.

მშობელთა ჩართლობა, აღნიშნავს, პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევების და სწავლის გაუმჯობესებაზე, როგორც ოჯახში, ისე სკოლაში. ნებისმიერი მოზარდი თავისი ქცევებიდან გამომდინარე არის ინდივიდუალური და სჭირდება შესაბამისი ხელშემწყობი გარემო. როდესაც მშობელი ჩართულია შვილის განათლების პროცესში ბავშვს უკეთესი მიღწევები აქვს. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს შემუშავებული აქვს მშობელთა ჩართულობის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს აქტივობებს და ეხმარება მშობლებს უკეთ გაიცნონ შვილები, მაგრამ დისტანციური სწავლების რეჟიმიდან გამომდინარე აღნიშნული მოდელის განხორციელება დროებით ვერ განხორციელდა, თუმცა მოდელი მეტად ეფექტური და მნიშვნელოვანია.

ქართველი ფსიქოლოგი, დიმიტრი უზნაძის აზრით, ბავშვი არ არის პატარა მოზრდილი, აღმზრდელი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ არ ჩაუღმავდა ბავშვის ბუნებას. წინააღმდეგობები ჩნდება მაშინ, როდესაც აღმზრდელი ყურადღებას არ აქცევს აღსაზრდელის სურვილებს, არ ითვალისწინებს მოზარდის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მშობლის ჩართულობის და აღზრდის ნებისმიერი სტილი, თავისებურ გავლენას ახდენს მოზარდის ქცევასა თუ მიღწევაზე. მშობელს შეუძლია დაეხმაროს შვილს გახდეს პიროვნება, რომელსაც ექნება სიმამაცე და თანაგრძნობის უნარი.[62]

ინგლისელი მოაზროვნე, ჯონ ლოკი ამბობს - „ყველა ახალშობილი ერთნაირია, ხოლო პიროვნების ჩამოყალიბება, სოციალური გარემოცვის, პირველ რიგში სწავლა-აღზრდის ნაყოფია“. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აკისრია გარე სამყაროს ბავშვის ცხოვრების პირველ წლებში, როდესაც ფსიქიკა მოქნილია და კიდევ უფრო მეტად ექვემდებარება უფროსების გავლენას. ლოკი ფიქრობდა, რომ ცნობიერება შედგებოდა იდეებისგან. იგი ასოციაციური ფსიქოლოგიის სათავესთან დგას, თუმცა სპეციფიკურად ესმის. მაგალითად, თუ ბავშვს რომელიმე საგანთან ურთიერთობისას უარყოფითი გამოცდილება ჰქონდა, ამ საგნის იდეის გაჩენა, ნეგატიურ გრძნობებს და მის გამოყენებაზე უარის თქმას იწვევს. თუმცა სასარგებლო ჩვევების შეძენისთვის, აუცილებელია გამეორება, მიბაძვა და წახალისება. მიბაძვის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კარგ მაგალითს, გარდაუვალია, რომ ბავშვი თავის მშობლებს მიბაძავს და თუ კარგი ქცევის წახალისება მოხდება,

[62] ადლერი ა. ბავშვის აღზრდა. თბ; 2014. გვ. 185-194

ეს კიდევ უფრო გაამტკიცებს არსებულ ქცევას.[63]

მშობლები დაკავებულია სამსახურით, თითქმის არ რჩებათ დრო შვილთან ურთიერთობისა. ასევე ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქვეყნიდან მკვეთრი გადინების პროცესია, მშობლების ნაწილი ოჯახის სხვა წევრებს უტოვებენ შვილებს, მიდიან სამუშაოდ ემიგრაციაში. ქართველი ავტორის, იზოლდა ბუხულეიშვილის სახელმძღვანელოში, საოჯახო აღზრდის აქტუალური პრობლემები და ძირითადი სტრატეგიები, გამოყენებულია ლ. გორდონის და ე. კლოპოვას კვლევა, მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებით, სადაც ნათქვამია, დასაქმებული მშობლები ბავშვებთან ერთად სახლში დაახლოებით 1,8 საათს ატარებენ (ძილის გამოკლებით), რასაც ფსიქოლოგების ნაწილი უარყოფით შეფასებას აძლევენ, ხოლო ნაწილიც, შვილებთან გატარებული დროის ხანგრძლივობაზე მეტად დროის ხარისხიანობას ასახელებენ. [64]

გაეროს ბავშთა ფონდი აქვეყნებს კვლევას, სადაც 2018 წლის მონაცემებით საქართველოში აღზრდის ავტორიტა-რული სტილი გამოიკვეთა, აღნიშნული აღზრდის სტილი, წარმოადგენს მშობლების მხრიდან შვილების მიმართ გარკვეული წესების დაწესებას, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში დასჯის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას, ის ასოცირდება მკაცრ ხელმძღვანელობასთან. მშობლების აზრით, შესაბამისი დამოკიდებელება, რომელიც ავტო-რიტარულ სტილს ახასიათებს, მოზარდებს ეხმარება

---

[63] იმედაძე ი. ფსიქოლოგიის ისტორია ანტიკური ხანიდან ჩვენს დრომდე. თბ; 2014. გვ. 344

[64] ბუხულეიშვილი ი. საოჯახო აღზრდის აქტუალური პრობლემები და ძირითადი სრატეგიები. თბ; 2012. გვ. 73

მიღწევებში, დისციპლინასა და აკადემიურ წინსვლაში. ასევე, ქართველი მწერლის თამარ ისაკაძის - „მშობელთა გზამკლევის“ თანახმად, მშობლის ჩაურთველობა ფსიქოლო-გიური თვალსაზრისით, ცუდ გავლენას ახდენს მოზარდის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, თუმცა საინტერესოა რა გავლენას ახდენს ის მოზარდის აკადემიურ მოსწრებაზე, როგორია მოზარდების, მშობლების და პედაგოგების დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.[65]

თითოეული ბავშვი სხვადასხვანაირად იქცევა მშობელთან ურთიერთობის დროს, მკლევრები ამბობენ, რომ მშობლის ქცევა და ბავშვის ტემპერამენტი ერთმანეთზე ახდენენ გავლენას. ტემპერამენტული სხვაობების ფონზე მკლევრებმა გამოყვეს მშობლის მიერ გამოყენებული ორი აღზრდის სტილი: *მომთხოვნი/არაგულისხმიერი* და *გულისხმიერი* მშობლები. მომთხოვნში მოიაზრება მშობლის სურვილი, ბავშვი ემორჩილება საზოგადოების ნორმებს. გულისხმიერში, კი ბავშვის ინდივიდუალობის აღიარება ხდება და ყველა შესაძლებლობების გათვალისწინება.[66]

მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებით მოვიძიეთ კიდევ ერთი კვლევა - „მშობელთა ჩართულობის“ , რომელიც ჩატარდა 2015 წელს, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად. კვლევამ ცხადყო, რომ მშობელთა ჩართულობა, არამხოლოდ მოზარდის ყოფაქცევას და დასწრებას აუმჯობესებს, არამედ დადებითად მოქმედებს

---

[65] ისაკაძე თ. გზამკლევი მშობლებისთვის. თბ; 2010. გვ.45

[66] გერიგი რ, ზიმბარდო ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ;2009. გვ. 434

მოსწავლის მიღწევებზე. მშობელთა წარმატებული ჩართულობა შეიძლება განისაზღვროს, არამხოლოდ მშობლის სკოლაში აქტიური, რეგურალური მონაწილეობით, არამედ შინ, სახლში, როდესაც მშობელი შვილებთან ერთად კითხულობს დავალებას და ეხმარება პრობლემების მოგვარებაში.[67]

მეტიც, ჩვენ გავეცანით ფსიქოლოგი ერიხ ფრომის (1900-1980) ერთ-ერთ შემოქმედებას - „სიყვარულის ხელოვნება“, სადაც საუბარია შვილებთან, დედების და მამების სიყვარულზე და ურთიერთობაზე. დედობრივი სიყვარული თავისი ბუნებით უპირობოა, რადგან დედას, მხოლოდ იმის გამო უყვარს საკუთარი შვილი, რომ მისი შვილია. პირველ წლებში ბავშვი ყველაზე მეტად დედასთანა არის მიჯაჭვული, თანდათანობით მზარდი მნიშვნელობა ენიჭება მამასთან ურთიერთდამოკიდებულებას. დედა სახლია, მამასთან კი გაცილებით ნაკლები ურთიერთობა აქვთ. მამობრივ სიყვარულს პრინციპები და იმედი უნდა წარმართავდეს, იგი მომთმენი, შემწყნარებელი და ლმობიერი უნდა იყოს და არა ავტორიტარული მიდგომებით გამორჩეული. მოზარდს თანდათან უნდა განუმტკიცოს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, მისცეს საშუალება, სამომავლოდ გახდეს დამოუკიდებელი და გათავისუფლდეს მამის ავტორიტეტისგან. დედობრივი ცნობიერება ამბობს: „არ არსებობს ბოროტება, რომელიც ჩემს სიყვარულს მოგაკლებს“. მამობრივი ცნობიერება კი ამბობს: „შენ ბოროტება ჩაიდინე და პასუხი უნდა აგო, თუ გსურს გიყვარდე, სხვაგვარად უნდა მოიქცე“.[68]

---

[67] მშობელთა ჩართულობა, რეკომენდაციები, თბ;2015. გვ. 9

[68] ფრომი ე. სიყვარულის ხელოვნება. ინგლისურიდან თარგმნა - ეკატერინე შაქარაშვილმა. გვ. 54-64

განხილული თეორიული მასალები და კვლევები ცხადყოფს ორივე მშობლის ჩართულობის მნიშვნელობას შვილის ცხოვრებაში, რომ აღზრდაზე და აღზრდის სტილზე საუბარი, მხოლოდ ადამიანებთან მიმართებაში შეიძლება, რომ აღზრდა მშობლის მოვალეობაში შედის და მშობელი არის ადამიანი, რომელსაც დასაბამიდანვე ერგო შვილების გაზრდა და აღზრდა.

ოჯახი, თავიდანვე მოიაზრება ღვთის ხატად. ოჯახი არის მთავარი, მშვიდობიანი, მოსიყვარულე გარემო, კანონიერი ადგილი დაბადების, აღზრდის და პიროვნებად ჩამოყალიბების.[69]

3.2. აღზრდის თეორიები და თავისებირებები

სხვადასხვა თეორიული მასალის და კვლევების თანახმად, გამოყოფილია ოთხი აღზრდის სტილი, რომელიც ერთმანეთისგან ეფექტურიანობის მიხედვით განსხვავდება.

ქართველი ფსიქოლოგი, ლია ქურხულის - „განვითარების ფსიქოლოგიის“ და „ბავშვთა აგრესიის“, სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით ვისაუბრებთ შესაბამის სტილზე.

ავტორიტარული აღზრდის სტილი წარმოადგენს, შვილის მიმართ გარკვეული წესების დაწესებას, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში დასჯას, ის მკაცრ ხელმძღვანელობასთან ასოცირდება. ბავშვზე ძალადობა

---

[69] ხუხუა გ. პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებების ოჯახური აღზრდის შესახებ, თბ; 1998. გვ. 5-6

ოჯახის სტილის ფორმაა, უფროსები ხელმძღვანელობენ შემდეგი პრინციპით: მოზარდი მოიქცევა ისე, როგორც მათ სურთ ან შეწყვეტენ ქმედებას, რომელიც მშობელს არ სურს. თითქოს ეს სტილი ბავშვის აღზრდის ერთ-ერთი წარმატებული სტილია, რადგან შეიცავს მაღალ კონტროლს და ჩართულობას. მშობლები ახორციელებენ მტკიცე, კონტროლს მოზარდის ქცევაზე, ისინი დაჟინებით მოითხოვენ შესაფერის მოწიფულობას, იყენებენ დისციპლინის შეხვედრებს.

ავტორიტარი მშობლები არიან ცივები, ხშირად თრგუნავენ ბავშვის მიღწევებს. მაღალი ხარისხის კონტროლის შესანარჩუნებლად ყვირიან, მბრძანებლობენ, აკრიტიკებენ და იმუქრებიან. მათი დამოკიდებულება ხშირად არის შემდეგნაირი - „მე რასაც ვამბობ, გააკეთე!“ თუ მოზარდი არ დაემორჩილება, მშობლები სასჯელს და იძულებას მიმართავს, ისინი საკუთარი შვილის მაგივრად იღებენ გადაწყვეტილებას.

ავტორიტარი მშობლების შვილები, მშფოთვარეები არიან, აქვთ დაბალი თვითშეფასება და არ აქვთ საკუთარი თავის რწმენა. ხშირად ვერ აღწევენ თავისას. კვლევები ცხადყოფს, რომ ავტორიტარული სტილით აღზრდილი ბავშვები ცუდად სწავლობენ სკოლაში.

ზოგადად, ავტორიტარული დამოკიდებულება როგორც ზრდასრულს, ისე მოზარდსაც თგუნავს და ადაპტაციაში უშლის ხელს.

პირდაპირ კონტროლთან ერთად ავტორიტარი მშობლები ფსიქოლოგიურ კონტროლსაც ახორციელებენ. რაც გულისხმობს, ბავშვებზე მანიპულირებას ვერბალური გამონათქვამებით. ასეთ მშობლებს სურვილი აქვთ, ყველაფერი გადაწყვიტონ ბავშვის მაგივრად, ხშირად ამახინჯებენ და თრგუნავენ შვილების იდეებს და

გადაწყვეტილებებს.

ასეთი მშობლები განსაკუთრებით ბევრს მოელიან შვილებისგან, დაჟინებით მოითხოვენ, რომ ბავშვი პასუხობდეს აბსოლიტურ სტანდარტს, ჰქონდეს მაღალი აკადემიური მიღწევები. ბავშვები ხშირად ავლენენ მშფოთვარე, დაუმორჩილებელ და აგრესიულ ქცევას, განსაკუთრებით თანატოლებთან.[70]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაეროს ბავშთა ფონდი აქვეყნებს კვლევას, საქართველოში 2018 წლის მონაცემებით აღზრდის ავტორიტარული სტილი გამოიკვეთა, თუმცა აქაც არის საზოგადოების განსხვავებული შეხუდულებები, ნაწილი მიიჩნევს, რომ ურთიერთობის ეს სტილი, მოზარდის დისციპლინას აუმჯობესებს, ნაწილი კი საპირისპიროს ფიქრობს, თუმცა თანამედროვე დამოკიდებულება მოზარდის აღზრდასთან დაკავშირებით უარყოფს აღნიშნული სტილის გამოყენებას. ასევევ წინა თავში განხილულ ფსიქოლოგიურ შეხედულებებს თრგუნავს, განსაკუთრებით წინააღმდეგია ჰუმანისტური სწავლების.

დემოკრატიული აღზდის სტილი უარყოფს ავტორიტარულ მიდგომებს. მშობლები, შვილების მიმართ თანაგრძნობას გამოხატავენ, თუმცა ამასთანავე ემსახურება გარკვეულ კონტროლს, გარკვეული სახის აკრძალვას, აკრძალვის დროს კი ახსნას იმის, თუ რატომ აუკრძალეს. ეს სტილი მეტნაკლებად მოწოდებულია ურთიერთანამშრომ-ლობის და გაერთიანებისკენ. ამ დროს უფროსები ბავშვებთან ერთად თამაშობენ, უყვებიან მათთვის საინტერესო ისტორიებს, თუმცა ზედმეტად არ ანებივრებენ. ასეთ ოჯახში

[70] ქურხული ლ. განვითარების ფსიქოლოგია. თბ; 2020. გვ. 344

იგრძნობა ბავშვის მიმართ გამოხატული სიყვარული და კეთილგანწყობა.

უფროსები მათთან ერთად განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს, საუბრობენ საინტერესო თემებზე, ეხმარებიან დაბრკოლების გადალახვაში, ზედმეტად არ ანებივრებენ და შეახსენებენ, რომ მათ აქვთ პასუხისმგებლობა, ანგარიში უნდა გაუწიონ სხვებს და სხვების აზრს. ასეთ ოჯახებში ძირითადად იზრდება პატივისცემის გრძნობით სავსე ახალგაზრა, რომელიც სკოლაში გამოირჩევა დამოუკიდებლობით, მეგობრებთან თანამშრომლობით, მაღალი აკადემიური მიღწევებით და ა.შ. აქვე დავამატებ, ფსიქოლოგი ლორა ბერკის შეხედულებას, იგი დადებითად საუბრობს ავტორიტეტულ სტილზე, რომელიც მეტნაკლებად დემოკრატიულ სტილთან ასოცირდება და ბავშვის აღზრდის საუკეთესო სტილად არის წარმოდგენილი. სადაც, მშობლები გამოირჩევიან მზრუნ-ველობით, ობიექტურად და სამართლიანად ახორციელებენ შვილის კონტროლს, როგორც შვილის ქცევაზე, ასევე სასკოლო მიღწევებზე.

საერთაშორისო კვლევები და გამოცდილება ცხადყოფს, რომ ყველაფერში და განსაკუთრებით, მოზარდთან ურთიერთობაში, პოზიტიური, ახსნა-განმარტებაზე, საუბარ-ზე, კომუნიკაციაზე დაფუძნებული ურთიერთობა, მეტად ეფექტურია. როგორც ზემოთ აღნიშნული, სწავლის თეორიები ცხადყოფს, ბავშვი სწავლობს სხვებზე დაკვირვებით, შესაბამისად ჩვენი თითოეული ქცევა, განწყობა, მისდამი დამოკიდებულება მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

გაუცხოების სტილს, რომელსაც მეორენაირად შეიძლება **ინდიფერენტული** ვუწოდოთ, გულისხმობს კონტროლის დაბალ დონეს, ამ დროს, მშობლები არ

გამოირჩევიან მზურველობით, კონტროლით და ყურად-ღებით. შვილები თავისუფლად ცხოვრობენ. მშობლების მხრიდან არ აქვთ აკრძალვები. აღნიშნულის შემთხვევაში მშობლები ვერ/არ ხვდებიან მოზარდის განვითარების პროცესში რამდენად დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ. ხშირ შემთხვევაში ასეთ დროს მშობლის ავტორიტეტი იკარგება.

ბავშვის აღზრდაში ჩაურთევლობა ნიშნავს დაბალ მიმღებლობას, ან/და ჩართულობის მცირე კონტროლს. ასეთი მშობლები შესაძლოა ემოციურად გაუცხოებული და დეპრესიულები იყვნენ ან ცხოვრებისეული საქმიანობებისგან იმდენად დაკავებულები, რომ ბავშვისთვის დრო და ენერგია არ ჰქონდეთ, რის შედეგად, შესაძლოა რეაგირება ვერ მოახდინონ ბავშვის მყისიერ მოთხოვნილებებზე. ჩაურთვე-ლი/ინდიფერენტული მშობლობის სტილი არის ბავშვთან ცუდად მოპყრობის ფორმა, რომელსაც უგულებელყოფა შეიძლება ვუწოდოთ. ასეთი სტილით აღზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს: ცოლ-ქმრული კონფლიქტით, ძალიან მწირი ან არანაირი სოციალური მხარდაჭერით, იგივე სიღარიბით და სხვა. ბავშვის აღზრდაზე და ემოციურ განვითარებაზე, გავლენას ახდენს ოჯახის წევრების, მშობლების დამოკიდებულება, რომელიც თავისთავად მოქმედებს მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე. აგრესიულ ოჯახში გაზრდილი ბავშვი ადგილს ვერ პოულობს. სკოლაში/კლასში, იგი ჩამორჩება სასკოლო პროგრამას, უჭირს მობილიზების გაკეთება, მისთვის ხშირად ყველაფერი რთული და უინტერესოა. თუმცა იცის ისიც რომ ჩამორჩება თანატოლებს და ამ მხრივ შურისძიების გრძნობა ეუფლება. აღნიშნულის დროს, რთული და მძიმეა ბავშვის განვითარების გზა, ბავშვის როგორც არაფორმალური, ისე ფორმალური

მიღწევების განვითარება.[71]

თეორიული მასალის საფუძველზე, კვლევის განხორციელებამდე, შეიძლება ვივარაუდოთ ამ მიდგომის სხვადასხვა უარყოფით მხარეზე, რადგან მოზარდის განვითარებაში, როგორც აღვნიშნეთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალიზაცია, ოჯახი, ახლობელები, გარე სამყარო, ხოლო ინდიფერენტული მიდგომა, მოზარდის უარყოფა და იგნორირება მის განვითარებაზე ნეგატიურად აისახება.

ლიბერალური აღზრდის სტილი მოზარდს ნაწილობრივ უბიძგებს უდისციპლინოებისკენ, რა დროსაც მოზარდისთვის ყველაფერი მისაღები და დასაშვებია. ამ დროს მშობლები მეტად ლოიალურები არიან.

აქ, მშობლები ზედმეტად ანებივრებენ შვილებს. დამთმობი მშობლები ნაკლებად აკონტროლებენ შვილებს, იმის ნაცვლად, რომ მათ თანდათანობით მისცენ დამოუკიდებლობა, ნებას აძლევენ მიიღონ გადაწყვეტილება იმ ასაკში, რა დროსაც მოზარდი ჯერ მზად არ არის. მაგალითად; ბავშვს შეუძლია მიირთვას, წავიდეს, დაწვეს რა დროსაც თვითონ სურს. უყუროს ტელევიზორს ან გაერთოს კომპიუტერით იმდენ ხანს რამდენსაც მოისურვებს. მათ არ უხდებათ კარგი მანერების, ქცევების შესწავლა და საშინაო დავალებების გაკეთება. მშობლების ნაწილს სჯერა, რომ ასეთი მიდგომა საუკეთესოა. დამთმობი მშობლების შვილები არიან იმპულსურები და გაუგონარნი. მოზარდებისადმი მშობლების ზედმეტი მიმტევებლობა დაკავშირებულია დაბალ თვით-

[71] ქურხული ლ. განვითარების ფსიქოლოგია. თბ; 2020. გვ. 345

კონტროლთან. თავისუფლად გაზრდილი თინეიჯერები/მოზარდები გამოირჩევიან დაბალი აკადემიური მოსწრებით, სკოლაში წარუმატებლობით და შედარებით ცუდი ყოფაქცევით.

გადაჭარბებულ ლოიალურ მიდგომას, საქმე მიჰყავს იქამდე, რომ მოზარდის პოზიტიური განვითარება და სოციალური მომწიფება არ ხდება, მას აკლია სოციალური განვითარებისთვის აუცილებელი რამ-სიტყვა „მინდა-ს“! სწორი გაგება.[72]

აღნიშნულიდან გამომდინარე მეტად საფრთხილო და საპასუხიმგებლოა მშობლობა და სწორი აღზრდის სტილის გამოყენება.

[72] ქურხული ლ. განვითარების ფსიქოლოგია. თბ; 2020. გვ. 342

თავი 4. მშობელთა ჩართულობა და სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე - კვლევითი ანალიზი

4.1. მშობელთა ჩართულობის თვისებრივი კვლევის ანალიტიკური ანგარიში

მშობლების აღზრდის სტილი, შესაბამისი სტილის დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები, დედის და მამის მიდგომებს შორის არსებული განსხვავებების იდენტი-ფიცირება - ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს, დაგვედგინა, როგორი აღზრდის სტილს იყენებენ დღეს მშობლები, გვეპოვა შესაბამისი სტილის დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები, არსებობს, თუ არა დედების და მამების მიდგომებს შორის განსხვავება. რა დროსაც მშობლებთან საუბარმა საინტერესო შედეგებზე გაგვიყვანა.

რესპოდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ შვილთან უკეთესი ურთიერთობისთვის უმჯობესია: მეგობრული ურთიერთობა, თანამშრომლობა, დამოუკიდებლობის მიცემა, თუმცა კონტროლის გათვალისწინებით. რესპოდენტების თქმით არსებობს სიტყვები, არსებობს ფორმულირება, რომელიც ბავშვისთვის გასაგები იქნება, რომელ ასაკშიც არ უნდა იყოს. ერთ-ერთი რესპოდენტი ამბობს: "ბავშვთან ურთიერთობის დროს არ უნდა გამოვიყენოთ სიტყვები: „ეს შენ არ გეხება, ეს არ არის საშენო, გაიზრდები და გაიგებ". მეტიც, ოჯახში ყველა სუბიექტია და ყველა თანასწორია, რაც მათ თანამშრომლობას ხელს უწყობს. ასევე, მშობელი ქეთიც, იგივეს გვეუბნება და ამბობს, რომ დემოკრატიული მიდგომა,

შვილებთან საუბარი, გარკვეული კონტროლის გათვალის-წინებით დადებითად მოქმედებს. მშობლების მხრიდან, შვილებისთვის სიტყვიერ შეფასებას დიდი ძალა აქვს. მაგალითად; დავითი აღნიშნავს, რომ მოზარდს თავიდანვე უნდა შთავუნერგოთ საქმისადმი, სწავლისადმი სიყვარული, განსაკუთრებული საჩუქრები არ უნდა სჭირდებოდეს, შესაბამისად, ის კმაყოფილია თავისი შვილის შედეგებით. რესპოდენტი ქეთიც, რომელიც კმაყოფილია შვილის მიღწევებით ამბობს, რომ: - „ჩემი შვილი კარგად სწავლობს, თუმცა განმავითარებელი შეფასებით, მამოტივირებელი სიტყვებით, ყოველთვის ვახალისებ“. აღმოჩნდა, რომ მშობლები, რომლებიც ცდილობენ, შვილის მიღწევები ხშირად აღნიშნონ და გამოხატონ, ბავშვებიც მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ნებისმიერ საკითხს, გრძნობენ მშობლების მხრიდან მხარდაჭერას. აღნიშნულ აღზრდის, სტილს, ფსიქოლოგები *დემოკრატიული აღზდის* სტილს უწოდებენ, თუმცა ამასთანავე ემსახურება გარკვეულ კონტროლს, გარკვეული სახის აკრძალვას, აკრძალვის დროს, ახსნას იმისა, თუ რატომ აუკრძალეს. ეს სტილი მეტნაკლებად მოწოდებულია ურთიერთანამშრომლობისკენ. ამ დროს, უფროსები ბავშვებთან ერთად თამაშობენ, უყვებიან მათთვის საინტერესო ისტორიებს, თუმცა ზედმეტად არ ანებივრებენ. მშობლები, დასჯის მექანიზმებსაც იშვიათად იყენებენ, მაგალითად: რესპოდენტი ქეთი ამბობს, რომ - „დასჯა არ არის გამოსავალი, ახსნა მეტად მომგებიანია“. რესპოდენტი დავითის თქმით - „ინტერნეტზე შეზღუდვის დაწესებამ, შედეგი არ გამოიღო“. რესპოდენტისთვის მეტად მნიშვნელოვანია ჯანსაღი, ცოცხალი ურთიერთობებით ჩანაცვლება, მეტი საუბარი, ოჯახთან მაქსიმალური დროის გატარება.

თუმცა, ურთიერთობებზე საუბარი, რესპოდენტების იმ ნაწილს გაუჭირდა, რომლებსაც შვილებთან კომუნიკაციის ნაკლებობა ჰქონდათ. დღეს, მშობლები მოუგვარებელ პრობლემად - შვილების ინტერნეტთან, ტელეფონთან, კომპიუტერთან დამოკიდებულებას ასახელებენ. განსაკუთრებული დასჯის მეთოდები არ აქვთ, შვილების დასჯა საყვარელი ნივთის ჩამორთმევით შემოიფარგლება.

მშობლები, რომლებიც აკრძალვას, გაბრაზებას, ჩხუბს ასახელებენ, შედეგზე ვერ გადიან. მაგალითად; რესპოდენტი ლანა საუბრობს: „გასულ ზაფხულს გამაბრაზა შვილმა და სახლიდან გასვლა ავუკრძალე, თუმცა დიდად არ იმოქმედა, მალევე დაავიწყდა და ისევ იგივე გაიმეორა“. მსგავსი პასუხები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ რაღაც კონკრეტულის აკრძალვით, ჩამორთმევით, გაბრაზებით შედეგი არ მიიღება, პრობლემის მოგვარების გზა ახსნა და სწორი კომუნიკაციაა. პედაგოგების აზრით, ხშირად მშობლებს სურთ, მათმა შვილებმა ყველა საგანში მაღალი აკადემიური შედეგები მიიღონ, რის მიღწევასაც მკაცრი მიდგომებით ცდილობენ. მოზარდებს ყველა საგანში ერთდროულად უჭირთ კონცენტრირება და იმის სწავლა სურთ რაც მათ აინტერესებთ. პედაგოგების თქმით მშობლების დიდი შეცდომა იძულებითი სწავლაა, ისინი ამ დროს გარკვეული ფორმით ძალადობენ მოზარდის შესაძლებლობებზე. ჩვენი რესპოდენტების პასუხებიდან გამომდინარე ასეთი მშობლები წახალისე-ბისთვის იყენებენ საჩუქარს, ჯილდოს, მაგალითად; რესპოდენტი ნატა საუბრობს მოზარდთან გამოყენებულ ძვირადღირებულ საჩუქრებზე, ნივთებზე და ამავდროულად საუბრობს მოზარდის დაბალ აკადემიურ მიღწევებზე. შესაძლებელია, მშობლები, რომლებიც მატერიალური

ნივთებით ახერხებენ მოზარდის წახალისებას, მოზარდებში იწვევდეს - *დროებით მოტივაციას.* ასევე, გამოიკვეთა, რომ ასეთი მშობლები, იშვიათად ამახვილებენ მოზარდის აკადემიურ წინსვლაზე ყურადღებას. რესპოდენტი ნატა საუბრობს - „ჩემი შვილი ძალიან იშვიათად იღებს მაღალ აკადემიურ შეფასებას, თუმცა არასდროს აღვნიშნავ, რადგან უფრო მეტი მსურს, პირიქით ვეუბნები, რომ ეს ძალიან ცოტაა და მეტი უნდა გააკეთოს, რაზეც ხშირად მიბრაზდება“. აღმოჩნდა, რომ მშობლების, კიდევ ერთი შეცდომა, მოზარდისთვის სიტყვიერი წაუხალისებლობაა, ანუ განმავითარებელი შეფასების არ არსებობა.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, აღზრდის პროცესში და ურთიერთობაში, კიდევ ერთ სირთულეს ასახელებს რესპოდენტი ლანა - „განქორწინებული ვარ მეუღლესთან, მამა, კი მოზარდის მიმართ ზედმეტად ლოიალურია, რა დროსაც იკარგება ჩემი ავტორიტეტი და მოზარდი ხდება დაუმორჩილებელი.“ ასევე, მშობელ ნატასაც, რომელსაც დამოუკიდებლად უწევს შვილის გაზრდა, უფრო მეტ პრობლემებს ასახელებს, ვიდრე ოჯახები, სადაც დედები და მამები ერთნაირად ცდილობენ ჩართულობას. აღმოჩნდა, რომ მშობლებს, რომლებსაც საკუთარ თავზე უწევთ პასუხისმგებლობის აღება ან განქორწინებული არიან მეუღლესთან, შედარებით ურთულდებათ შვილთან თანამშრომლობა.

ასევე, რესპოდენტების პასუხებიდან, აღმოჩნდა, რომ დედები მეტად იღებენ მონაწილეობას აღზრდის პროცესში, სწავლასთან დაკავშრებულ საკითხებში, ვიდრე მამები. მამები დედებთან შედარებით დამთმობები არიან, ანებივრებენ შვილებს. მშობლები აღნიშნავენ, რომ მოზარდები, იმ

მშობლებთან არიან თავისუფლნი, ვისთანაც დამოუ-კიდებლობას გრძნობენ, სადაც კონტროლის დონე დაბალია. რესპოდენტი გიორგი კი, მეუღლეს და თავის აღზრდას შორის ვერ პოულობს განსხვავებას და ამბობს, რომ ჩამოყალიბებული როლები არ აქვთ, საკითხს გააჩნია არის საკითხები, სადაც თვითონ მეტად მიდის დათმობაზე, ვიდრე მეუღლე ან პირიქით. შეიძლება ითქვას, რომ ისეთ ოჯახებში, სადაც რომელიმე მხარე დომინირებს და მკვეთრი განსხვავებაა მშობლების მიდგომებს შორის, მოზარდის მიღწევებიც შედარებით დაბალია. მაგალითად, რესპოდენტი ილონა, რომელიც მოზარდის დაბალ მოტივაციას ასახელებს სწავლის მიმართ აღნიშნავს, რომ ის თუ რამეს უკრძალავს, მამა ანებივრებს, მეტის უფლებას აძლევს, რაც ურთიერთობაზე ცუდად აისახება.

საუბრიდან გამოიკვეთა სხვადასხვა აღზრდის და თანამშრომლობის სტილი, თუმცა, ინდიფერენტული მიდგობები გამოიკვეთა იმ მშობლებთან, რომლებსაც აქვთ მძიმე სამუშაო პირობები, მშობლებს, რომლებსაც კიდევ ჰყავთ მოზარდები, მათ უჭირთ დროის განაწილება და შესაბამისად, მოზარდიც მეტ დამოურჩილებლობას უცხადებს მშობელს. ხოლო, ავტორიტარული მშობლები, რომლებიც მაღალი კონტროლით გამოირჩევიან, რომლებიც ხშირ დასჯას მიმართავენ, მოზარდის დაბალ მიღწევებზე და დაბალ მოტივაციაზე საუბრობენ. რაც შეეხება დემოკრატიული მიდგომების მშობლებს, მათი ურთიერთობები ახსნა/განმარტებაზეა დამყარებული, შვილების მიღწევებით კმაყოფილებიც არიან. ასევე გამოჩნდა, რომ დღეს დედებს მეტი პასუხისმგებლობა აქვთ აღებული, დედები მეტად ჩართულები არიან სასკოლო საქმიანობაში, რასაც

პედაგოგების პასუხებიც ადასტურებს. თუმცა დედები მეტად იყენებენ ავტორიტარულ მიდგომებს, ვიდრე მამები და მოზარდები თავისუფლად თავს მამებთან გრძნობენ, მამებს მეტს ესაუბრებიან, რადგან მამები მეტად ლოიალურები არიან.

დავადგინოთ,ავტორიტარული/დემოკრატიული/ინდიფერენ ტულ მიდგომების გავლენა მოზარდის მიღწევებზე;

იმისთვის, რომ დაგვედგინა თუ როგორია აღზრდის ყველაზე გავრცელებული მიდგომები - შევეცადეთ მშობლებთან გვესაუბრა. საუბრის დროს, აღმოჩნდა, რომ დასჯა, მოზარდის გაკიცხვა, მასთან მუდმივი საყვედური არ იძლევა დადებით შედეგს. მშობელი ილონა, აღნიშნავს, როდე-საც დასჯა ახალი დასრულებულია, შვილი მეტად მონდომებული, გაწონასწორებული და პასუხიმგებლიანია, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ მოზარდები იგივე შეცდომებს იმეორებს. რესპოდენტი ნატა საუბრობს, რომ წინა წლებში მათი ურთიერთობის ფორმა ძირითადად, ჩხუბზე, გაბრაზებაზე იყო დამყარებული, ახლა როცა გაიზარდა, შეიძლება პირიქით მოზარდმაც აუწიოს ხმის ტონს. მეტიც, ნატა აღნიშნავს, რომ მუდმივ კონფლიქტშია შვილთან და ვერ ახერხებს ურთიერთობის დალაგებას. მშობლები, რომლებიც *ავტორიტარულ* ოჯახებში იზრდებოდნენ არ მიმართავენ შესაბამის სტილს, მაგალითად დავითი ამბობს: „ავტორიტარული სტილი, ვიცი რაც არის, რადგან მამაჩემი იყო ავტორიტარი, დღესაც კი ერევა ჩემს ჩაცმულობაში, აქედან გამომდინარე, რომ ვიცი ეს რაც არის, თავიდანვე ვცდილობ შორს დავიჭიოა თავი“.

ინდიფერენტულ სტილთან დაკავშირებით რესპოდენტებს უჭირთ საუბარი. ერთ-ერთი რესპოდენტი არასწორად მიიჩნევს მიდგომას - „ჩააგდე ბავშვი მდინარეში

და გამოცურავს“. ჩანს, რომ მშობლის მხრიდან ინდიფერენტული მიდგომა უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდის მიღწევებზე და მშობლებთან მიმართებაში იწვევს გაუცხოებას. რესპოდენტი ქეთი, შვილის როგორც აკადემიური და შემოქმედებითი აქტივობებით ამაყობს, აღნიშნავს - როცა შვილთან ახლოს არის, შვილს ეძლევა იმედი, გრძნობს მხარდაჭერას, თვითონ დროულად ახერხებს, საჭიროების შემთხვევაში დახმარებას.

თამამად შეიძლება ვთქვათ, სადაც გამოყენებულია აღზრდის ავტორიტარული სტილი, მოზარდები კიდევ უფრო ჩაკეტილები არიან, საშუალება არ ეძლევათ გულახდილად ესაუბრონ მშობლებს, მშობლები, რომლებიც ავალდებულებენ და უბრძანებენ შვილებს, დასხდნენ და იმეცადინონ, შედარებით ნაკლებად მოტივირებულები არიან. ასეთი მშობლები მუდამ უკმაყოფილებას გამოხატავენ მოზარდის მიმართ და უჭირთ დაინახონ თავიანთი სუსტი მხარეები. ხოლო ინდიფერენტულ მიდგომებთან დაკავშირებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული კიდევ უფრო აუცხოებს მშობლებისა და შვილების ურთიერთობას, მათ აღარ აქვთ საერთო ღირებულებები. მშობლის ავტორიტეტი იკარგება, რაც იწვევს მოზარდების დაუმორჩილებლობას, სწავლის მიმართ უყურადღბობას და გულგრილობას. რაც შეეხება დემოკრატიულ სტილს, რომელიც გარკვეულ კონტროლს ითვალისწინებს, თუმცა მშობლის მხრიდან ახსნა/განმარტებას ემსახურება, მოზარდები მეტად დამოუკიდებლები, მიზანსწრაფულები, მაღალი მიღწევებით გამოირჩევიან, შესაბამისად, მშობლებიც კმაყოფილებას გამოხატავენ.

გავარკვიოთ მშობლების ჩართულობა/ჩაურთველობის

პრობლემები; მშობლის დამოკიდებულება შვილის სასწავლო პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით - ჩართულობის მოტივატორები და ბარიერები, დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები;

აღსანიშნავია, რომ მშობლების ინფორმირება სასწავლო პროცესთან, აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებით, სკოლასთან ხორციელდება კომპლექსურად, ისინი მოზარდის აკადემიურ შედეგებს იგებენ ელექტრონული ჟურნალით, პედაგოგებთან და მოზარდებთან საუბრით.

მაგალითად, რესპოდენტი დავითი და ქეთი აღნიშნავს, რომ შვილთან ურთიერთობა საშუალებას აძლევთ, გაიგონ რა შედეგები აქვთ მათ შვილებს სკოლაში. ხოლო, რესპოდენტი ილონა, რომელიც არ საუბრობს მოზარდის მაღალ აკადემიურ მიღწევებზე, ამბობს, რომ ძირითადი ინფორმაციის წყარო პედაგოგები და ელექტრონული ჟურნალია. მიუხედავად სურვილის, მშობლების ნაწილს უჭირთ შვილების სწავლება-სწავლის პროცესში ჩართულობა. განსაკუთრებით მრავალ-შვილიან, დასაქმებულ მშობლებს არ აქვთ საკმარისი დრო და ენერგია. რამდენიმე მშობელი აღნიშნავს, რომ მათ შვილებს არ სურთ მშობლების აქტიურობა. მაგალითად; მშობელი ნატა, ვისზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ამბობს - მოზარდი სწავლის პროცესში არ აძლევს ჩართულობის საშუალებას, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გამოიწვია ნატას დროის ნაკლებობამ. საუბარში ისიც გამოიკვეთა, რომ მარტოხელა მშობლები ცდილობენ მეტად გააკონტროლონ შვილები, რაც მოზარდების მხრიდან უკმაყოფილებას იწვევს. ამ ყველაფრის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს კონკრეტული მიდგომების გამოყენება, მაგალითად ზედმეტი კონტროლი, მარტოხელა დედებს ყოველთვის შიში აქვთ, არ გამორჩეთ შვილის შეცდომები.

მშობლების სკოლასთან ჩართულობის ბარიერად, ძირითადად, დროის ნაკლებობა, მოუცლელობა, მრავალშვილიანობა, გადაღლილობა გამოიკვეთა. მშობლებს აღარ რჩებათ თავისუფალი დრო და ენერგია. მოუცლელი მშობლები, ძირითადად ინფორმაციას ელექტრონული ჟურნალის საშუალებით იღებენ და ნაკლები კომუნიკაცია და ნდობა აქვთ შვილებთან, რაც მოზარდებში აგრესიას იწვევს. მშობლის მხრიდან ჩართულობა, საჭირო დროს დახმარების გაწევა, დადებითად აისახება მოზარდის მიღწევებზე. შვილებთან სიახლოვე, მშობლებს რეალური შეფასების საშუალებას აძლევს, შესაბამისად, მათი შვილების შედეგები საკმაოდ მაღალია, რასთან დაკავშირებითაც მშობლები სიამაყით საუბრობენ.

დავადგინოთ მშობლებისა და შვილების ურთიერთობის პრობლემები;

მშობლებს და შვილებს შორის უთანხმოების ძირითადი მიზაზი - მშობლების მხრიდან ზედმეტი მოთხოვნები დასახელდა. პრობლემებს ჰქმნის საკითხის მიმართ განსხვავებული აზრი და დამოკიდებულება, მათ შორის ნაკლები კომუნიკაცია.

მაგალითად, მოზარდებთან საუბრის დროს გაირკვა, რომ მშობლების უმეტესობა ყურადღებას ამახვილებს აკადემიურ ნიშნებზე, მშობლებს სურთ ყველა საგანი თანაბრად ისწავლონ შვილებმა, რასაც მოზარდები არ ეთანხმებიან. მოზარდების ნაწილს აქვს გარკვეული გატაცება. მოზარდი გაბრიელი, თამაშობს კალათბურთს და ფიქრობს, რომ აქ წარმატებული იქნება, ასევე, მოსწონს სკოლაში მათემატიკა, არის საგნები, რომელშიც აქვს დამაკმაყო-ფილებელი შედეგი, თუმცა არ გამოირჩევა ყველა საგანში

საუკეთესო შეფასებით, რაზეც მშობლები სწუხან და თვლიან, რომ ყველა საგანში, მათი შვილი მაღალი მიღწევებით უნდა გამოირჩეოდეს. იგივენაირად შემდეგი პრობლემა იკვეთება ინტერნეტთან, ტელეფონთან დაკავშირებით. მშობლები აღნიშნავენ, რომ უჭირთ გააკონტროლონ შვილები, რადგან ეს დღეს დიდი პრობლემაა, დროის უმეტეს ნაწილს, მოზარდები კარგავენ ინტერნეტ თამაშებში.

მოზარდებზე, ის მშობლები გამოხატავდენ უფრო მეტ გაბრაზებას, რომლებიც ნაკლებად ჩართულები არიან. რესპოდენტი ნატას აზრით, თავისი შვილი მეტ დროს გარეთ ატარებს, ვიდრე სახლში. როდესაც მოზარდი ვერ ხედავს სწავლის, საგნის საჭიროებას, არ აქვს მშობლის მხრიდან ახსნა/განმარტება, შესაბამისად, მზაობაც დაბალია.

მოზარდის ცხოვრებაში, ინდიფერენტული და ავტორიტარულ მიდგომების უარყოფით მხარეზე ამახვილებენ პედაგოგები ყურადღებას. ძირითადად, პედაგოგები, აღნიშნავენ, რომ მშობლებს უჭირთ მოერგონ მოზარდის საჭიროებებს, მიუდგნენ ინდივიდუალურად, არ/ვერ უთმობენ სათანადო დროს სწორ კომუნუკაციას.

დათმობაზე საუბრისას, აღმოჩნდა, რომ შვილებთან გარკვეული კონფლიქტის შემდეგ, ორივე მხარე მიდის დათმობაზე, მაგრამ ბუნებრივია ავტორიტარულ ოჯახებში, მოზარდები ხშირად იჩაგრებიან, ხოლო ლოიალური მიდგომების ოჯახებში, პირიქით მშობლები ზედმეტადაც ანებივრებენ შვილებს.

ჯამში ისევ გავდივართ კომუნიკაციის და თანამშრომლობის ნაკლლებობაზე.

დავადგინოთ მშობლების, პედაგოგების და სკოლის თანამშრომლობის ფორმები - მოტივატორები და

ბარიერები/პრობლემები;

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო პასუხები მივიღეთ. როგორც ჩანს, სკოლასთან თანამშრომლობის სიხშირე არასაკმარისი მიაჩნიათ, იმ მშობლებს, რომლებიც შვილის ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული, მაგალითად: რესპოდენტი ილონა უარყოფითად აფასებს სკოლის ჩართულობას, ის ამბობს, რომ სკოლას არ აქვს დამატებითი ღონისძიებები, აქტივობები, ინდივიდუალურად არ აწოდებს ინფომაციას, რაც მათ შორის ბარიერს ჰქმნის. ზოგიერთი მშობელი, პანდემიის როლზე საუბრობს, რამაც, კიდევ უფრო შეუშალა ხელი მათ ჩართულობას სკოლაში.

მშობელი ნატა, პედაგოგების და სკოლისგან მეტ აქტიურობას მოითხოვს, ის ფიქრობს სკოლას მეტი შეუძლია, ვიდრე აკეთებს, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ მისი და სკოლის თანამშრომლობა მოზარდზე გავლენას არ ახდენს. ურთიერთ-საპირსპირო პასუხების გამო შეგვექმნა წარმოდგენა, რომ მშობლები, რომლებიც ნაკლებად არიან, სასკოლო საკითხში გარკვეულები, ყოველთვის მეტს მოითხოვენ პედაგოგებისგან. აქტიური მშობელები სკოლის აქტიურ როლზე და პედაგოგების მოტივაციაზე საუბრობენ. ერთ-ერთი რესპო-დენტი ამბობს - „ნუ ვიქნებით ილუზიაში, რომ სკოლა უფრო მეტად უნდა დაინტერესდეს, ვიდრე მშობელი, ჩვენ ვართ დამკვეთები და ჩვენ უნდა ვიყოთ მოტივირებულები“.

რაც შეეხება პედაგოგების პოზიციას, ისინი საუბრობენ, გეგმიურ შეხვედრებზე. დროის ფაქტორიდან გამომდინარე, მშობლებს უჭირთ სკოლაში მისვლა, მეტიც, რამდენიმე პედაგოგმა დაასახელა აქტივობა, რომელიც ვერ განახორციელა მშობლების ჩაურთველობის გამო, მაგალითად პედაგოგი ეკატერინე საუბრობს: „მშობლის დღეზე“, რომელიც დიდი

ენთუზიაზმით დანერგა, სადაც მშობლებს შეეძლო მათთვის საინტერესო ნაწარმოები წაეკითხათ შვილის თანაკლასელებისთვის, მშობლების პასიურმა ჩართულობამ შედეგზე ვერ გაიყვანა და აღნიშნული აქტივობა არ შედგა.

პედაგოგებიც და მშობლებიც ერთმანეთისგან მოითხოვენ მეტ პასუხისმგებლობას, თუმცა აქაც მათ შორის ბარიერს მშობლების მოუცლელობა წარმოადგენს.

დავადგინოთ მოზარდის დამოკიდებულება, მშობლის მის ცხოვრებასა და სასწავლო პროცესში ჩართულობასთან მიმართებით - ასევე, მასთან ურთიერთობის ავტორიტარულ, დემოკრატიულ, ინდიფერენტულ მიდგომებთან დაკავშირებით;

ჩვენ, ვესაუბრეთ მოზარდებს, გავიგეთ მოზარდების დამოკიდებულება მშობლების ჩართულობასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ მოზარდები, რომლებიც მაღალი აკადემიური შედეგებით გამოირჩევიან, მათი მშობლები მეტად ჩართულები არიან მათ სასწავლო პროცესში, მეტიც, ამ მოზარდებს სიამოვნებთ მშობლის ჩართულობა.

რესპოდენტი გეგა, საუბრობს - როდესაც მშობლები ახლოს ჰყავს, გრძნობს თანაგრძნობას, ამ დროს მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება სასწავლო მასალის შესწავლას. საუბარში მოზარდების უმეტესობა აღნიშნავს, რომ მათთვის მეტად ღირებულია მშობლის მხრიდან შექება და განმავითარებელი შეფასება. მოზარდი თევდორე გვიყვება, რომ სკოლაში რამდენიმე დღის წინ მიღო - სიგელი, რა დროსაც მშობლების მხრიდან დაიმსახურა განმავითარებელი შეფასება, რამაც კიდევ უფრო მოტივირებული გახადა. ასევე, კიდევ ერთი მოზარდი საუბრობს - წინა კლასებში ხშირად იღებდა საყვედურს, მაგრამ დედასთან საუბარმა, მასთან მეგობრულმა

ურთიერთობამ მისცა ძალა, რადიკალურად შეცვლილიყო, მისთვის მოტივაციას მშობელი და მშობელთან თანამშრომლობა წარმოადგენს.

ძირითადად, იმ მოზარდებს უჭირთ მშობლებთან გულახდილი საუბარი, რომელთა მშობლებიც დაკავებულები არიან. მეტიც მშობელი ნატც აღნიშნავს, რომ შვილი ხშირად ეუბნება: - „არ მიცნობ, ჩემი ოცნებები არ იცი“. მოზარდებს ყველაზე მეტად არ მოსწონთ მშობლების მხრიდან უნდობლობა, ტყუილი დაპირებები და იმედგაცრუება.

ერთ-ერთი მაღალი აკადემიური მოსწრების მოზარდი მშობლებს ურჩევს - „მშობლებმა შვილებთან ურთიერთო-ბისთვის უნდა გამონახონ დრო, ესაუბრონ ბევრი, გაიგონ რა აწუხებთ შვილებს, რადგან მყავს კლასელები, რომლებთაც აქვთ პრობლემები და ვერ ესაუბრებიან მშობლებს, რადგან იციან რომ ვერ გაუგებენ“.

აღმოჩნდა, რომ მოზარდები, რომლებიც ძირითად დროს ატარებენ მშობლებთან და საუბრობენ ბევრს, გამოირჩევიან მაღალი მიღწევებით. შვილები მოითხოვენ მშობლების ახლოს ყოფნას, მშობლის ჩართულობას. მათი აზრით, მშობლებთან თანამშრომლობით, ისინი, მეტად თავდაჯერებულები და მოტივირებულები არიან. მნიშვნე-ლოვანია როგორც ჩართულობა, ასევე სწორი აღზრდის და ურთიერთობის სტილის შერჩევა, რომოლეც დამყარებულია დემოკრატიულ მიდგომებზე.

დავადგინოთ პედაგოგების დამოკიდებულება, მშობლის მოზარდის ცხოვრებასა და სასწვალო პროცესში ჩართულობასთან მიმართებით - ასევე, მოზარდთა ურთიერთობის ავტორიტარულ, დემოკრატიულ, ინდიფერენტულ მიდგომებთან დაკავშირებით;

პედაგოგებთან საუბარის დროს, აღმოჩნდა, რომ პედაგოგებს მოზარდთან ურთიერთობაში ყველაზე მეტად ეხმარებათ მეგობრული საუბარი, თანამშრომლობითი ურთიერთობები და სხვადასხვა საკითხის განხილვა.

ყველა ბავშვისთვის მნიშვნელოვანია შექება, წახალისება და განსაკუთრებით ამ ასაკისთვის ნაკლებად ღირებულია მატერიალური საჩუქრები.

პედაგოგი, თათია, აღნიშნავს, რომ დემოკრატიული სტილი ყველანაირ ურთიერთობაში მომგებიანია, „მოზარდი ოჯახის სარკეა“, ყველანაირი ოჯახური პრობლემები მკაფიოდ აღიბეჭდება მოზარდის ქცევებზე, მშობლებს ურჩევს, რომ ოჯახური პრობლემები ნაკლებად მოახვიონ თავს მოზარდებს. პედაგოგი იზოლდა, იმასაც აღნიშნავს, რომ ამ ასაკის მოზარდებს მშობელი უნდა დაუახოვდეს, ესაბროს, თუნდაც მათი აზრები და დამოკიდებულებები არ ემთხეოდეს ერთმანეთს.

თუმცა, საპირისპიროს გვეუბნება პედაგოგი ეკა - „ძირითადად, პრობლემა მშობლების მხრიდან გადაჭარბებული ლოიალური მიდგომებია, ხშირად ზედმეტად სჯერათ საკუთარი შვილების. შვილებთან, პედაგოგების გაკიცხვასაც არ ერიდებიან, რა დროსაც პედაგოგის ავტორიტეტი იკარგება და მოზარდის ჩართულობაც სკოლაში მცირდება.

პედაგოგებთან საუბრის დროს, ასევე აღმოჩნდა - მაღალი აკადემიური მიღწევებით, ის მოზარდები გამოირჩევიან, რომელთა მშობლებიც (მამა/დედა) თანაბრადაა როგორც შილის აღდაში, ასევე სასკოლო ცხოვრებაში ჩართული. სხვა შემთხვევაში დედები მეტად გამოირჩევიან აქტიურობით, დედებს მეტი პასუხისმგებლობა აქვთ

აღებული.

პედაგოგების თქმით, მშობლები უნდა მოერგონ მოზარდებს, ჯაჭვი უნდა შეიქმნას: „მშობელი, სკოლა და მოზარდი“, მშობელი გვერდზე არ უნდა გადგეს. პედაგოგები უარყოფენ ავტორტარულ და ინდიფერენტულ მიდგომას, ინინი საუბრობენ ამ ორი მიდგომის უარყოფით მხარეზე. დღეს ახალგაზრდებში მძიმე ფსიქო-ემოციური ფონია, რაც გამოწვეულია მრავალი გარემოებით: განქორწინებული ოჯახებით, მშობლების ქაოსური სამსახურით, მოზარდების ინტერნეტთან, გაჯეტებთან დამოკიდებულებით და ა.შ. აქ მთავარი როლს მშობლის სწორი და ჯანსაღი მიდგომა წარმოადგენს, რაც ურთიერთანამშორმლობაზე უნდა იყოს დამყარებული.

4.2. სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა მოზარდის მიღწევებზე

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის კომპონენტების შედეგად მიღებული ანალიტიკური ნაწილი, რომელიც შედგება - ამოცანებზე პასუხების გაცემისგან.

თვისებრივი კვლევის ანალიტიკური ანგარიში

კვლევის მიზნის მისაღწევად ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად მივიღეთ პრობლემურ სიტუაციაში ჩართული ორივე მხარის (მშობელი და პედაგოგი) საკმაოდ არგუმენტირებული, საინტერესო და ამავდროულად საგულისხმო დამოკიდებულებები სოციალურ-ეკონომკურ მდგომარეობასთან მიმართებით.

დავადგინოთ თუ როგორია, სოციო-ეკონომიური

მდგომარეობის მქონე ოჯახებში მცხოვრები მოზარდების აკადემიური მოსწრების დონე; (ორივე კატეგორიის ოჯახებში)

ზემოთ წარმოდგენილი კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენს დაგვედგინა, დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და საშუალო/მაღალი შემოსავლების მქონე მოზარდების აკადემიური მიღწევები და სასწავლო შედეგები. დაგვედგინა როგორ აფასებს მშობლები და პედაგოგები მოზარდის მიღწევებს. შესაბამისად, რესპოდენტებისგან მივიღეთ საინტერესეო პასუხები.

აღმოჩნდა, რომ მოზარდის მიღწევებში მნიშვნელოვანია სასკოლო გარემო, ოჯახური პირობები, თანასწორუფლებიანობა, ის სოციუმი, სადაც ბავშვს უწევს დროის გატარება. ჩვენ, სიღმისეული ინტერვიუ ჩავატარეთ, როგორც საჯარო სკოლის პედაგოგებთან და მშობლებთან, ასევე კერძო სკოლის პედაგოგებთან და მშობლებთან. კერძო სკოლის მშობლები, მათი შვილების მაღალ მიღწევებზე საუბრობენ, აღმოჩნდა, რომ მათ ფორმალურ, განსმაზღვრელ შეფასებაზე მეტად, მათი შვილების სხვა მიღწევები აინტერესებთ, როგორიც არის საერთაშორისო ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობა, საზაფხულო გაცვლით სკოლებში გამგზავრება, ოლიმპიადებზე გამარჯვება და ა.შ. მაგალითად რესპოდენტი ქეთი, რომელსაც კერძო სკოლაში დაჰყავს შვილი, ფიქრობს, მისთვის მნიშვნელოვანია აკადემიურ მიღწევები, მაგრამ ამას განმსაზღვრელი სახე არ უნდა ჰქონდეს, როდესაც მიღწევებზე ვსაუბრობთ მოზარდს უნდა ჰქონდეს მაღალი ცნობიერება და ის უნდა მონაწილეობდეს სხვადასხვა პროექტებში. ასევე რესპოდენტი ანა, ამბობს, რომ მისი შვილი ყველა საგანში არ გამოირჩევა *„ფრიადებით“*, მაგრამ ის კმაყოფილია, შვილის მიღწევებით,

რადგან რაც აინტრესებს და უყვარს, იქ ყოველთვის წარმატებულია.

კერძო სკოლის პედაგოგი თათია ამბობს, რომ მათი სკოლის მშობლებისთვის, აკადემიურ ქულას დიდი დატვირთვა აქვს, თუმცა მშობლები პედაგოგებისგან უფრო მეტს მოითხოვენ.

საშუალო ფინანსური შემოსავლების მშობლებს, არ აქვთ მოზარდის მიმართ მაღალი მოთხოვნები, ისინი საუბრობენ მოზარდის დამაკმაყოფილებელ შედგებზე, მაგალითად რესპოდენტი ნინო, რომელიც საშუალო შემოსავლებით ახასიათებს ოჯახურ პირობებს, ამბობს, რომ „მოზარდს რაც შეუძლია იმას უნდა აკეთებდეს, უფრო მეტს ნუ მოვთხოვთ, სწავლა არ უნდა შევაძულოთ, რადგან სკოლაში მიღებული შედგების გარეშეც შეიძლება გახდეს წარმატებული“.

ხოლო, დაბალი და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი რესპოდენტები პრიორიტეტად აკადემიურ შედეგებს მიიჩნევენ, მათი შვილების მაღალ მიღწევებზე არ საუბრობენ, რაშიც პირდაპირ სოციალურ პირობებს მიმოიხილავენ. მაგალითად, კიდევ ერთი რესპოდენტი ნინია, რომელიც დაბალ შემოსავლებზე და პირობებზე საუბრებს, ამბობს, რომ - „ჩემი შვილის დაბალი შედგების მიზეზი არის ოჯახის ფინანსური პირობები, რადგან საჭმელზე ძვლივს გვყოფნის ფული, ვერ ვუზრინველყოფთ რეპეტიტორებს“, ნინია სკოლებს მოუწოდებს, მსგავსი მოზარდებისთვის იყოს დამატებითი უფასო გაკვეთილები.

პედაგოგების აზრით, მოზარდს სწავლა მაშინ გამოსდის უკეთ, როცა ოჯახში სიმშვიდეა, როდესაც სკოლაში ბავშვი სრულფასოვან პიროვნებად გრძნობს თავს, როცა

მოზარს აქვს რესურსები და სხვა ხელშემწყობი გარემოებები, თუმცა სწავლისადმი დამოკიდებულება ინდივიდუალურია, მაგრამ დაბალი შემოსავლების მოზარდებს განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდებათ.

აღნიშული პასუხებიდან გამომდინარე ცალსახად შეიძლება ვთქვათ, რომ სოციალური პირობები მოზარდის მიღწევებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. მაგრამ, ფორმალური აკადემიური შედეგებით, შედარებით დაბალი შემოსავლების ოჯახები მეტად არიან დაინტერესებული, ამას კი ამტკიცებს რესპოდენტი ნინიას სიტყვები: "მინდა ყველა საგანში, კარგი ქულები ჰქონდეს, რაც განსაზღვრავს მის მომავალს და პროფესიას".

დავადგინოთ ის სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული პრობლემების/ხელმისშემშლელი გარემოებები, რომელიც ექმნებათ მოზარდებს სწავლების პროცესში (ორივე კატეგორიის ოჯახებში);

ამ ამოცანაზე, პასუხის მისაღებად გავესაუბრეთ მშობლებს და პედაგოგებს. მშობლებს, რომლებსაც კერძო სკოლაში დაჰყავთ შვილები, საშუალოდ წლის განმავლობაში მოზარდის განათლების ხარჯს 10 000 დან 14 000 ლარი შეადგენს, ხოლო, იგივე საშუალო/მაღალი შემოსავლების მშობლები, რომლებიც საჯარო სკოლაში ატარებენ შვილებს 2000 დან 5 000 ლარს ასახელებდნენ. რაც შეეხება დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახებს, მაქსიმუმ წლიურ ხარჯს 1000 ლარს ასახელებდნენ, რომელშიც შედის სასკოლო ტანისამოსი, ნივთები და სახელმძღვანელოები და ყველაფერი რაც სკოლას უკავშირდება. რესპოდენტი, ნინია, რომელსაც საკვებზე ძვლივს ჰყოფნის თანხა, მოუგვარებელ პრობლემად, იმ საგნებში დამატებითი მასწავლებლის ვერ

აყვანას ასახელებს, რაშიც მოზარდს სჭირდება დახმარება.

მაღალი შემოსავლების მშობლების აზრით, მოზარდის სწავლაში ხელშემშლელი შეიძლება იყოს: არასწორად შერჩეული სამეცადინო ოთახის განათება, არასწორად შერჩეული სავარძელი, არასწორი ურთიერთობები, რა დროსაც დაბალი შემოსავლების ოჯახები მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილებას ვერ ახერხებენ, როგორიც არის სახელმძღვანელოების შეძენა, სასკოლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა და ა.შ.

საშუალო შემოსავლების მქონე მშობელი, ნატა ამბობს, რომ ყველაზე მოუგვარებელი ხარჯი არის ბიჭებისთვის „ჯიბის ფული“, რადგან ამ ასაკში ყოველდღიური სახე მიიღო ამ გარემოებამ, ხოლო ამის მოუგვარებლობა მოზარდში იწვევს მათ მიმართ აგრესიას, ურთიერთობის გაუარესებას, რაც მოზარდის მიღწევებზე ნეგატიურად აისახება.

ამ თემაზე საუბრის დროს, საჯარო სკოლის პედაგოგი სოფო საუბრობს - „ხშირად მესმის ბავშვს, თუ უნდა ყველგან ისწავლის, რასაც არ ვეთანხმები“, იმ მოზარდებს, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ ოლიმპიადებზე, ღონისძიებებზე, დამატებით წრეებზე, დამატებით ლიტერატურაზე, როგორ შეიძლება ეს ყველაფერი ხელს არ უშლიდეს მათ განვითარებას?“. აქ პედაგოგი ახსენებს მასლოუს პირამიდას, როდესაც მოზარდს არ აქვს მინიმალური პირობები განათების მიღების პროცესში, როგორ შეიძლება მშობელი, ან სკოლა უყენებდეს მაღალ მოთხოვნებს. ასევე, ერთ-ერთი საჯარო სკოლის პედაგოგი, ეკა, საუბრობს, როდესაც ფინანსური საჭიროებების მოუგვარებლობაა ოჯახში, მოზარდი თავისდაუნებურად ჩართულია ოჯახურ პრობლემებში რაც ნეგატიურად აისახება მოზარდის განწყობაზე.

გარდა ეკონომიკური პირობებისა, მშობლები ასახელებენ დამატებით გარემოებებს, რომელიც დაეხმარება მოზარდს შედეგების გაუმჯობესებაში, მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახები ასახელებენ გარემოს, მაგალითად რესპოდენტი ანას თქმით, მოზარდისთვის სოციალური გარემო არის მთავარი ფაქტორი, რომელიც მოქმედებს მოზარდის ჩამოყალიბება/განვითარებაზე, შესაბამისად, მას დაჰყავს შვილი, კერძო სკოლაში, როცა მოზარდს ჰყავს წარმატებული თანაკლასელები, ის მეტად მოტივირებულია. თუმცა ერთ-ერთი კერძო სკოლის პედაგოგმა ყურადღება გაამახვილა - „ხშირად *მშობლებს კერძო სკოლა ჰქონიათ თავშესაფარი“.* ბევრი მშობელი ვერ ახერხებს სწავლის საფასურის გადახდას, რა დროსაც სკოლა მოზარდს არ უშვებს გამოცდებზე, ეს კი მოზარდის თავმოყვარეობაზე უარყოფითად მოქმედებს და სწავლაშიც ხელს უშლის.

მიღებული პასუხებიდან შეიძლება ვთქვათ, რომ ოჯახის სოციო-ეკონომიურმა მდგომარეობამ შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს მოზარდების საგანმანათლებლო შედეგებზე. ფინანსურმა უთანასწორობამ შეიძლება შეზღუდოს ხარისხიანი განათლების შესაძლებლობაზე ხელმისაწვდომობა. დაბალი შემსავლების ოჯახები განიცდია საგანმანათლებლო რესურსების დეფიციტს, მოზარდებს ხელი არ მიუწვდებათ გარე აკადემიურ მხარდაჭერაზე, როგორიცაა რეპეტიტორები, საგანმნათლებლო კლუბები და ა.შ. ასევე სამომავლოდ ხელი ეშლებათ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგძელების კუთხით. მეტიც ეკონომიკურმა გამოწვევებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მოზარდების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, ფინანსურ

არასტაბილურობასთან დაკავშირებულმა წუხილმა შეიძლება გამოიწვიოს მოზარდების სწავლისადმი დემოტივაცია.

სწავლების პირობებში, სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული იმ ხელისშეშლელი გარემოებების იდენტიფიცირება, რამაც უარყოფითად იმოქმედა მოზარდების აკადემიური მოსწრების ხარისხზე (დისტანციური სწავლება);

დაბალი შემოსვლების ოჯახებში, დისტანციურმა სწავლებამ საკმაოდ დიდი პრობლემები შექმნა. მოზარდებს ხშირ შემთხვევაში არ ჰქონდათ კომპიუტერი, ინტრნეტი, ასევე რამდენიმე რესპოდენტთან საუბრის დროს გამოიკვეთა საცხოვრებელი პრობლემა, მაგალითად რესპოდენტი ნინია საუბრობს, რომ მათ აქვთ ერთოთახიანი ბინა," ხშირად ბავშვი ვერ ახერხებდა კამერის ჩართვას, (დისტანციური სწავლების დროს) სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღებას".

თითქმის ყველა რესპოდენტი საუბრობს, დამატებით საჭიროებაზე, როგორიც არის: ლეპტოპი, გაჯეტი, ინტერნეტი და ა. შ. მშობლები მეტნაკლებად გაუმკლავდნენ აღნიშნულ მოთხოვნილებებს, თუმცა დაბალი შემოსავლების ნაწილმა პრობლემის მოგვარება სამწუხაროდ ვერ შესძლო. ასევე, მაღალი შემოსავლების მშობლები საუბრობდნენ დისტან-ციური რეჟიმით გამოწვეულ საფრთხეებზე, როგორიც არის ჯანმრთელობის პრობლემები, კომპიუტერზე დამოკი-დებულება, დისციპლინის შემცირება, სოციალიზაციის ნაკლებობა, კომუნიკაციის და ჯანსაღი ურთიერთობების არ არსებობა.

აღმოჩნდა, რომ პედაგოგები ნეგატიურად ახასითებენ აღნიშნული სწავლების ფორმას. თუმცა განასხვავებაა კერძო და საჯარო სკოლის პედაგოგებს შორის, კერძო სკოლის

პედაგოგები, არ ასახლებენ ინტენტის და ტექნიკური საშუალებების არარსებობას, ისინი მხოლოდ სოციალიზაციის ნაკლებობაზე და დისციპლინის გაუარესებას აღნიშნავენ. ხოლო საჯარო სკოლის პედაგოგები ძირითადად, იმ ტექნიკურ პრობლემებს ასახელებენ, რაზეც მშობლები საუბრობდნენ. ერთ-ერთი პედაგოგი, ეკა საუბრობს, კონკრეტულ მოზარდზე, რომელიც სასკოლო ოლიმპიადებში მაღალი შეფასებებით გამოირჩეოდა, ხოლო პანდემიის შემდეგ მისი შედეგები მნიშვნელოვნად შემცირდა.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში აღმოჩნდა, რომ დისტანციური სწავლების პერიოდში მოსწავლეებს ჰქონდათ სხვადასხვა ხელისშემშლელი გარემოებები, რომლებმაც სასწავლო პროცესის ყველა საგანში ჩამორჩენა გამოიწვია. მასწავლებლებიც და მშობლებიც აღნიშნავდნენ, რომ სწავლის მიმართ დემოტივაციამ, გავლენა მოახდინა მათ ჩართულობაზე და აკადემიურ შედეგებზე. განსაკუთრებით ჩამორჩენა განიცადა დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახების შვილებმა, რომლებსაც არ ჰქონდათ სასწავლო პირობები. აღმოჩნდა, რომ თუ დაბალი შემოსავლების ოჯახები მატერიალურ საჭიროებას განიხილავდნენ პრობლემად, მაღალი შემოსავლების ოჯახები ჯანმრთელობის და დისციპლინის შემცირებას. თუ დაბალი შემოსავლების მშობლები სკოლაში, საგნობრივი ქულების შემცირებაზე ასახელბდნენ, შედარებით მაღალი შემოსავლების ოჯახები დამატებით აქტივობებში მონაწილეობის ნაკლებობაზე საუბრობდნენ.

დავადგონოთ თუ როგორია განსხვავებული სოციო-ეკონომიური მდგომარეობის მქონე ოჯახებში, მშობლის/მშობლების სკოლასთან და მასწავლებლებთან

თანამშრომლობა, ასევე მათი ჩართულობა მოზარდის სწავლების პროცესში (ორივე კატეგორიის ოჯახებში);

აღსანიშნავია, რომ სკოლასთან ძირითადად მშობლები თანამშრომლობენ გეგმიური შეხვედრებით და ონალინ „ჩატის“ საშუალებით. მშობლები, რომლებიც იხდიან კერძო სკოლაში საფასურს, მოითხოვენ, მათთვის მორგებულ ურთიერთობის ფორმებს და უფრო მეტს სკოლისგან, რადგან მათ ნაკლები დრო და ენერგია აქვთ, რომ სკოლისგან მიიღონ სრულყოფილი მომსახურეობა, კერძო სკოლის მშობლები სწუხან იმაზეც, რომ სკოლას არ აქვს სათანადო მიმღებლობა, სიახლეებს გაურბის და ცდილობს ჩაკეტილი სისტემა შექმნას, რაც მოზარდის განვითარებას და თავდაჯერებულობას ხელს უშლის. მიუხედავად აღნიშნული მშობლების კატეგორიის, რომლებიც სკოლასთან ნაკლებად თანამშრომლობს და დროის დეფიციტს ასახელებს, შვილებთან კომუნიკაციის და თანამშრომლობის კუთხით მათ მაღალ ჩართულობაზე საუბრობს.

რაც შეეხება პედაგოგების შეხედულებას, საჯარო სკოლის პედაგოგები აღნიშნავენ რომ მშობელთა ჩართულობა დადებით გავლენას ახდენს მოზარდის აკადემიურ მიღწევაზე, მაგრამ საჯარო სკოლის პედაგოგები ასახლებდნენ მრავალფეროვანი კომუნიკაციის საშუალებებს, მაგალითად: „მშობელის დღე“, როდესაც მშობელი ატარებს გაკვეთილს. მსგავსი აქტივობები დადებითად მოქმედებს მშობლის და სკოლის თანამშრომლობაზე.

თუმცა, კერძო სკოლის პედაგოგები, საჯარო სკოლის პედაგოგებთან შედარებით მშობლის ჩართულობის ნაკლებობაზე საუბრობს. შეიძლება, აქ კერძო სკოლების ჩაკეტილობის საკითხი დგას, ან მშობლების მოუცლელობის.

თუმცა სოციალური სტატუსის მხრივ განსხვავება აშკარად არის, მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახები მეტად დისტანცირებულები არიან სკოლასთან, თუმცა ჩვენდა გასაკვირად, აღნიშნული პასიური ჩართულობა, სულაც არ აისახება ნეგატიურად მოზარდის შედეგებზე, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ თუ მოზარდს აქვს ფინანსური ხელშეწყობა და დროული მხარდაჭერა, მისი მიღწევები გაცილებით მაღალია, ვიდრე იმ მოზარდების რომელთა ოჯახების შემოსავლები დაბალია.

დავადგინოთ, თუ რა გავლენა აქვს მშობლის სკოლასთან და მასწავლებლებთან აქტიურ თანამშრომლობას, მის ჩართულობას მოზარდის სწავლების პროცესში - ბავშვის აკადემიურ მოსწრებასთან (ორივე კატეგორიის ოჯახებში);

აღმოჩნდა, რომ ძირითადად მაღალი აკადემიური შედეგებით, სოციალურად მაღალი შემოსავლების ოჯახის შვილები გამოირჩევიან, იმ მშობლების შვილები, რომლებსაც არ აქვთ დრო და ენერგია აქტიურად ითანამშრომლონ სკოლასთან და პედაგოგებთან, რის შედეგადაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მშობლის მხრიდან სკოლასთან ნაკლებ თანამშრომლობას მშობლები აკომპენსირებენ მოზარდის სხვა-დასხვა განმავითარებელი აქტივობებით.

მშობლები თანამშრომლობის კუთხით მოითხოვენ ინდივიდუალურ გასაუბრებას, მაგალთად დაბალი შედეგების მქონე მშობელ ნატას ხელშემშლელ გარემოდ ეჩვენება "მშობელთა კრებები", სადაც დამცირებულად გრძნობს თავს, რადგან საჯაროდ მასწავლებელი საუბრობს ბავშვის წარუმატებელ საგნობრივ ქულებზე, დისციპლინის ნაკლებობაზე, რამაც გაუჩინა ბარიერი სკოლასთან და პედაგოგებთან.

სკოლასთან თანამშრომლობის კუთხით, სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, მაღალი შემოსავლების მქონე მშობლებს ნაკლები კომუნიკაცია აქვთ სკოლასთან, მაგრამ შვილები მაინც გამოირჩევიან მაღალი მიღწევებით, შესაძლოა ითქვას, რომ აკადემიურ მიღწევებზე პირდაპირ გავლენას არ ახდენს მშობლის სკოლასთან თანამშრომლობა, თუ ამას აკომპენსირებს სხვა დამატებითი საშუალებებით.

რაოდენობრივი კვლევის ანგარიში - მიგნებები

კვლევის წინაპირობები

კვლევის მეორე ეტაპს წარმოდგენს, უკვე რაოდენობრივი კვლევა, რომელშიც გარდა უშუალოდ რაოდენობრივი კვლევის ამოსაღები ამოცანებისა - გადაიზომა ის მიგნებები, რომელიც თვისებრივი კვლევის შედეგად გავაკეთეთ.

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა როგორია მაღალი/საშუალო და დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებული ოჯახების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე.

გაგვეგო, თუ როგორია განსხვავებული სოციო-ეკონომიური მდგომარეობის მქონე ოჯახებში, მშობლის/მშობლების სკოლასთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობა, ასევე მათი ჩართულობა მოზარდის სწავლების პროცესში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად შემუშავებულ იქნა თვითადმინისტიტრებადი ონლაინ ანკეტირება, რომელიც წარიმართა მკაცრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით.

მიუხედავად კითხვარის სტრუქტურირებულობისა,

გარდა დახურული კითხვებისა, რესპონდენტებს ჰქონდათ საშუალება ღია კითხვის მეშვეობით გამოეხატათ თავიანთი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის, მოსწავლის მიღწევების, სკოლასთან/პედაგოგთან თანამშრომლობის რიგ თავისებუ-რებებზე მათი დამოკიდებულება. თუმცა, ღია კითხვების კოდირებამ ხელშესახები განსხვავებული შედეგები არ მოგვცა.

კველვის სამიზნე სეგმენტს წამოადგენდა 12-16 წლის მოზარდების მშობლები. კვლევაში მონაწილოება მიიღო 750 რესპონდენტმა (N=750). მოცემულ გრაფიკულ ანგარისში, მონაცემები ასასხულია პროცენტულ მაჩვენებლებში. ასევე, მთელ რიგ შეკითხვებთან მიმართებით რესპონდენტბს საშუალება ქონდათ მოენიშნათ ერთზე მეტი სავარაუდო პასუხი, რის გამოც ასეთ გრფიკებში პასუხთა პროცენტული ჯამი აღემატება 100%-ს.

იქედან გამომდინრე, რომ ჩვენი კვლევის სპეციფიკა და მეთოდოლოგია ითვალისწინებს შედარებით ანალიზსს, მაღალი/საშულო შემოსავლების მქონე და დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მშობლებს შორის, კვლევის შედეგები მოცემულია ორ განსხვავებულ ჭრილში და გრაფიკულ ანგარიშთან ერთად წარმოდგენილია შედარებითი ნარატივი.

ჭრილი 1(დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მშობლები) -N=450, შემდგომში სეგმენტი 1.

ჭრილი 2 (მაღალი/საშულო შემოსავლების მქონე ოჯახების მშობლები) -N=300, შემდგომში სეგმენტი 2.

ასევე, აღვნიშნავთ, რომ გრაფიკულ ანგარიშში მონაცემები ასახულია პროცენტულად.

აქვე, დავამატებთ, რომ კვლევის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული შეზღუდვის თანახმად, ონლაინ

ანკეტირების თავისებურებებიდან გამომდიანრე, შერჩევითი ერთობლიობის ფარგლებში, შეუძლებელ იქნა სამიზნე აუდიტორიის გენერალური ერთობლიობის მიკრო მოდელის უზრუნველყოფა - რაც ბუნებრივია მონაცემთა განზოგადებას და კვლევის ცდომილების დათვლას აფერხებს.

მივიღეთ, საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომელებზე პასუხის მიღებას ემსახურებოდა კვლევის წინამდებარე ეტაპი, კერძოდ:

ამოცანა 1: დავადგინოთ თუ როგორია, განსხვავებული სოციო-ეკონომიური მდგომარეობის მქონე ოჯახებში (მაღალი/საშუალო და დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებული ოჯახები) მცხოვრები მოზარდების აკადემიური მოსწრების დონე;



დიაგრამა 1. დაბალი შემოსავლების ოჯახების ყოველთვიური შემოსავალი

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



დიაგრამა 2. მაღალი შემოსავლების ოჯახების ყოველთვიური შემოსავალი

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალიწინებით, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო სწორად ყოფილიყო შერჩეული რესპონდენტების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა. ამისთვის, კი დემოგრაფიულ ბლოკში გამოვიტანეთ მათი შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მისაღებად საჭირო ცხრილი, შესაბამისად, კვლევის რესპონდენტთა სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა დიაგრამა 1-ში.

წინამდებარე მიზნის მისაღწევად, პირველ რიგში მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო რა წარმოდგენები აქვთ რესპონდენტებს მათი შვილების აკადემიურ მიღწევებზე, სწავლის შედეგებზე, რა ფაქტორები ახდენს გავლენას მათი შვილების სწავლის ხარისხზე. აქედან გამომდინარე, პირველი შეკითხვა რომელიც ამ ბლოკში დავუსვით იყო:

როგორ სწავლობდა მათი შვილები(მათი თვალთახედვით)

მასზე პასუხები კი შემდეგნაირად გადანაწილდა:



დიაგრამა 3. შვილების სწავლების დონე (დაბალი შემოსავლების ოჯახები)

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



დიაგრამა 4. შვილების სწავლების დონე (მაღალი შემოსავლების ოჯახები)

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

როგორც გრაფიკებზე ჩანს, მაღალი შემოსავლების მინიმალური პროცენტიც არ საუბრობს მოზარდის დაბალ შედგებზე, რაც ნაწილობრივ შეიძლება განპირობებული იყოს სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით.

რაც შეეხება ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მოზარდის აკადემიურ შედეგებზე აღმოჩნდა, რომ დაბალი შემოსავლების ოჯახებში, მშობლები სკოლასთან/პედაგოგთან თანამშრომლობას, მშობლის ჩართულობას და კომფორტულ სამეცადინო გარემოს ასახელებდნენ, ხოლო მაღალი შემოსავლების ოჯახები შვილებთან თანამშრომლობას და რეალური საჭიროებების გაგებას.



დიაგრამა 5. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს შვილების აკადემიურ მოსწრებაზე

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

დაბალი შემოსავლების უმრავლესობა (37%-ი) მიიჩნევს, რომ ხელშემშლელი გარემო არის სასკოლო რესურსების ნაკლებობა და ნაკლები მატერიალური რესურსები. ხოლო მაღალი შემოსავლების ოჯახები ფიქრობენ კომპიუტერზე, გაჯეტებზე დამოკიდებულება არის მთავარი მოუგვარებელი პრობლება მათი შვილის სწავლის პროცესში.

დაბალი შემოსავლების მშობლები ამბობენ, რომ სკოლის რესურსების ნაკლებობა არის ხელისშემშლელი, მდიდრები ამას არ ამბობენ, შესაბამისად, სკოლის რესურსების ნაკლებობას მდიდარი მშობლები ავსებენ თავიანთი ფინანსური შესაძლებლობებით და ამიტომ არ უშლით აღნიშნული ხელს. დაბალი შემოსავლების მშობლები კი ვერ ავსებენ ამ დანაკლისს და შესაბამისად მეტად მტკივნეულადაც განიცდიან. ან/და მდიდრებს შვილები კერძო სკოლებში დაჰყავთ, სადაც სასკოლო რესურსები უფრო მდიდარია. მოკლედ, ორივე შემთხვევაში გავდივართ იმაზე, რომ ფინანსური ასპექტი არის სერიოზული ხელისშემშლელი და შემწყობი ფაქტორი აკადემიური მოსწრების კუთხით და ეს შეიძლება პირდაპირ არა, მაგრამ ირიბი გზით ახდენდეს გავლენას.

ამოცანა 2: დავადგინოთ ის სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული პრობლემების/ხელმისშემშლელი გარემოებები, რომელიც ექმნებათ მოზარდებს სწავლების პროცესში (ორივე კატეგორიის ოჯახებში);

რაოდენობრივა კვლევამ დაგვიდასტურა, რომ დაბალი და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახის მშობლების დანახარჯებს შორის პირველ ადგილს ტანსაცმელის და ფეხსაცმელის ხარჯი წარმოადგენს. აქაც შეიძლება ითქვას, რომ დაბალი შემოსავლების ოჯახებს კიდევ უფრო მეტი

ხელიშემშლელი გარემო აქვთ.



დიაგრამა 6. სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები, დაბალი შემოსავლის ოჯახებში.

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



დიაგრამა 7. სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები, მაღალი შემოსავლის ოჯახებში

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

აღსანიშნავია, რომ მაღალი შემოსავლების ოჯახები წინა კითხვაზე ხელისშემშლელ გარემოებებზე საუბრისას, კომპიუტერზე დამოკიდებულებას ასახელებდნენ, ახლა კი მოუგვარებლობელ ხარჯზე საუბრობენ. სავარაუდოდ მაღალი შემოსავლების ოჯახების შვილები იმდენად არიან კომპიუტერზე დამოკიდებულები, რომ საჭიროებენ მუდმივად ახლის შეძენას და აღნიშნული ნეგატიურ გავლენას ახდენს მოზარდის სწავლის ხარისხზე.

დაბალი შემოსავლების მშობლების 23%-ი ფიქრობს, რომ მათ ფინანსური მდგომარეობა მოზარდს სწავლაში ხელს უშლის და უფრო მეტიც, 15%-ი ფიქრობს სერიოზულ პრობლემას უქმნის, შესაბამისად სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვან ხელისშემშლელ გარემოებებს წარმოშობს.

ამოცანა 3: მოვახდინოთ დისტანციური სწავლების პირობებში, სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული იმ ხელისშეშლელი გარემოებების იდენტიფიცირება, რამაც უარყოფითად იმოქმედა მოზარდების აკადემიური მოსწრების ხარისხზე (ორივე კატეგორიის ოჯახებში);



დიაგრამა 8. ხარჯები, რომელთა გამკლავება უჭირთ დაბალი შემოსავლების ოჯახებს.

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

განვითარებულმა, პანდემიურმა მოვლენებმა წარუშლელი კვალი დატოვა არაერთ ინდუსტრიაზე და მათ შორის ყველაზე შესამჩნევი - განათლების სექტორზე, აქედან გამომდინარე, ვერც ჩვენს კვლევაში ავუვლიდით გვერდს პოსტ-პანდემიურ მდგომარეობას, შემდეგი ბლოკი სწორედ ამ მიზანს ემსახურება - კერძოდ: მოვახდინოთ დისტანციური სწავლების პირობებში, სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული იმ ხელისშემშლელი გარემოებების იდენტიფი-ცირება, რამაც უარყოფითად იმოქმედა მოზარდების აკადემიური მოსწრების ხარისხზე (ორივე კატეგორიის ოჯახებში).

ამის დასადგენად დავუსვით შემდეგი კითხვა - ჩამოთვლილთაგან რომელი იყო/არის მათთვის ყველაზე მთავარი პრობლემა - ძირითადად, გამოწვევის წინაშე აღმოჩდა დაბალი შემოსავლების ოჯახები, აღმოჩნდა, რომ მათთვის ყველაზე მთავარი პრობლემა ტექნიკური საშუალებების არ არსებობა იყო, არ ჰქონდთ საჭირო რესურსები, სივრცე, სადაც მოსწავლე ჩაერთვება ონლაინ სასწავლო პროცესში. თუმცა აღსანიშნავია, რომ სწავლის ხარისხის შემცირებაზე, კომუნიკაციის და სოციალიზაციის ნაკლებობაზე ორივე სეგმენტი საუბრობს.

რაც შეეხება დისტანციური სწავლების დადებით მხარეს, ორივე კატეგორია ძირითადად *ვირუსისაგან თავის დაცვას* აღნიშნავს.

როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნული პერიოდი, კიდევ უფრო კრიზისული აღმოჩნდა დაბალი შემოსავლების ოჯახებისთვის, რადგან გაიზარდა უმუშევრობის დონე, პარალელურად შემცირდა მათი მიერ სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები, ამავდროულად აღნიშნულ

კატეგორიაში, კიდევ უფრო შემცირდა მოზარდების მიღწევები, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება უარყოფითად აისახება მოზარდის შედეგებზე. რაც შეეხება მაღალი შემოსავლების ოჯახების შვილებს, რომლებიც სწავლობდნენ კერძო სკოლაში, ნაკლები ფინანსური წინააღმდეგობა ხვდათ წილად.



დიაგრამა 9. დისტანციური სწავლების დროს გამოწვეული პრობლემები, დაბალი შემოსავლების ოჯახებში.

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ამოცანა 4: დავადგინოთ თუ როგორია განსხვავებული სოციო-ეკონომიური მდგომარეობის მქონე ოჯახებში, მშობლის/მშობლების სკოლასთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობა, ასევე მათი ჩართულობა მოზარდის სწავლების პროცესში (ორივე კატეგორიის ოჯახებში);

ძირითადად, კომუნიკაციის საშუალება სკოლასთან არის ონლაინ სპეციალური გვერდების საშუალებით. კვლევის შედეგები გვაძლევს დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, სკოლასთან თანამშრომლობის კუთხით, სოციალური

სტატუსიდან გამომდინარე საშუალო/მაღალი შემოსავლების მქონე მშობლებს ნაკლები კომუნიკაცია და ჩართულობა აქვთ პედაგოგებთან, მაგრამ შვილები მაინც მაღალი მიღწევებით გამოირჩევიან, *ამ კატეგორიის მშობლები სხვა გზებით არიან ჩართულები შვილის სწავლის პროცესში, კერძოდ ხშირად ესაუბრებიან მოზარდებს, ჰყავთ რეპეტიტორები, დაჰყავთ სხვადსხვა განმავითარებელ/შემოქმედებით სასწავლებლებში,* რაც ჯამში დადებითად აისახება სწავლის შედეგებზე.

სოციალურად დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახები უფრო ხშირად დადიან სკოლაში და უფრო მეტად ეხმიანებიან პედაგოგებს, რადგან ონლაინ გვერდების გარდა, მათთვის კომფორტულია სკოლაში ადგილზე მისვლა .



დიაგრამა 10. მშობლის მხრიდან პედაგოგთან/სკოლასთან კომუნიკაციის, ურთიერთობის ფორმები. (დაბალი შემოსავლების ოჯახები)

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

შეიძლება, აქ ვივარაუდოთ ორი გარემოებაზე, რატომ ვერ, ან არ ახერხებენ სკოლაში მისვლას მაღალი შემოსავლების მქონე მშობლები:

რადგან შედარებით მაღალია მათი შემოსავალი, ისინი

იმდენად დაკავებულები არიან, რომ დრო არ აქვთ.

მეორე, მათ აქვთ საშუალება სკოლაში არ მისვლა დააკომპენსირონ სხვა საშუალებებით, როგორიც არის რეპეტიტორები და სხვა დამატებითი აქტივობები.



დიაგრამა 11. მშობლების კონტაქტი პედაგოგებთან, მოზარდის აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით. (დაბალი შემოსავლის ოჯახები)

წყარო შედგენილია ავტორის მიერ

ზემოთ არსებული პასუხები, აღნიშნულმა კითხვამ გადააზუსტა და ლოგიკური ბმაც მმოგვცა, მშობლები, რომლებსაც ეკომფორტულებათ სკოლაში სიარული,

პედაგოგებთან შეხვედრა, სისტემატიურად პროფილაქტიკის მიზნითაც დადიან, აღნიშნულს წარმოადგენს დაბალი შემოსავლების ოჯახის მშობლები. 20%-ი საშუალოდ კვირაში ერთხელ მაინც ახერხებს სკოლაში ვიზიტს.

ორივე, სეგმენტის მშობლებმა იციან, რომ მათი ჩართულობა სკოლაში დადებით გავლენას ახდენს მოზარდის მიღწევებზე. მაღალი ფინანსური შემოსავლების ოჯახები დროის ნაკლებობის გამო ვერ ახერხებენ იმ სიხშირით ჩართულობას, რასაც მასწავლებლები მოითხოვენ.

მოზარდის აკადემიური შედეგებით დაინტერესებას, დაბალი შემოსავლების ოჯახები უფრო ავლენენ, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით ისინი ხშირად ეკონტაქტებიან პედაგოგებს, შესაძლოა აქაც მათი ხშირი კონტაქტი გამოწვეულია მათი სოციალური პირობებით, რომ ფინანსური კუთხით ისე ვერ უზრუნველყოფენ მოზარდის მხარდაჭერას, როგორც თუნდაც მაღალი შემოსავლების ოჯახები.

ამოცანა 5: დავადგინოთ, თუ რა გავლენა აქვს მშობლის სკოლასთან და მასწავლებლებთან აქტიურ თანამშრომლობას, მის ჩართულობას მოზარდის სწავლების პროცესში - ბავშვის აკადემიურ მოსწრებასთან (ორივე კატეგორიის ოჯახებში);



დიაგრამა 12. მშობლების კონტაქტი პედაგოგებთან, მოზარდის აკადემიურ მოსრებასთან დაკავშირებით. (მაღალი შემოსავლის ოჯახები)

წყარო შედგენილია ავტორის მიერ

აღნიშნული პასუხებიდან ჩანს, რომ მშობლის ჩართულობა დადებით გავლენას ახდენს მოზარდის წარმატებაზე, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალური პირობები, რასაც ვხედავთ რესპოდენტების პასუხებში.



დიაგრამა 13. ოჯახის სიციო-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა მშობლისა და შვილის ურთიერთობაზე (დაბალი შემოსავლების პასუხები)

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ასევე, გამოიკვეთა, შესაბამისი სოციალური პირობები აყალიბებს მშობლის სკოლასთან ურთიერთობის ფორმებს. დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახები უფრო მეტს მოითხოვენ სკოლისგან, კიდევ უფრო მეტად სტუმრობენ და თანამშრომლობენ სკოლას. ხოლო მაღალი შემოსავლების მშობლები სკოლაში ვიზიტს, ამჯობინებენ სხვა საშუალებებით ჩართულობას, თუნდაც შვილებთან მეტ კომუნიკაციას, რეპეტიტორების და სხვა აქტივობების გამოყენაბს. შესაბამისად, სკოლასთან თანამშრომლობა ვერ იძლევა იმ ამონაგებს, რასაც უშუალოდ მშობლის შვილთან სწორი კომუნიკაცია. აქ ისიც აღმოჩნდა, რომ შვილთან თანამშრომლობის კუთხით მაღალი შემოასვლების ოჯახები, მიმართავენ დემოკრატიულ მიდგომებს, მათი კომუნიკაცია ურთიერთთანამშრომლობაზეა დამოკიდებული, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის მოზარდის აკადემიურ მიღწევებს. ასევე, ამ კატეგორიაში გვხდება ლოიალური მიდგომებით

გამორჩეული მშობელი, როგორც შვილთან ურთიერთობაში, ასე სკოლაში, რა დროსაც მოზარდი ზედმეტად განებივრებულია. ხოლო, დაბალი შემოსავლების ოჯახებში შვილების მიმართ ვხდებით ავტორიტარულ მკაცრ, ხისტ მიდგომებს, ან პირიქით საერთოდ დისტანცირებულია მშობ-ლები შვილებთან, რასაც ვხსნით მშობლების ცხოვრებისეული სირთულეებით, დროის ნაკლებობით და ა. შ. ამ უკანასკლელ შემთხვევაში მოზარდი გამოხატავს თანატოლების მიმართ აგრესიას, მშობლებთან კონფლიქტს, უთანხმოებას, რაც უარყოფითად აისახება აკადემიურ მიღწევებზე.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ფინანსური, სოციალური თუ ეკონომიკური პირობებისა, მნიშვნელოვანია ვიზრუნოთ მოზარდის მოტივაციაზე, სადაც წარმოდგენილია, ორივე სეგმენტში, დომიმანტი ოთხი ძირითადი გარემო, რომელიც მოზარდს უქმნის სწავლისადმი მოტივაციას: ოჯახის მხარდაჭერა, მამოტივირებელი სიტყვები, მაღალი აკადემიური შეფასება და სამომავლო კარიერის მოწყობა.



დიაგრამა 14. სწავლის მამოტივირებელი გარემოები დაბალი შემოსახვლების ოჯახებში

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



დიაგრამა 15. სწავლის მამოტივირებელი გარემოები მაღალი შემოსახვლების ოჯახებში

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

მიღებული მიგნებები გვაძლევს მშობლის მხრიდან დემოკრატიული თეორიის დადასტურების საშუალებას და სწავლაში ჰუმანისტური თეორიის გამართლების საშუალებას.

აღნიშნული რაოდენობრივი კვლევის ანგარიში გვაძლევს საშუალებას, თამამად ვთქვათ, რომ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა გარკვეული ნიშნით გავლენას ახდენს მოზარდის მიღწევებზე. ოჯახებს, რომლებსაც მაღალი შემოსავლები აქვთ, ეძლევათ საშუალება მოზარდს აუყვანოს დამატებითი მასწავლებელი, ხელი შეუწყოს მოზარდის ჩართულობას სხვა დამატებით აქტივობებში და ა.შ.

მშობლებს, რომლებსაც მაღალი შემოსავალი აქვთ, მათი შვილები შეძლებისდაგვარად გამოირჩევიან აკადემიური

მიღწევებით, თუმცა ამ კატეგორიის მშობლები სკოლის ქულებზე ორიენტირებული არ არიან და მათვის მოზარდის შემოქმედებითობითი უნარების განვითარება მეტად მნიშვნელოვანია. აღნიშნული კატეგორიის მშობლები აღნიშნავენ, რომ ყველა საგნის ერთიანაირად მომზადება, იმის მოტივით, რომ მაღალი შეფასებები ჰქონდეთ, არ არის მთავარი, თუმცა მიღწვების შესაძლებლობები უფრო მეტი აქვთ.

დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ შემოსავლების ოჯახები განსაკუთრებულ ყურაღებას აქცევენ *ფორმალურ აკადემიურ* შეფასებას, ამის მიუხედავად მათი შვილების მიღწევები მკვეთრად ჩამორჩება მაღალი შემოსავლების მქონე მოზარდების აკადემიურ შედეგენს. ეს კი შეიძლება ავხსნათ ოჯახში არსებული მატერიალური რესურსებით და სხვადასხვა საშუალებების უზრუნველყოფით.

დასკვნა

ჩვენი ნაშრომის მიზნის შესაბამისად, განვსაზღვრეთ მაღალი/საშუალო და დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ოჯახების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და მშობლის ჩართულობა/ჩაურთველობის გავლენა მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე. ასევე, ვიკვლიეთ, სოციო-ეკონომიკური ფაქტორები, როგორი აღზრდის მოდელს გვთავაზობს, შესაბამისი მახასათებლებით. კვლევა რამდენიმე ეტაპად ჩავატარეთ, შედეგების ანალიზმა, საშუალება მოგვცა შეგვემოწმებინა ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები, საკვლევი ამოცანები და დასკვნის სახით წარმოგვედგინა.

ზემოთ წარმოდგენილი ძირითადი მიგნებებით შეგვიძლია ***ჰიპოთეზებთან*** მიმართებით ვთქვათ, რომ პირველი ვარაუდი:

- *მოზარდების დაბალ აკადემიურ მოსწრებას განაპირობებს ოჯახის დაბალი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, რა დროსაც მშობელი კიდევ უფრო დისტანცირებულია შვილთან, რადგან ისინი მეტად დაკავებულები არიან;* - უპირობოდ დადასტურდა.

- *დისტანციური სწავლების პერიოდში, დაბალი შემოსავლების ოჯახებში, მოზარდების აკადემიური ვარდა კიდევ უფრო შეინიშნა,* რადგან მათ ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ სასწავლო რესურსებზე; - უპირობოდ დადასტურდა.

- მაღალი შემოსავლების *მშობლების ნაკლები კომუნიკაცია პედაგოგებთან, მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე უარყოფითად არ აისახება* - რაც გამოწვეულია იმით, რომ ასეთი ოჯახების ძლიერი ფინანსური მხარდაჭერა

სწავლების პროცესში მათ პასიურ ჩართულობას აკომპენსირებს; - ნაწილობრივ დადასტურდა.

- *მაღალი შემოსავლების მშობლებს მეტად ეფექტურად მიაჩნიათ აღზრდის დემოკრატიული სტილი, ხოლო შედარებით დაბალი შემოსავლების მშობლებს ავტორიტარული სტილი; - აღნიშნული ნაწილობრივ დადასტურდა, რადგან დაბალი შემოსავლების ოჯახებში ავტორიტარულ სტილთან ერთად გამოიკვეთა ინდიფერენტული და მაღალი შემოსავლების ოჯახებში დემოკრატულთან ერთად ლიბერალური.*

- *პედაგოგები მოზარდის აკადემიური მოსწრების ერთ-ერთ წინაპირობად მიიჩნევენ მშობლის აქტიურ დაინტერესებას შვილის სწავლით და მის თანმიმდევრულ და დროულ თანამშრომლობას სკოლასთან; - უპირობოდ დადასტურდა.*

როგორც აღვნიშნეთ, შედეგების ანალიზი რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა: 1. განსხვავებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახებში მცხოვრები შვილების აკადემიური მიღწევები, სოციალური მახასიათებლების გათვალისწინებით მშობლის აღზრდის და ურთიერთობის სტილის აღწერა. 2. განსხვავებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახებში, მშობლის სკოლასთან თანამშრომლობის და ჩართულობა/ჩაურთველობის აღწერა. 3. განსხვავებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახებში, დისტანციური სწავლების პერიოდში ხელშემშლელი/ხელიშემწყობი გარემოებების იდეტიფი-ცირება.

სოციო-ეკონომიკური ოჯახების კვლევის დროს, ქართული რეალობიდან გამოიკვეთა ორი ფინანსურად

განსხვავებული სეგმენტი - *დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ* და *საშუალო/მაღალი შემოსავლების* ოჯახები. საინტერესო აღმოჩნდა, ამ ორი კატეგორიის ერთმანეთთან შედარება. <u>დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ</u> შემოსავლების ოჯახების მშობლები განსაკუთრებულ ყურაღებას აქცევენ *ფორმალურ აკადემიურ შეფასებას,* ამის საპირწონედ მაქსიმალურად არიან ჩართული მოზარდის სასკოლო ცხოვრებაში, ხშირად სტუმრობენ სკოლას, კომუნიკაცია აქვთ პედაგოგებთან, თუმცა ამავე დროს საუბრობენ დროის არ ქონაზე, რომ მუდმივად დაკავებულები არიან, არ რჩებათ დრო და ენერგია ესაუბრონ შვილებს, ამიტომაც ყველა ამ დანაკლისს ავსებენ სკოლაში ვიზიტით, რადგან მოზარდების მიმართ უნდობლობას გამოხატავენ. ეს კი შესაძლოა ავხსნათ, მათი აღზრდის და ურთიერთობის სტილით. ამ სეგმენტში ძირითადად დომინირებს ავტორიტარული მიდგომა, რა დროსაც მშობელი სიმკაცრით, მაღალი კონტროლით, დასჯის სხვადასხვა მეთოდით გამოირჩევა, მოზარდი, კი დათრგუნული, შეშინებული და დემოტივირებულია სასწავლო პროცესის მიმართ. და მეორე, იგივე სეგმენტში დომინირებს მშობლები, რომლებიც საერთოდაც ვერ აქცევენ შვილებს ყურადღებას, დღის განმავლობაში შვილებთან იმდენად დისტანციურებულები არიან, რომ მათ შორის *გაუცხოება* ხდება, მშობელს აღარ ესმის შვილის საჭიროებები და შესაბამისად ეს პირდაპირ აისახება მოზარდის დაბალ სასწავლო მიღწევებზე. ეს ფაქტი შესაძლოა ავხსნათ, მშობლების ცხოვრებისეული პრობლემებით, საქმიანობით, დროის არ ქონით და მუდმივი ცხოვრებისეული სტრესით. აღმოჩნდა, რომ დაბალი შემოსავლების ოჯახებში, შვილებს მეტი წინააღმდეგობა ხვდათ წილად. ერთი, რომ მათ ნაკლებად

ეძლევად შანსი ჰყავდეთ რეპეტიტორი, მეორე, რომ მშობლებს არ აქვთ დრო და ენერგია დაეხმარონ სასწავლო პროცესში, თუმცა ამ ყველაფრის კომპენსირებას მშობლები ცდილობენ პედაგოგებთან თანამშრომლობით, მაგრამ კვლევამ აჩვენა რომ ეს ვერ აკომპენსირებს აღნიშნულ დანაკარგს.

მეტიც, დისტანციურმა სწავლებამ კიდევ უფრო დაამძიმა აღნიშნული საკითხი. განსაკუთრებით, ჩამორჩენა განიცადა დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახების შვილებმა, რაც გამოიწვია, მატერიალური საჭიროებების არ არსებობამ, მშობლების და ოჯახის წევრების მძიმე ფსიქო-სოციალურმა ფონმა. მოზარდებს ჰქონდათ სხვადასხვა ხელშემშლელი გარემოებები, რომლებმაც სასწავლო პროცესის ყველა საგანში ჩამორჩენა გამოიწვია. მასწავლებლებიც და მშობლებიც აღნიშნავენ, რომ სწავლის მიმართ დემოტივაციამ, გავლენა მოახდინა მათ ჩართულობაზე და აკადემიურ შედეგებზე.

დაბალი, ფინანსური შემოსავლების მშობლები ამბობენ, რომ სკოლის რესურსების ნაკლებობა, არის ხელისშემშლელი, შედარებით უკეთესი სოციალური სტატუსის მქონენი ამას არ ამბობენ, რადგან სკოლის რესურსების ნაკლებობას ასეთი მშობლები ავსებენ თავიანთი ფინანსური შესაძლებლობებით და ამიტომ არ უშლით აღნიშნული ხელს. დაბალი შემოსავლების მშობლები კი ვერ ავსებენ ამ დანაკლისს და შესაბამისად, მეტად მტკივნეულად განიცდიან. ან/და მაღალი შემოსავლების ოჯახებს შვილები კერძო სკოლებში დაჰყავთ, სადაც სასკოლო რესურსები უფრო მდიდარია. მოკლედ, ორივე შემთხვევაში გავდივართ იმაზე, რომ ფინანსური ასპექტი არის სერიოზული ხელისშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორი აკადემიური მოსწრების კუთხით და ეს შეიძლება პირდაპირ არა, მაგრამ ირიბი გზით ახდენდეს გავლენას.

კვლევის ანალიზი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ამ სეგმენტში დომინირებს აღზრდის ორი ავტორიტარული და ინდიფერენტული სტილი. ორივე შემთხვევაში, მშობლების და შვილების ურთიერთობას შორის არის ბარიერები, რომლებიც მოზარიდის განწყობაზე, შესაძლებლობაზე ნეგატიურად აისახება, თუმცა ამ კატეგორიაში მშობლები დაინტერესებულია სასკოლო შედეგებით, ფინანსური პრობლემების, თუ ურთიერთობის დაკომპენსირებას ცდილობს სკოლაში ვიზიტით, პედაგოგებთან ხშირი საუბრით, მაგრამ აღნიშნული მზაობა და მონდომება მაინც არ გადის მოზარდის მაღალ მიღწევებზე. შესაბამისად, სოციალური პირობები განსაზღვრავს ოჯახისთვის დამახასიათებელ აღზრდის ტიპებს და ეს აღზდის ტიპი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოზარდის წარმატება/წარუმატებლობაში.

რაც შეეხება, <u>საშუალო/მაღალი შემოსავლების სეგმენტს,</u> აღმოჩნდა, რომ მშობლებს ნაკლები კომუნიკაცია აქვთ სკოლასთან, პედაგოგებთან, ისინი თითქმის სემესტრულ ვიზიტსაც ვერ ახორციელებენ სკოლაში, თუმცა მოზარდებთან უფრო ახლოს არიან, ხშირად ნახულობენ სასაუბრო დროს და იგებენ მოზარდის საჭიროებებს. გამოიკვეთა, რომ სკოლაში ჩაურთველობას აღნიშნული მშობლები აკომპენსირებენ ფინანსური კუთხით, რეპეტიტორით, მოზარდთან თანამშრომლობით. აღსანიშნავია ისიც, რომ წინა სეგმენტთან შედარებით ამ კატეგორიის მშობლები *სკოლის ნიშნებს* იმდენად დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, როგორც მოზარდის კლასგარეშე მიღწევებს, დამატებით აქტივობებს, ოლიმპიადებს და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, თუმცა მოზარდები მაინც გამოირჩევიან გარკვეული

მიღწევებით.

ასევე, ამ სეგმენტშიც აღზრდის ორი მიდგომა დომინირებს, ერთი ურთიერთანამშრომლობაზე, დემოკრატიულ პრინციპებზეა დამყარებული, რა დროსაც მოზარდების მიღწევები საკმაოდ მაღალია. და მეორე, ზედმეტად ლოიალური, ლიბერალი მშობლები, აქ მოზარდის ქცევა ხშირად, „ზედმეტადაც“ წახალისებულია, მაგრამ მშობლები თითქმის არ იცნობენ შვილის რეალურ შესაძლებ-ლობებს და საჭიროებებს, აღნიშნულით მოზარდები რათქმაუნდა კმაყოფილები არიან, თუმცა მათი აკადემიური შედეგები მნიშვნელოვნად დაბალია. აღნიშნული სეგმენტისთვის, დისტანციურ სწავლებას, აკადემიური შედეგებზე მნიშვნელოვნად არ უმოქმედია, თუმცა პრობლემა მაინც მოზარდის ჯანმრთელობას, ნაკლებ ფიზიკურ აქტივობას და გაჯეტებზე/კომპიუტერებზე დამოკიდენულებას უკავშირდება.

აქვე, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ იმას, რომ მოზარდისადმი მხარდაჭერა და აღიარება დადებითად აისახება მოზარდის წარმატებაზე. კიდევ ერთხელ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მიუხედავად ფინანსური მდგომარეობისა მშობლის მიერ სწორი მიდგომის გამოყენება და შვილის სწავლის პროცესში სათანადო ჩართულობა, რათქმაუნდა ზომიერად - მაინც გადის მოზარდის მაღალ აკადემიურ მიღწევებზე, ეს დასკვნა კი ზემოთ აღნიშნულ თეორიას, დემოკრატიულ მიდგომაზე - კიდევ ერთხელ ადასტურებს.

სოციალური მახასიათებლების ნაწილში, ისიც გამოიკვეთა, რომ დედები მეტად აკონტროლებენ შვილებს და ავტორიტარულ მიდგომებს იყენებენ, ვიდრე მამები, მეტიც -

განქორწილებულ წყვილებში მამები კიდევ უფრო ლოია-ლურობით გამოირჩევიან, მოზარდები კომფორტულად თავს ლოიალურ მშობლებთან გრძნობენ, რაც კიდევ უფრო ართულებს დედებთან ურთიერთთანამშრომლობის საკითხს, ეს კი პირდაპირ აისახება მოზარდის ემოციურ მდგომარეობაზე და სასკოლო მიღწევებზე.

აღნიშნული კვლევის მიგნებებმა მოგვცა შემდეგი:

- კვლევის საფუძველზე კლასიფიცირებულია სოციალურად დაბალი შემოსავლების ოჯახებში დომინანტი აღზრდის მოდელი-ავტორიტარული და ინდიფერენტული. ხოლო მაღალი შემოსავლების ოჯახებში - დემოკრატიული და ლიბერალური.
- კვლევის საფუძველზე გამოვლენილია, მაღალი შემოსავლების ოჯახების ნაკლები ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, რომელიც ნეგატიურად არ აისახება მოზარდის მიღწევებზე, რადგან ამის კომპენსირებას სხვა საშუალებებით ახდენენ.
- კვლევის საშუალებით ნაჩვენებია, რომ გამართლებულია სწავლების ჰუმანისტური თეორია, რაც ხაზს უსვამს უპირობო დადებითი განწყობის მნიშვნელობას მოზარდის აღზრდის პროცესში.
- კვლევის საფუძველზე შეთავაზებულია მოდიფიცირებული აღზრდის მოდელი, რომელიც ამართლებს დემოკრატიულ აღზრდის სტილს .
- კვლევის საფუძველზე გამოვლენილია მშობლების მიდგომების იდენტიფიცირება, რომ მამები მეტად ლოიალურები არიან და დედები მეტად ავტორიტარები.

ჩვენი კვლევიდან, აღმოჩნდა, რომ სასკოლო, თუ საოჯახო ცხოვრებაში გამართლებულია სწავლების ჰუმანისტური

თეორია, რაც ხაზს უსვამს უპირობო დადებითი განწყობის მნიშვნელობას მოზარდის აღზრდის პროცესში. სადაც ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ ისინი ყოველთვის ეყვარებათ და მოეწონებათ სხვებს, მიუხედავად მათი შეცდომებისა, რომ მათ არ სჭირდებათ მათი მშობლების სიყვარულის დამსახურება.

აღმოჩნდა, რომ მშობლის ჩართულობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შვილის სწავლის პროცესში, თუმცა უშუალოდ სკოლასთან თანამშრომლობა მშობელს ეხმარება დროულად მოახდინოს პრობლემაზე რეაგირება, თუ სკოლასთან თანამშრომლობის დეფიციტის შევსებას მშობელი ახერხებს სხვა გარემოებებით აღნიშნული უარყოფითად არ მოქმედებს მოზარდის მიღწევებზე. საშუალო/მაღალი შემოსავლების მშობლების კატეგორია, რომლებიც სკოლათან იმ სიხშირით ვერ თანამშრომლობს, როგორც დაბალი შემოსავლების მშობლები. თუმცა აღნიშნულ დანაკლისს აკომპენსირებს კერძო სკოლებით, დამატებითი აქტივობებით და რეპეტიტორებით.

ქართულ რეალობაში ჩვენმა კვლევამ მოგვცა მშობლის და შვილის ურთიერთობის მოდელი, რომელიც მიახლოებულია დემოკრატიულ სტილთან, თუმცა მინიმალური განსხვავებებით, რადგან შეიძლება მშობელი არ იყოს ჩართული სკოლაში, არ ჰქონდეს პედაგოგთან მუდმივი კომუნიკაცია, მაგრამ მოზარდი იყოს წარმატებული, ეს კი შესაძლებელია განსაკუთრებული ფრაზებით, მუდმივი საუბრით და კონკრეტული მახასიათებლებით.

ჩვენი მხრივ უნდა ვთქვათ, რომ სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა შეცვალა სიტუაცია მშობლებისა და შვილების დამოკიდებულებაში; ვფიქრობთ, რომ მშობლები უფრო გაუცხოებულები აღმოჩნდნენ შვილებისაგან, რაც

გარდამავალ ასაკში, როდესაც მიმდინარეობს პიროვნების მსოფლმხედველოს ჩამოყალიბება, გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს; საქართველოში ეს საკითხები განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა, რომელიც მძიმე ეკონომიკური სიტუაციით არის გამოწვეული; ამიტომ, მშობელი ნაკლებ ყურადღებას უთმობს შვილის აღზრდის პრობლემებს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვის სწავლა-აღზრდის მიმდინარეობაზე; შედეგები სახეზე გავაქვს, რომელიც გამოავლინა საერთაშორისო კვლევებმა ქართველ მოზარდებში; მხედველობაში გვაქვს საშუალო მაჩვენებლებთან ქართველი მოზარდების ჩამორჩენა.

ჩვენც გვინდა გამოვთქვათ თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ მოზარდების კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების მხრივ, სიტუაცია უფრო და უფრო უარესდება; ამიტომ არის, რომ უმაღლეს სასწავლებლებშიც რთულად მისაღწევი გახდა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ფორმირება; ვგულისხმობთ ინტერაქტიურ ლექციებსაც, რომელიც თანამედროვე სწავლების აუცილებელი მოთხოვნაა, მაგრამ სკოლიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე ძნელად მისაღწევია. ინტერაქტიურ სწავლებას ცოდნის გარკვეული დონე და კრიტიკული უნარები ესაჭიროება, რომელიც ნამვილად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. კვლევამ ცხადყო, რომ სკოლასთან ერთად მშობლებსაც დიდი წვლილი მიუძღვის ასეთი ნეგატიური შედეგების მიღწევაში.

სოციალიზაციაა ჩვენთთვის საინტერესო თემაა, რადგანაც გარდამავალ პერიოდში ეს პრობლემა ძალიან აქტუალური გახდა. პოლიტიკური ტრანზიცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ერის სოციალიზაციის პროცესზე; ჩვენ

ვფიქრობთ, რომ სოციალიზაციის პროცესი გარკვეულ თვალსაზრისით კრიზისულ სიტუაციაშია; პირველ რიგში, ჩვენ ვგულისხმობთ, სოციალიზაციის აგენტებს შორის შეუსაბამობას, სადაც მშობლებიც მოიაზრება. კიდედვ ერთი ფაქტორი, რომელიც სწავლა-აღზრდის პროცესზე მოქმედებს, არის ქვეყანაში ღირებულებითი და ინსტიტუციური კრიზისი, რომელიც პოლიტიკური პოლარიზების სახით გამოვლინდება; ვფიქრობთ, ეს ირაციონალური ტენდენციები სერიოზულად მოქმედებს მშობლებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებუილებაზე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II** თავის ეპისტოლეებსა და ქადაგებებში დიდ ყურადღებას უთმობს მშობლებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემებს, რომელიც გაუცხოების ტენდენციების მომძლავრებაზე სერიოზულად მიუთითებს.

დასკვნა ის არის, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მაინც დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის მოსწრებაზე; ეს კარგად ჩანს, როდესაც ონლაინ სწავლების უარყოფით შედეგებთან; კვლევებიდან გამოიკვეთა, რომ ეკონომიკურად ნაკლებ უზრუნველყოფილი ოჯახები ვერ ახერხებდნენ ტექნიკური საშუალებების შეძენას ონლაინ სწავლებისათვის, რამაც საგრძნობლად იმოქმედა მოსწავლეთა მოსწრებაზე. თუმცა ამ პრობლემის მეტნაკლებად მოგვარების მცდელობა შესაძლებელია მშობლის და პედაგოგის სწორი მიდგომებით, მიდგომების მართებული გამოყენებით. სათანადო ჩართულობა გადის მოზარდის მიღწევებზე და შესაძლებლობების ზრდაზე - აღნიშნული კი ადასტურებს დემოკრატიული მიდგომის თეორიას.

აღნიშნულზე დაყრდნობით შევიმუშავეთ *რეკომენდაციები:*

გამოიკვეთა მოზარდებში დემოტივაციის ფრაზები და გარემოებები, არასდროს სხვას არ უნდა შევადაროთ და არ უნდა ვუთხრათ: - „შენი ძმა უკეთესია“, „რატომ არ ჰგავხარ შენ თანატოლ გიორგის“, „შენი სწავლით უკმაყოფილო ვარ“ და ა.შ.

მიუხედავად ფინანსური, სოციალური თუ ეკონომიკური პირობებისა, მნიშვნელოვანია ვიზრუნოთ მოზარდის მოტივაციაზე, სადაც გამოიკვეთა, ორივე სეგმენტში, დომიმანტი, ოთხი ძირითადი გარემო, რომელიც მოზარდს უქმნის სწავლისადმი მოტივაციას: *ოჯახის მხარდაჭერა, მამოტივირებელი სიტყვები, მაღალი აკადემიური შეფასება და სამომავლო კარიერის მოწყობა.*

- **შვილებთან ურთიერდობაში აპრიორია დემოკრატიული მიდგომის გამოყენება:**

- სასურველია შვილებს ვესაუბროთ, როგორც თანატოლს, პიროვნებას და არა, როგორც ბავშვს;
- სასურველია ორივე მშობლის თანაბარი ჩართლობა;
- ფინანსური პრობლემების დაკომპენსირება შესაძლებელია შვილებთან ჯანსაღი კომუნიკაციით;
- სასურველია, შვილის შესაძლებლობების აღიარება;
- სასურველია, გავიგოთ მოზარდის რეალური საჭიროებები, რათქამუნდა ხშირი საუბრების საფუძველზე;
- სასურველია, ოჯახის მორალური მხარდაჭერა და სწავლის შედეგების დაკავშირება სამომავლო კარიერასთან;
- მიუხედავად სოციალური პირობებისა ვიზრუნოთ მოზარდის მამოტივირებელ გარემოებებზე და ხშირად გამოვიყენოთ მამოტივირებელი სიტყვები; „გიღებ ისეთს, როგორიც ხარ“; „მხარს გიჭერ“; „ბედნიერი ვარ, რომ ჩემი

შვილი ხარ“.

- **სასურველია მძლავრი კამპანიის წარმოება, საზოგადოების, პედაგოგის და მშობლის ცნობიერების ამაღლების მიზნით. რომელიც მიმართულია მშობლის როლზე, მართებულ მიდგომებზე, მოზარდის ასაკობრივ თავისებურებებზე. აღნიშნული კამპანიის წარმოება შესაძლებელია მედეასაშუალებების, სახელმწიფო ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით;**
- **სასურველია სახელმწიფო ინსტიტუტების ჩართულობით სკოლებში სოციო-ეკონომიკური უთანასწორობის დაკომპენსირება, საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა;**
- **დისტანციური სწავლების დროს სასწავლო შედეგების გადახედვა და საჭირო აქტივობებით დახმარება:**

- სასურველია სხვადასხვა დამატებითი სასკოლო განმავითარებელი ოლიმპიდების პოპულარიზაცია;

- სასურელია განათლების სამინისტროს და სკოლის მხარდაჭერით დამატებითი უფასო სასკოლო წრეების არსებობა;

- შემოქმედებით აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა.

- „ბავშვთან ურთიერთობის დროს არ უნდა გამოვიყენოთ სიტყვები: ეს შენ არ გეხება, ეს არ არის საშენო, გაიზრდები და გაიგებ, არსებობს სიტყვები, არსებობს ფორმულირება, რომელიც ბავშვისთვის გასაგები იქნება, რომელ ასაკშიც არ უნდა იყოს.“

დავამატებთ, ცნობილი ფილოსოფოსო ჟან-ჟაკ რუსოს სიტყვებს -„უფროსები ბავშვებში დიდებს ეძებენ და

ავიწყდებათ ვინ იყვნენ ადრე“. ბავშვი თავისუფალი იბადება, თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციო-კულტურულ გარემოს და ოჯახს.

და ბოლოს, გავდივართ დასკვნაზე, რომ ნებისმიერ სოციალური პირობების დროს, მშობლის და პედაგოგის სწორი მიდგომა, მიდგომების მართებული გამოყენება, სათანადო ჩართულობა გადის მოზარდის მიღწევებზე და შესაძლებლობების ზრდაზე - აღნიშნული კი ადასტურებს დემოკრატიული მიდგომის თეორიას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადლერი ა. ბავშვის აღზრდა. თბ; 2014. გვ. 185-194
2. ასათიანი ა. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა. თბ; 2009. გვ. 246
3. ბალიაშვილი მ. სოციალური ფსიქოლოგია. თბ; 2013. გვ. 38-70
4. ბერიშვილი ჯ. პედაგოგიკა. თბ; 1995. გვ. 37
5. ბერკი ლ. ბავშვის განვითარება. გამომცემლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ; 2010. გვ. 26-27
6. ბოკუჩავა ნ. დიმიტრი უზნაძის ზოგადპედაგოგიური კონცეფცია. თბ; 2017. გვ. 57-58. გვ.102.
7. ბუხულეიშვილი ი. საოჯახო აღრზდის აქტუალური პრობლემები და ძირითადი სტრატეგიები.თბ; 2012. გვ. 27 გვ.73
8. გელაშვილი ს, შონია ზ, ქინქლაძე რ. სოციალური სტატისტიკა. თბ; 2013. გვ. 15
9. გერიგი რ, ზიმბარდო ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ;2009. გვ. 434
10. გოგიჩაიშვილი თ. განვითარების ფსიქოლოგია(სასკოლო ასაკი) თბ; 2005. გვ.117 გვ.59-69
11. დიული ჯ. დემოკრატია და განათლება. თბ; 2010. გვ. 13.
12. დისტანციური სწავლების მართვა. პრაქტიკუელი სახელმღვანელო სკოლის ადმინისტრატორებისთვის. თბ; 2021. გვ.31
13. ვულფოლკი ა. განათლების ფსიქოლოგია. თბ; 2009. გვ. 493 გვ. 662-663
14. იმედაძე ი. ფსიქოლოგიის ისტორია. თბ; 2008. გვ. 311
15. იმედაძე ი. ფსიქოლოგიის ისტორია ანტიკური ხანიდან

ჩვენს დრომდე. თბ; 2014. გვ. 344
16. ისაკაძე თ. გზამკლევი მშობლებისთვის. თბ; 2010. გვ. 45
17. კაჭკაჭიშვილი ი. სოციალური მოქმედებების თეორია. თბ; 2008. გვ. 164-165
18. კახიანი ჯ. ბავშვის სამყარო. თბ; 2010. გვ. 100-103
19. კვარაცხელია დ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. თბ; 2008. გვ.6
20. მალაზონია შ. პედაგოგიკა. თბ; 2001 .გვ. 9
21. მაღრაძე მ. განწყობის თეორია და განვითარების ფსიქოლოგიის ზოგადი საფუძვლები. ქუთაისი; 2008. გვ. 21-30
22. Маслоу А. Мотивация и личность. Петербург. "Питер": 2008. с. 50-51 с. 77-78
23. მელიქიშვილი მ. ლევ ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების სოციო-კულტურული თეორია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბ; 2012. გვ. 6-7. გვ. 16
24. მელიქიშვილი მ. ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბ; 2012, გვ. 33-37
25. მეტრეველი ლ. დისტანციური სწავლების სისტემების დანერგვის მეთოდიკური ასპექტები ფსიქოლოგიის სწავლების მაგალითზე. თელავი; 2008. გვ. 6-8
26. მეტრეველი რ. საქართველოს განათლების მატიანე. საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია. თბ; 2015. გვ. 68
27. მოგონებები სოკრატეზე. სოკრატეს აპოლოგია. თარგმნა აკაკი ურუშაძემ. თბილისის უნივერსიტეტი. თბ; 1973. გვ.10
28. მშობელთა ჩართულობა - რეკომენდაციები

დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი. თბ; 2015. გვ. 9
29. სართანია ვ. თოქმაზიშვილი მ. მაღლაკელიძე შ. განათლების ეკონომიკის პრინციპები. თბ; 2004. გვ. 30-38
30. ტაბატაძე შ, ნაცვლიშვილი ნ. ინტერკულტურული განათლება. თბ:2004. გვ. 8
31. უზნაძე დ. განწყობის ექსპერიმენრული საფუძვლები. საქართველოს მაცნე. თბ; 2009. გვ. 28
32. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. საქართველოს მაცნე. თბ; 2006. გვ. 236-238
33. ფრომი ე. სიყვარულის ხელოვნება. ინგლისურიდან თარგმნა - ეკატერინე შაქარაშვილმა. გვ. 54-64
34. ქადაგიძე მ. COVID19-ის გავლენა სასკოლო განათლების სისტემაზე. კვლევა, თბ; 2021. გვ. 11-15
35. ქეცბაია კ. განათლების სოციოლოგია. თბ; 2014. გვ. 176
36. ქეცბაია კ. სოციოლოგიის შესავალი. თბ; 2011. გვ. 152
37. ქურხული ლ. ბავშვთა აგრესია. თბ; 2006. გვ.75-81
38. ქურხული ლ, არჩვაძე ნ. ბავშბის აგრესიულობის გამოვლენის ფსიქო-სოციალური პირობები. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სამეცნიერო ჟურნალი #12. თბ; 2022. გვ.31-38
39. ქურხული ლ. განვითარების ფსიქოლოგია, გამომცემლობა: „მწიგნობარი“. თბ; 2020. გვ. 351-357
40. ყოლბაია მ. სკოლის ფსიქოლოგია თბილისი: გამომცემლობა „ხის ნამი, 2008. გვ. 178-179
41. ღლონტი ლ, ქიტიაშვილი ა, ლაბარტყავა ნ, გვარამაძე ც. სწავლებისა და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში. თბ; 2008. გვ.8
42. შინჯიკაშვილი თ. განათლების სოციოლოგია. თბ; 2019.

გვ.86
43. ჩარკვიანი დ. ექსპერიმენტალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბ; 2004. გვ. 11-15
44. ჭანტურია გ, ქადაგიძე მ, მელიქიძე გ. სასკოლო განათლების ისტორია 1990-2020. თბ; 2020. გვ. 126
45. ჭითანავა ნ. თაკალანძე ლ. სოციალური ეკონომიკა. თბ; 2008. გვ. 53
46. ჭკუასელი ქ, ჭკუასელი ი. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები.თბ; 2012. გვ. 186
47. ხუხუა გ. აღზრდის მიზანი 2000 წლის წინ და შემდეგ. თბ; 1998. გვ. 21
48. ხუხუა გ. პედადოგიკის კლასიკოსთა შეხედულებები ოჯახური აღზრდის შესახებ. თბ; 1998. გვ. 5-6
49. ჯანაშია ნ, იმედაძე ნ, გორგოძე ს. განვითარებისა და სწავლების თეორიები. თბ; 2008. გვ 64.
50. ჯაფარიძე მ.განათლების ფსიქოლოგია. თბ; 2005. გვ. 52 გვ. 81-84
51. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024 - http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels გადამოწმებულია ბოლოს 09.2022.
52. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები- https://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf გადამოწმებულია ბოლოს 07.2022
53. International journal of educational research, socio-demographic determinats of children home learning experiences during Covid 19 schol closur, 2022 - https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC8666292/

გადამოწმებულია ბოლოს 07.2022
54. Steinmayer R, Meinber A. Academic Achievement. 2014. - https://www.researchgate.net/profile/Ricarda-Steinmayr/publication/351870823_Academic_Achievement/links/6200dd13b44cbe422729fcbc/Academic-Achievement.pdf
გადამოწმებულია ბოლოს 06.2021
55. კონვენცია, ბავშვთა უფლებების შესახებ, 1989 წლის 20 ნოემბერი. - https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0
გადამოწმებულია ბოლოს 03.2022
56. Learning and Individual Differences, , Socio-economic disparities in academic achievement: A comparative analysis of mechanisms and pathways, Pages 10-18 August, 2015. - https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1041608015001478 გადამოწმებულია ბოლოს 03.2022
57. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა, 2009 წლის კვლევის ანგარიში, PISA - https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pisa_report_2009.
გადამოწმებულია ბოლოს 07.2020
58. მშობელთა ჩართულობა, თბილისი, 2015. გვ.9 - http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf
59. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2021წ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=94
გადამოწმებულია ბოლოს 09.2022.
60. საქართველო 2018, ბავშის აღზრდა, კვლევა - https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-11/child_discipline_ge.pdf
გადამოწმებულია ბოლოს 10.10.2022
61. საქართველოს კანონი, ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2 გადამოწმებულია ბოლოს 03.2022

62. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi გადამოწმებულია ბოლოს 07.2022
63. სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკული კვლევა. ააიპ მშობლები განათლებისთვის. თბ;2020. გვ 46- https://mshobeltaskola.ge გადამოწმებულია ბოლოს 10.10.2022
64. ქეცბაია კ. ლიბერალური განათლება და პოლიტიკა - https://socpoli.files.wordpress.com/2011/06/e18399e18390e183aee18390-e183a5e18394e183aae18391e18390e18398e18390.pdf
65. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები- https://bsu.edu.ge/upload/xar_shida-inst_meqanizmebi.pdf გადამოწმებულია ბოლოს 08.2021
66. Journal of Public Economics, Social status and motivated beliefs, July 2022, https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0047272722000640 გადამოწმებულია ბოლოს 07.2022
67. James P.Comer, N Haynes,(1997). Students thrive when their parents become part of the classroom- https://www.edutopia.org/home-school-team გადამოწმებულია ბოლოს 10.10.202

დანართი

დანართი #1 თვისებრივი კვლევის სადისკუსიო გეგმა

დემოგრაფიული ნაწილი:

თვისებრივი - მშობლის ჩართულობა

სეგმენტი: მშობლები

1. **ამოცანა. დავადგინოთ როგორი აღზრდის სტილს იყენებს მშობლები - ამ სტილის დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები, დედის და მამის მიდგომებს შორის არსებული განსხვავებების იდენტიფიცირება (ასეთის**

არსებობის შემთხვევაში);

1. თქვენი აზრით, შვილთან ურთიერთობის დროს რა უნდა გაითვალისწინოს მშობელმა? (უკეთესი თანამშრომლობისთვის)

2. გთხოვთ გვითხრათ მეთოდები, რომელსაც იყენებთ მოზადრსი სწახალისებისთვის?

3. როგორ აღნიშნავთ შვილის აკადემიურ მიღწევებს (შედეგებს)?

4. გთოვთ გვითხრათ, მეთოდი, რომელსაც იყენებთ დასჯის დროს?

5. თვენი აზრით, როგორ აფასებს თქვენი შვილი თქვენს ურთიერთობას მათთან?

6. როგორი ფორმებით, გამოხატავს დაუმორჩილებლობას და როგორ განმარტავდით აღნიშნული ქცევის მიზეზს?

7. თქვენი აზრით, თქვენ და თქვენს მეუღლეს შორის რა განსხვავებაა აღზრდის პროცესში? რომელი მშობლის მიდგომა მოსწანს მოზარდს და რატომ?

2.ამოცანა.დავადგინოთ,ავტორიტარული/დემოკრატიული/ინ დიფერენტულ მიდგომების გავლენა მოზარდის მიღწევებზე);

8. რა შემთხვევაში აძლევთ მოზარდს სრულ დამოუკიდებლობას სწავლასთან მიმართებაში?

9. თქვენი აზრით დემოკრატიულ მიდგომას რა დადებითი მხარეები აქვს? უარყოფითი ან რატომ იყენებთ ამ მიდგომას? (არ იყენებთ?) იყენებთ?) რა შემთხვევაში იყენებთ ან არ იყენებთ)?

10. თქვენი აზრით ავტორიტარულ მიდგომას რა დადებითი მხარეები აქვს? უარყოფითი ან რატომ იყენებთ ამ მიდგომას? (არ იყენებთ?) რა შემთხვევაში იყენებთ ან არ იყენებთ)?

11. თქვენი აზრით, ინდიფერენტულ მიდგომას რა დადებითი მხარეები აქვს? უარყოფითი ან რატომ იყენებთ ამ მიდგომას? (არ იყენებთ?) რა შემთხვევაში იყენებთ ან არ იყენებთ)?

12. როგორ ფიქრობთ როგორი ურთიერთობის სტილი ახდენს დადებით გავლენას თქვენს შვილზე და რითი ხვდებით?

13. რას ფიქრობთ, თქვენი შვილი თავისუფალია თქვენთან, (გიყვებათ თავისი საქმის, სწავლის, ოცნებების შესახებ) როგორ ახსნით?

3. ამოცანა. გავარკვიოთ მშობლების ჩართულობა/ჩაურთველობის პრობლემები; მშობლის დამოკიდებულება შვილის სასწავლო პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით - ჩართულობის მოტივატორები და ბარიერები, დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები;

14. რა მეთოდებით ეცნობით, გებულობთ თქვენი შვილის აკადემიურ მოსწრებას?

15. როგორ ხვდებით რაში სჭირდება დახმარება და როგორ ეხმარებით?

16. თქვენი დაკვირვებით როდის სწავლობს თქვენი შვილი უკეთ? (როცა თქვენ ჩართული ხართ და ეხმარებით, როცა ბრძანებლური ტონით ავალდებულებთ რომ ისწავლოს, თუ როდესაც საერთოდ არ ერთვებით) და თვენი აზრით რატომ?

17. ძირითადად რა შემთხვევაში ვერ ახერხებთ ჩართულობას მოზარდის

სასწავლო პროცესში? (არსებობის შემთხვევაში).

18. რა წინააღმდეგობას აწყდებით, როდესაც ყურადღებას იჩენთ შვილის სასწავლო საქმიანოს მიმართ ან არ იჩენთ?

ამოცანა 4. დავადგინოთ მშობლებისა და შვილების ურთიერთობის პრობლემები

19. ყველაზე მეტად რა არის თქვენი გაბრაზების მიზეზი შვილთან მიმართებაში?

20. რა შემთხვევაში გაქვთ ერთნაირი დამიკიდებულება საკითხებზე? ან განსხვავებული?

21. როგორი ფორმით ხდება თქვენი უთანხმოების მოგვარება? რომელი მხარე მიდის დათმობაზე და როგორ ფიქრობთ რატომ?

ამოცანა 5. დავადგინოთ მშობლების, პედაგოგების და სკოლის თანამშრომლობის ფორმები - მოტივატორები ბარიერები/პრობლემები

22. როგორი ფორმით ურთიერთობთ სკოლასთან? რა შემთვევებში ესაუბრებით მასწავლებლებს? და რა შემთხვევაში მიდიხართ სკოლაში?

23. როგორ აფასებს თქვენი შვილის მიღწევებს პედაგოგები? და თქვენ, როგორ აფასებთ მათ ნათქვამს?

24. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენს თქვენი თანამშრომლობა სკოლასთან მოზარდის მიღწევებთან მიმართებაში?

25. თქვენი აზრით, რა უნდა შეცვალოს სკოლამ/პედაგოგმა, რომ თქვენს შორის გაუმჯობესდეს ურთიერთობა? ანუ რა მეთოდი უნდა გამოიყენოს მშობლის მეტი ჩართულობის მისაღწევად?

სეგმენტი: მოზარდები

ამოცანა 6. დავადგინოთ მოზარდის დამოკიდებულება, მშობლის მის ცხოვრებასა და სასწავლო პროცესში ჩართულობასთან მიმართებით - ასევე, მასთან ურთიერთობის ავტორიტარულ, დემოკრატიულ, ინდიფერენტულ იდგომებთან დაკავშირებით:

1. ძირითადად რა მეთოდებით იგებს მშობელი თქვენს აკადემიურ მიღწევებს და აღნიშნავს თუ არა აკადემიურ მიღწევებს? და როგორ?

2. რა ფორმებით ცდილობენ თქვენი მშობლები თქვენს წახალისებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით და თქვენ რა გაძლევთ მოტივაციას?

3. როგორ ფიქრობთ, როდის სწავლობთ უკეთ, როცა მშობელი ჩართულია? როცა ბრძანებლური ტონით გავალდებულებთ? თუ როცა საერთოდ არ ერთვება? თვქენს შემთხვევაში რომელს მიმართავს მშობელი? (როგორ იგებს რაში გჭირდება დახმარება)

4. ძირითადად რა საკითხებში გაქვთ განსახვავებული აზრი დამოკიდებულება?

5. როგორი რეაცია აქვთ დაბალ აკადემიურ შედეგებზე ან არასაურველ ქცევაზე და თქვენ როგორ შეაფასებთ, სამართლიანად გექცევათ?

6. უთანხმოების შემთხვევაში, რომელი მიდიხართ დათმობაზე და რატომ?

7. დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში თავისუფალი ხართ, როგორ ხვდებიან მშობლები ამ საკითხს? რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ?

8. დედის და მამის აღზრდის, ურთიერთობის ფორმებს შორის თქვენს მიმართ რა განსხვავებაა, რომელთან ხართ მეტად თავისუფალი და რატომ?

9. თავისუფალ დროს რას აკეთებთ მშობლებთან ერთად და რაში გეხმარებათ?

10. როგორ ფიქრობთ შვლის ცხოვრებაში, თქვენს ასაკში რა საკითხებში უნდა ერთვებოდეს მშობლები და რა საკითხებში არა?

11. რას ისურვებდით ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, რა შეიცვალოს თქვენსა და მშობლებს შორის?

სეგმენტი: პედაგოგები

ამოცანა 7. დავადგინოთ პედაგოგების დამოკიდებულება, მშობლის, მოზარდის ცხოვრებასა და სასწვალო პროცესში ჩართულობასთან მიმართებით - ასევე, მოზარდთა ურთიერთობის ავტორიტარულ, დემოკრატიულ, ლიბერაალური მიდგომებთან დაკავშირებით

1. გთხოვთ მოგვიყვეთ, მეთოდებზე, რომელიც ხელს გიწყობთ მოზართან ურთიერთობაში? (უკეთეს თანამშრომლობაში)?

3.თქვენი აზრით რა ახდენ გავლენას მოზარდის მოტივაციაზე? (სწავლასთან მიმართებაში)

4. თქვენი გამოცდილებიდან, რომელ მოსწავლეებს აქვს ქცევაში და აკედემიურ მიღწევებში კარგი შედეგები (ავტორიტარულ, დემოკრატიულ თუ ინდიფერენტულად აღზრდილ შვილებს) რომელი ამართლებს?

5. თქვენი აზრით, რა შეცდომას უშვებენ მშობლები შვილთან მიმართებაში? უთმობენ მშობლები შვილებს დროს, და რატომ?

6. როგორ ფიქრობთ, მშობლებს რა უშლით ხელს ჩართულობაში და როგორ ახსნით?

7. ძირითადად რომელი მშობელი ერთვება სასკოლო ცხოვრებაში და მოზარდის აღზრდაში და როგორ ფიქრობთ რატომ? (დედა-მამა)

8. ძირითადად, რა შემთხვევაში არ ემთხვევა (საკითხში) თქვენი და მშობლის ხედვა ერთმანეთს?

9. სკოლა და თვქენ როგორ და რა გზებით ცდილობთ მშობლის ჩართულობის გაზრდას?

10. რას ფიქრბთ, მშობლების ჩართულობა/ჩაურთველობა რა კავშირშია მოზარდის მიღწევებთან და როგორ ახსნით?

11. თქვენი აზრით, რა უნდა შეცვალოს მშობლებმა, რომ შვილებთან ჰქონდეთ ჯანსაღი ურთიერთობა

დანართი #2

თვისებრივი კვლევის სადისკუსიო გეგმა

სოციო-ეკონომიკრი მდგომარეობა

სეგმენტი: მშობლები

- **დავადგინოთ თუ როგორია, განსხვავებული სოციო-ეკონომიური მდგომარეობის მქონე ოჯახებში (მაღალი/საშუალო და დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებული ოჯახები) მცხოვრები მოზარდების აკადემიური მოსწრების დონე;**

1. მოდით მოგვიყევით როგორ სწავლობს თქვენი შვილი - (ყველაფერი რაც თავად გსურთ, რომ მითხრათ);
2. ახლა, მოდით მითხარით, რა ახდენს გავლებას თქენი შვილის სწავლის ხარისხზე - კერძოდ, რა გარემოებები უშლის ხელს სწავლაში? როგორ უმკლავდებით ამ ხელისშემშლელ გარემოებებს?
3. რა გარემოებები უწყობს ხელს? რითი უზრუნველყოფთ მისთვის ხელისშემწყობი გარემოებების მხარდაჭრას?
4. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენს თქვენი ოჯახის სოციო-ეკონომიკური (ფინანსური) მდგომარეობა თქვენს შვილსა და თქვენს შორის ასებულ ურთიერთობაზე?
5. ახლა გთხოვთ დახედოთ ამ ბარათს, რომელზეც მოცემულია რამოდენიმე დებულება - გთხოვთ შეაფასოთ თქვენი ოჯახის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა რომელიმე მათგანით:

	საკვებზე ძლივს გვყოფნის ფული;
	ჩვენ საკმარისი ფული გავქვს საკვებისთვის, მაგრამ ტანსაცმლის, ფეხსაცმლის დ ასხვ ააუცილებელი

	ნივთების საყიდლად ფულის დაზოგვა, ან სესხება გვიწევს;
	ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღური მოხმარების ტანსაცმელ-ფეხსაცმლისა და საყოფაცხოვრებო ნივთებისთვის, მაგრამ იმისთვის რომ შევიძინოთ კარგი ტანსაცმელი, მობილური, ტელევიზორი და ა.შ. სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა - ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს;
	ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღური მოხმარების ტანსაცმელ-ფეხსაცმლისა და საყოფაცხოვრებო ნივთებისთვის, ასევე მობილურისთვის და საყოფაცხოვრებო ტექნიკისთვის, მაგრამ იმისთვის რომ შევიძინოთ ავტომობილი ან ბინა, სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა - ფულის დაზოგვა ან სესხება დაგვჭირდება;
	ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერ დროს შევიძინოთ ყველაფერი გაც გვსურს;
	მიჭირს პასუხის გაცემა;

- **დავადგინოთ ის სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული პრობლემების/ხელმისშემშლელი გარემოებები, რომელიც ექმნებათ მოზარდებს სწავლების პროცესში (ორივე კატეგორიის ოჯახებში);**

5. მოდით გაიხსენეთ, რა ფინანსური დანახარჯები გაქვთ ხოლმე თქვენი შვილის სწავლასთნ დაკავშირებით - ანუ, გაიხსენეთ ყველა ხარჯი, რაც განათლების მიღებას უკავშირდება:

6. ამათგან რომელი არის ყველაზე პრიორიტეტული (მთავარი) ხარჯები?

7. ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯებიდან, რომელიმე თუ არის ისეთი, რომელსაც ვერ ერევით და თუ კი, როგორ აგვარებთ ამ პრობლემას?

8. რა გავლენა აქვს ამ კონკრეტული ხარჯების მოუგვარებლოაბას თქვენი შვილის სწვალის ხარისხზე?

9. განათლების მიღების პროცესში, თქვენი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა რა პრობლემებს უქმნის თქვენს შვილს და მის აკადემიურ მოსწრებას?

10. განათლების მიღების პროცესში, თქვენი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა როგორ ეხმარება თქვენს შვილს და მის აკადემიურ მოსწრებას?

11. დამატებით (გარდა ფინანსურისა) კიდევ რა გარემოებების აუცილებლობას დაასახელებდით, რაც გაზრდიდა თქვენი შვილის აკადემიურ მიღწევებს?

- **მოვახდინოთ დისტანციური სწავლების პირობებში, სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული იმ ხელისშეშლელი გარემოებების იდენტიფიცირება, რამაც უარყოფითად იმოქმედა მოზარდების აკადემიური მოსწრების ხარისხზე (ორივე კატეგორიის ოჯახებში);**

12. გთხოვთ ჩამოთვალოს ის მთავარი პრობლემები, რომელიც შეგიქმნათ დისტანციურმ სწავლებაზე გადასვლამ (ყველა თვალსაზრისით)?

13. ახლა ჩამომითვალეთ ის დადებითი ფაქოტრები, რითაც თქვენთვის კარგი იყო აღნიშნული დისტანციური სწვალება?

14. რა დამატებითი ფინანსური საჭიროებები გაჩდა ოჯახში დისტანციური სწვალების ფონზე - მათ შორის რომელი იყო ყველაზე მთავარი/მნიშვნელოვანი?

15. ზემოთ ჩამოთვლილი საჭიროებებიდან - რომელი იყო ისეთი, რომელსაც ვერ გაუმკლავდით და რა გამოსავალი/კომპრომისი გამომახეთ მის დასაკომპენსირებლად/მეტნაკლებად მოსაგვრებლად?

16. რა გავლენა იქონია აღნიშნული პრობლემის არსებობამ თქვენი შვილის სწავლის ხარისხზე?

17. დისტანციურ სწავლაზე გადასვლის შემდეგ, როგორ დაახასიათებდით თქვენი შვილის აკადემიურ მიღწევებს?

- **დავადგონოთ თუ როგორია განსხვავებული სოციო-ეკონომიური მდგომარეობის მქონე ოჯახებში, მშობლის/მშობლების სკოლასთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობა, ასევე მათი ჩართულობა მოზარდის სწავლების პროცესში (ორივე კატეგორიის ოჯახებში);**

18. მოდით ახლა ვისაუბროთ თქვენი და სკოლის/პედაგოგობის ურთერთბაზე - როგორ ურთიერთობთ სკოლასთან - რა შემთხვევებში/რა მიზეზით მიდიხართ სკოლაში ან ესაუბრებით პედაგოს?

19. ურთიერთობის ასეთი ფორმა რითია თქვენთვის კომფორტული? რა შედეგებს გაძლევთ ის ბავშვის სწავლის ხარსიხთან დაკავშირებით?

20. იმ შემთვევაში თუ ვერ ურთიერთობთ სკოლასთან ან/და პედაგოგოებთან - რითი ახდენთ სკოლასთან კომუნიკაციის ნაკლებობის კომპენსირებას?

21. როგორ დაახასიათებდით თქვენს ჩართულობას თქვენი შვილის განათლების მიღების პროცეში:

თუ პასიურ ჩართულობაზე საუბრობს მაშინ:

22. რა უარყოფით გავლენას ახდენს თქვენი პასიური ჩართულობა თქვენი შვილის აკადეიურ მოსწრებაზე?

- რატომ არ ახდენს გავლენას?

- რატომ ახდენს გავლენას?

თუ აქტიურ ჩართულობაზე საუბრობს :

23. რა დადებით გავლენას ახდენს თქვენი პაქტიური ჩართულობა თქვენი შვილის აკადეიურ მოსწრებაზე?

- რატომ არ ახდენს გავლენას?
- რატომ ახდენს გავლენას?

24. დისტანციური სწავლების პერიოდში როგორ შეიცვალა თქვენი თანამშრომლობა/კომუნიკაცია სკოლასთან და პედაგოგებთან?

25. რა გავლენა იქონოია ურთიერთობის ფორმის შეცვლამ თქვენი შვილის სწვალის ხარისხზე?

- **დავადგინოთ, თუ რა გავლენა აქვს მშობლის სკოლასთან და მასწავლებლებთან აქტიურ თანამშრომლობას, მის ჩართულობას მოზარდის სწავლების პროცესში - ბავშვის აკადემიურ მოსწრებასთან (ორივე კატეგორიის ოჯახებში);**

26. ხომ არ არის რამე ისეთი, რასაც შეცვლიდით სკოლასთან თანამშრომლობის კუთით?

27. როგორ ფიქრობთ, უფრო აქტირუად რომ იყოთ ჩართული თქვენი შვილის სწავლის პროცესში - როგორ გააუმჯობესებდა ეს თქვენი შვილის მიღწევებს?

28. ასევე, როგორ ფიქრობთ, უფრო პასიურად რომ იყოთ ჩართული, თქვენი შვილის სწავლის პროცესში - როგორ გააუმჯობესებდა ეს თქვენი შვილის მიღწევებს?

სეგმენტი: პედაგოგები

- **დავადგინოთ თუ როგორია, განსხვავებული სოციო-ეკონომიური მდგომარეობის მქონე ოჯახებში (მაღალი/საშუალო და დაბალი/სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებული ოჯახები) მცხოვრები მოზარდების აკადემიური მოსწრების დონე;**

1. გთხოვთ მესაუბრეთ იმ ფაქტორებზე, რაც თქვენი აზრით ახდენს გავლებას ბავშვის სწავლის ხარისხზე - რა ფაქტორები უშლის ხელს, რა ფაქტორები უწყობს ხელს?

2. თქვენი აზრით, რა კავშირშია ოჯახის სოციო-ეკონომიკური (ფინანსური) მდგომარეობა მოზარდის აკადემიურ მიღწევებთან?

3. განათლების მიღების პროცესში, ოჯახის ფინანსური მდგომარეობა რა პრობლემებს უქმნის მოზარდის აკადემიურ მოსწრებას?

4. განათლების მიღების პროცესში, ოჯახის ფინანსური მდგომარეობა როგორ ეხმარება მოზარდის აკადემიურ მოსწრებას?

5. ძირითადად რა ფინანსური დანახარჯები აქვთ ხოლმე მოსწავლეებს სწავლასთან დაკავშირებით - ანუ, გაიხსენეთ ყველა ხარჯი, რაც განათლების მიღებას უკავშირდება:

6. ამათგან რომელი არის ყველაზე პრიორიტეტული (მთავარი) ხარჯები?

7. ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯებიდან, რომელიმე თუ არის ისეთი, რომელსაც ვერ აგვარებენ მცირე ფინანსური შესაძლებლობების გამო და თუ კი, როგორ ხდება აღნიშნულ პრობლემასთან გამკლავება?

8. რა გავლენა აქვს ამ კონკრეტული ხარჯების მოუგვარებლობას ბავშვის სწვალის ხარისხზე?

9. ფინანსური პრობლემების გარდა, კიდევ რა ხელისშემშლელ გარემოებებზე ისაუბრებდით განათლების მიღების პროცესში? (ორივე კატეგორიის ოჯახებთან)

10. თქვენი დაკვირვებით, ძირითადად აკდემიური მიღწევებით, რომელი კატეგორიის ოჯახის მოზარდებით გამოირჩევიან და რა უწყობთ ხელს?

- **მოვახდინოთ დისტანციური სწავლების პირობებში, სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული იმ ხელისშემშლელი გარემოებების იდენტიფიცირება, რამაც უარყოფითად იმოქმედა მოზარდების აკადემიური მოსწრების ხარისხზე (ორივე კატეგორიის ოჯახებში);**

11. დისტანციურ სწავლაზე გადასვლის დროს რა ხელისშემემშლელი გარემოებები აღმოჩნდა, რამაც უარყოფითად იმოქმედა მოზარდის მიღწევებზე?

12. ძირითადად, რომელი კატეგოორის მოზარდებს გაუჭირდათ პრობლემებთან გამკვლავება?

13. ძირითადად, რა პრობლემების წინაშე დადგა დაბალი და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ შემოსავლების მქონე ოჯახის მოზარდები?

14. ძირითადად, რა პრობლემების წინაშე დადგა საშუალო და მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახის მოზარდები?

15. რის ხარჯზე ხდებოდა წამოჭრილი პრობლემების მოგავრება/დაკომპენსირება?

- **დავადგონოთ თუ როგორია განსხვავებული სოციო-ეკონომიური მდგომარეობის მქონე ოჯახებში, მშობლის/მშობლების სკოლასთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობა, ასევე მათი ჩართულობა მოზარდის სწავლების პროცესში (ორივე კატეგორიის ოჯახებში);**

16. ძირითადად როგორ ურთერთობთ მშობლებთან - ურთიერთობის რა ფორმას იყენებთ თქვენ? და მათ როგორი ფორმა ურჩევნიათ?

17. ძირითადად, რომელი კატეგორიის მშობლები არიან მეტად ჩართულები შვილის სასწავლო პროცესში? როგორ ახსნით ამ ფაქტს? (სოციალური პირობების კუთხით)

18.როგორ ახსნით, მშობლის სკოლასთან თანამშრომლობის ინტენსივობა - რა კავშირშია მოზარდის მიღწევებთან? აქტიურად ჩართული მშობლების შვილების შემთხვევაში? ნაკლებ აქტიურად ან პასიურად ჩართული მშობლების შვილების შემთხვევაში?

19. რატომ ვერ ახერხებენ მშობლების სკოლასთან და პედაგოგებთან აქტიურ თანამშრომლობას? ძირითადად რა მიზეზების გამო?

20. რითი ახდენენ სკოლასთან კომუნიაკციის ნაკლებობის კომპენსირებას? რა უარყოფით გავლენას ახდენს ეს ჩართულობის დეფიციტი ბავშვზე?

- ✓ რატომ არ ახდენს გავლენას?
- ✓ რატომ ახდენს გავლენას?

- **დავადგინოთ, თუ რა გავლენა აქვს მშობლის სკოლასთან და მასწავლებლებთან აქტიურ თანამშრომლობას, მის ჩართულობას მოზარდის სწავლების პროცესში - ბავშვის აკადემიურ მოსწრებასთან (ორივე კატეგორიის ოჯახებში);**

21.როგორ შეცვლიდით თქვენს თანამშრომობას მშობელთან - ისე, რომ გაიზარდოს მოზარდის მიღწევები?

22.როგორ ფიქრობთ, უფრო აქტირუად რომ იყოს ჩართული მშობელი შვილის სწავლის პროცესში - რას შეცვლიდა ეს ბავშვის აკადემოური მოსწრების ხარისხში?

23.როგორ ფიქრობთ, პასიურად, რომ იყოს ჩართული მშობელი შვილის სწავლის პროცესში - რას შეცვლიდა ეს ბავშვის აკადემიური მოსწრების ხარისხში?

დანართი #3.

რაოდენობრივი კვლევის კითხვარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა

სეგმენტი: მშობლები

დემოგრაფია

1 . თქვენი სქესი

1.1. ქალი;

1.2. მამაკაცი;

2 . თქვენი ასაკი

2.1. 26-36;

2.2. 37-45;

2.3. 46-55;

2.4. 56-64;

2.5. 65+;

3. როგორია თქვენი ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი (ყველა ოჯახის წევრის შემოსავლის გათვალისწინებით)

3.1. 800 ლარამდე;;

3.2. 801-1200;

3.3. 1201 – 1500;

3.4. 1501-2000;

3.5. 2000+;

4. ქვემოთ მოცემულია რამოდენიმე დებულება - გთხოვთ შეაფასოთ თქვენი ოჯახის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა რომელიმე მათგანით: (მონიშნეთ მხოლოდ ერთი სავრაუდო პასუხი)

4.2. ჩვენ საკმარისი ფული გავქვს საკვებისთვის, მაგრამ ტანსაცმლის, ფეხსაცმლის დ ასხვ ააუცილებელი ნივთების საყიდლად ფულის დაზოგვა, ან სესხება გვიწევს;
4.3. ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღური მოხმარების ტანსაცმელ-ფეხსაცმლისა და საყოფაცხოვრებო ნივთებისთვის, მაგრამ იმისთვის რომ შევიძინოთ კარგი ტანსაცმელი, მობილური, ტელევიზორი და ა.შ. სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა - ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს;
4.4. ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღური მოხმარების ტანსაცმელ-ფეხსაცმლისა და საყოფაცხოვრებო ნივთებისთვის, ასევე მობილურისთვის და საყოფაცხოვრებო ტექნიკისთვის, მაგრამ იმისთვის რომ შევიძინოთ ავტომობილი ან ბინა, სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა - ფულის დაზოგვა ან სესხება დაგვჭირდება;
4.5. ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერ დროს შევიძინოთ ყველაფერი გაც გვსურს;
4.6. მიჭირს პასუხის გაცემა;

აკადემიური მოსწრების დონე

მოცემულ ბლოკში ჩვენ ვისაუბრებთ თქვენი შვლის აკადემიურ მოსწრებაზე

5. როგორ სწავლობს თვენი შვილი:

5.1. ძალიან კარგად;
5.2. კარგად;
5.3. დამაკმაყოფილებლად;
5.4. ცუდად;
5.5. უარი პასუხზე/მიჭირს პასუხი;

6. ჩამოთლილთაგან, რომელი ფაქტორები ახდენს გავლენას თქვენი შვილის აკადემიურ მოსწრებაზე;
(მონიშნეთ მაქსიმუმ 3 სავარაუდო პასუხი)
6.1. სკოლის კომფორტული გარემო;
6.2. თქვენი და პედაგოგის თანამშრომლობა;
6.3. ოჯახში კომფორტული სამეცადინო გარემო;
6.4. თანატოლობის მხრიდან კეთილგანწყობა;
6.5. მშობლების მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა;
6.6. სიტყვიერი, წამახალისებელი შეფასება;
6.7. დამატებითი აქტივობებით დატვირთვა;
6.8. მშობლების აქტიური ჩართულობა სწავლის პროცესში.
სხვა

7. ჩამოთვლილთაგან რომელია გადამწყვეტი თქვენი შვილის აკადემიურ მოსწრებაზე:
7.1. სკოლის კომფორტული გარემო;
7.2. თქვენი და პედაგოგის თანამშრომლობა;
7.3. ოჯახში კომფორტული სამეცადინო გარემო;
7.4. თანატოლობის მხრიდან კეთილგანწყობა;
7.5. მშობლების მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა;
7.6. სიტყვიერი, წამახალისებელი შეფასება;
7.7. დამატებითი აქტივობებით დატვირთვა;
7.8. მშობლების აქტიური ჩართულობა სწავლის პროცესში.
სხვა

8. ჩამოთვლლითგან რა გარემოებები უშლის ხელს თვენს შვილს სწავლაში?
8.1. სასკოლო რესურსების ნაკლებობა;

8.2. მშობლების პასიური ჩართულობა სასწწავლო პროცესში;
8.3. მშობლების ზედმეტი ჩართულობა;
8.4. პედაგოგების არასათანადო დამოკიდებულება;
8.5. თანატოლებთან კონფლიქტური ურთიერთობა;
8.6. კომპიუტერზე დამოკიდებულება;
8.7. სწავლის მოტივაციის არ ქონა;
8.8. ფინანსური მდგომარეობა;
8.9. სხვა ოჯახური პრობლემები;
8.10. ოჯახში სამეცადინო პირობების არ ქონა
სხვა(ჩაწერეთ)--------

9. თქვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ხელისშემშლელ მიზეზებს შორის, რომელია გადამწყვეტი:
9.1. სასკოლო რესურსების ნაკლებობა;
9.2. მშობლების პასიური ჩართულობა სასწწავლო პროცესში;
9.3. მშობლების ზედმეტი ჩართულობა;
9.4. პედაგოგების არასათანადო დამოკიდებულება;
9.5. თანატოლებთან კონფლიქტური ურთიერთობა;
9.6. კომპიუტერზე დამოკიდებულება;
9.7. სწავლის მოტივაციის არ ქონა;
9.8. ფინანსური მდგომარეობა;
9.9. სხვა ოჯახური პრობლემები;
9.10. ოჯახში სამეცადინო პირობების არ ქონა
სხვა (ჩაწერეთ)--------

ფინანსური დანახარჯები

მოცემულ ბლოკში ჩვენ ვისაუბრებთ იმ ფინანსურ საჭიროებებზე, რაც თქვენის შვილის განათლებას უკავშირდება- (მონიშნეთ მაქსიმუმ 3 სავარაუდო პასუხი):

10. ქვემოთ ჩამოთვლილ სწავლასთან დაკავშირებულ დანახარჯებს შორის, რომელში გეხარჯებათ ყველაზე მეტი თანხა:

10.1. სწავლის გადასახადი;
10.2. რეპეტიტორი;
10.3. სასკოლო სახელმძღვანელოები;
10.4. დამატებითი სახელმძღვანელოები;
10.5. აქტივობები, წრეები, ტრენინგები;
10.6. ექვსკურსიები;
10.7. პლანშეტები, ტელეფონი, ლეპტოპი;
10.8. სხვა სასკოლო აქსესუარები;
10.9. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი;
10.10. სხვა სასკოლო ან სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები;
სხვა (ჩაწერეთ)

11. ქვემოთ ჩამოთვლილ სწავლასთან დაკავშირებულ დანახარჯებს შორის, რომელთან გამკლავება გიჭირთ ყველაზე მეტად:

11.1. სწავლის გადასახადი;
11.2. რეპეტიტორი;
11.3. სასკოლო სახელმძღვანელოები;
11.4. დამატებითი სახელმძღვანელოები;
11.5. აქტივობები, წრეები, ტრენინგები;
11.6. ექვსკურსიები;
11.7. პლანშეტები, ტელეფონი, ლეპტოპი;
11.8. სხვა სასკოლო აქსესუარები;

11.9. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი;
11.10. სხვა სასკოლო ან სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები; სხვა(ჩაწერეთ)

12. განათლების მიღების პროცესში, თქვენი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა უქმნის თუ არა პრობლემას თქვენი შვილის აკადემიურ მოსწრებას:
12.1. ძალიან სერიოზულ პრობლემას უქმნის;
12.2. უფრო უქმნის, ვიდრე არა;
12.3. უფრო არ უქმნის, ვიდრე კი;
12.4. არ უქმნის;
12.5. მიჭირს პასუხის გაცემა;

აკადემიური მიღწევები დისტანციური სწავლების პროცესში
მოცემულ ბლოკში ვისუაბრებთ დისტანიცური სწავლების დროს შექმნილ პრობლემებზე განათლების მიღების პროცესში:
13. ჩამოთვლილთაგან რომელი იყო/არის თქვენთვის ყველაზე მთავარი პრობლემა, რომელიც გამოიწვია ბავშვის დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ: მონიშნეთ ორი ყველაზე მთავარი პრობლემა
13.1. ჯანმრთელობის პრობლემა (მხედველობის, ხერხემლის და ა.შ);
13.2. დამატებითი ტექნიკური საჭიროებებით გამოწვეული ფინანსური პრობლემები;
13.3. სწავლის ხარისხის შემცირება;
13.4. კომპიუტერზე მიჯაჭვულობა;
13.5. სკოლასთან/პედაგოგებთან დისტანცია;
13.6. კომუნიკაციის ნაკლებობა, სოციალიზაციის ნაკლებობა;

13.7. ინტერნეტის ან/და ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული პრობლემები;
სხვა(ჩაწერეთ)

14. რითი იყო /არის კარგი თქვენთვის, ბავშვის დისტანციური სწავლება:
14.1. ვირუსისგან თავის დაცვა;
14.2. ტრანსპორტირებაში დროის დაზოგვა;
14.3. ფინანსური ხარჯების შემცირება;
14.4. ოჯახთან მეტი დროის გატარება;
14.5. კომპიუტერული უნარჩვევების განვითარება;
14.6. სწავლის შედეგების გაუმჯობესება;
14.7. პედაგოგებთან კომუნიკაციის გამარტივება;
სხვა(ჩაწერეთ)

15. დისტანციურ სწავლაზე გადასვლის შემდეგ, როგორ დაახასიათებდით თქვენი შვილის აკადემიურ მიღწევებს?
15.1. ძალიან კარგად
15.2. კარგად
15.3. დამაკმაყოფილებლად
15.4. ცუდად
15.5. უარი პასუხზე/მიჭირს პასუხი

მშობლის/მშობლების სკოლასთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობა მოცემულ ბლოკში ჩვენ ვისაუბრებთ თვენი და სკოლის/პედაგოგების თანამშრომლიბის პროცესის თავისებურებებზე

16. ქვემოთ ჩამოთვლილ კომუნიკაციის ფორმებს შორის, რომელია ყველაზე კომფორტული:

16.1.მივდივარ სკოლაში;

16.2. სისტემატიურად ვურეკავ პედაგოგს;

16.3. მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ვეხმიანები;

16.4. გვაქვს ონლაინ სპეციალური გვერდი, რომლის დახმარებითაც ვკომუნიცირებთ;

16.5. საჭიროების შემთხვევაში თავად მეხმიანება პედაგოგი

სხვა(ჩაწერეთ)

17. რა მიზეზების შემთხვევაში ეკონტაქტებით პედაგოგს/მიდიხართ სკოლაში: მონიშნეთ მაქსიმუმ ორი პასუხი

17.1. ბავშვის მაღალი აკადემიური მიღწევების შემთხვევაში;

17.2. ბავშვის დაბალი აკადემიური მიღწევების შემთხვევაში;

17.3. ბავშვის არასაურველი ყოფაქცევის დროს;

17.4. პედაგოგის მოთხოვნის შემთხვევაში;

17.5. სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზების შემთხვევაში;

17.6. სისტემატურად, პროფილაქტიკის მიზნით;

სხვა

18. რა სიხშირით ეკონტაქტებით პედაგოგს ბავშვის აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით:

18.1. კვირაში რამდენჯერმე;

18.2. საშუალოდ კვირაში ერთხელ;

18.3. თვეში 2-3 ჯერ;

18.4. სემესტრში 2-3-ჯერ;

18.5. თითქმის არ ვეკონტაქტები ამ თემაზე პედაგოგებს;

19. გარდა სკოლასთან და პედაგოგებთან კომუნიაკციისა, რა ფორმით ხართ ჩართული თქვენი შვილის განათლების მიღების პროცესში:

19.1. დამყავს დამატებით წრეებზე;

19.2. აყვანილი მყავს პედაგოგი;

19.3. სახლში ვამეცადინებ;

19.4. ყოველთვის ვიბარებ გაკვეთილს;

19.5. თავისუფალ დროს სულ ერთად ვატარებთ;

19.6. დამატებით ვესწრებით ღონისძიებებს, რაც უმაღლებს ცნობიერებას;

სხვა

20. რა მიზეზების გამო ვერ ახერხებთ შვილის სწავლის პროცესში აქტიურ ჩართულობას: მონიშნეთ მაქსიმუმ სამი პასუხი

20.1. სამსახურის გამო;

20.2. მყავს რეპეტიტორები და არ საჭიროებს ჩემს ჩართულობას;

20.3. სხვა ოჯახის წევრია ჩართული;

20.4. მოზარდს არ სურს ჩემი ჩართულობა;

20.5. მოზარდი უმკვლავდება ყველაფერს და არ საჭიროებს ჩემს ჩართულობას;

20.6. ძალიან აქტიურად ვარ ჩართული;

სხვა

21. თქვენი აზრით, რა გავლენას ახდენს მშობლის ჩართლობა ბავშვის აკადემიურ მიღწევებზე:

21.1. ახდენს ძლიან დიდ პოზიტიურ გავლენას;

21.2. უფრო ახდენს ვიდრე არა;

21.3. უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე კი;

21.4. საერთოდ არ ახდენს გავლენას;
21.5. ნეგატიურ გავლენას ახდენს;

22. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენს თქვენი ოჯახის სოციო-ეკონომიკური (ფინანსური) მდგომარეობა თქვენს შვილსა და თქვენს შორის ასებულ ურთიერთობაზე?
22.1. ძალიან დიდ გავლენას ახდენს;
22.2. უფრო ახდენს გვალენას, ვიდრე არა;
22.3. უფრო არ ახდენს გავლენას, ვიდრე კი;
22.4. საერთოდ არ ახდენს გავლენა;

23. რა აძლევს თქვენს შვილს ყველაზე დიდ მოტივაციას სწავლისთვის:
23.1. მაღალი აკადემიური შეფასებები;
23.2. მატერიალური საჩუქრები;
23.3. მამოტივირებელი სიტყვები;
23.4. სოციულური გარემო;
23.5. მეგობრების მიღწევები;
23.6. ოჯახის მხარდაჭერა;
23.7. თანატოლების მხრიდან მისი მიღწევების აღიარება;
23.8. სამომავლოდ კარიერის მოწყობა;
სხვა

ავტორის მოკლე ბიოგრაფია

ლია ანთაძე სოციალური მეცნიერებების დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერისტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

დაიბადა საქართველოში, ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბანში.

2013-2017 წწ სწავლობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2017-2019 წწ სწავლობდა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ში მაგისტრატურის საფეხურზე. 2020-2023 წწ სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დოქტორანტურის საფეხურზე. 2023 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე - „მშობელთა ჩართულობა და სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა მოზარდის აკადმიურ მიღწევებზე“.

სამუშაო გამოცდილება. 2018-2022 წწ საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში მუშაობდა სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტში. 2021 წლიდან დღემდე კითხულობს ლექციებს. 2023 წლის თებერვალში, ამავე უნივერსიტეტში დააწინაურეს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად.

გამოქვეყნებული აქვს სტატიები, რომელიც განათლების საკითხებს. მონაწილეობდა სხვადასხვა ადგილობრივ, თუ საერთაშორისო კონფერენციებში.

შენიშვნებისთვის

Lia Antadze

Parental involvement and the influence of family socioeconomic factors on adolescent academic achievements

Monograph

Лиа Антадзе

Участие родителей и влияние социально-экономического статуса семьи на успеваемость подростков

(Монография)

ტექნიკური რედაქტორი ზაალ ანთაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა ლევან კალანდარიშვილი
სტილისტ - კორექტორი ნუნუკა გრძელიშვილი

ტირაჟი 200 ეგზემპლარი
გამომცემლობა „ეკგბი“